ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 2 ნოემბერი, 2009 №284 (5025) ფასი: 30 თეთრი

## დიმა ჯაიანს არავინ დევნის?

გვ.6



# დაიწყება თუ არა ახალი კამპანია ქართული ეკლესიის წინააღმდეგ

გვ.2



გვ.3

## თბილისის მერობას 10-ზე მეტი კანდიდატი მოისურვებს

ვინ ავრცელებს ხმებს ნიკა გვარამიას წინააღმდეგ



## ევროპა ოპოზიციის მხარეზეა

ხელისუფლების წინააღმდეგ ახალ ტალღას ვიწყებთ

გვ.7

## ახალი კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიებს დააკარგვინებს

გვ.5





## შესაძლოა, სულ მოკლე ხანში ინა გუდავაძის დაკავება და შემდგომში მისი აშშ-ში ექსტრადირება მოხდეს

გვ.4

## „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ თანაპარტიელის დაკავებას აპროტესტებს

გვ.6




## BlackBerry „მაგთიკომისგან“

კომპანია მომხმარებელს ქართულ ბაზარზე ყველაზე მაღალი ხარისხის მომსახურებასა და დაბალ ფასებს სთავაზობს

გვ.5

## თემურ შაშიაშვილი მებაჟეებს უკანონო შემოწმებაში ადანაშაულებს

გვ.2



**2** დღეს მუხროვანის ამბოხის ბრალდებულთა პროცესი განახლდება

**3** საქართველოს ნატოში შესვლა რუსეთის საფრთხეს არ შეუქმნის

**6** ზურაბ წერეთელმა სოჭის ოლიმპიადისთვის ახალი პროექტი ჩაიფიქრა

**8** რუსების ნაცემი არველოდი ახალაია საავადმყოფოდან გაწერეს

# ბერეზოვსკის ავანტიურა საქართველოს დაღუპავს

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი ბორის ბერეზოვსკის საქართველოში ფარულად ჩამოსვლას საეჭვოდ მიიჩნევს. კლიმიაშვილი აცხადებს, რომ ბერეზოვსკის ორი ინტერესი ამოძრავებს. პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ ბერეზოვსკი საქართველოს ხელისუფლებასთან საერთო ინტერესებმა მიიყვანა.**



როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, ამაზე რამაზ კლიმიაშვილი თავის ვარაუდებს ჩვენთან საუბარში გამოთქვამს.

*— ბატონო რამაზ, როგორც ამბობენ, სექტემბერში თბილისში იმყოფებოდა ბორის ბერეზოვსკი. ის პატარკაციშვილის საფლავზეც იყო მისული გივი თარგამაძის თანხლებით. როგორ ფიქრობთ, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ჩვენს ხელისუფლებას ბერეზოვსკისთან?*

— ორი რამ შეიძლება აკავშირებდეს ჩვენს ხელისუფლებას ბერეზოვსკისთან. 15 წლის წინ ბერეზოვსკი იყო რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი. იმ დროისთვის ის იყო ფაქტიურად რუსეთში მეორე კაცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ელცინი სულ მთვრალი იყო, ფაქტიურად, პირველი იქნებოდა. ვერავინ ახსნა, რატომ, მაგრამ ის ძალიან დიდ ფულს აძლევდა ჩეჩნებს პირველი ჩეჩნური ომის დროს. რისთვის? გაუგებარია. რატომ აინტერესებდა ბერეზოვსკის ჩეჩნების გაძლიერება, არ ვიცით. უზარმაზარი ფულის ტომრებით ჩადიოდა და დუდაევის ხალხს აძლევდა. ამის შემდეგ თანამდებობიდან მოხსნეს, მერე პუტინმა აითვალწუნა. ყველა ინტერესი, რაც რუსეთში ჰქონდა, წაართვეს და მერე საცხოვრებლად ლონდონში გადავიდა. საერთაშორისო ძებნაა მასზე გამოცხადებული, თუმცა სულ დადის და ჯერ ვერავინ რატომღაც ვერ მოიხელთა. ოფიციალურად რომ ჩამოსულიყო თბილისში, საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად მოვალე იქნებოდა, რუსეთისთვის გადაეცა. თუ ჩვენ ინტერპოლის წევრი ვართ და ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის ინტერპოლის მიერ ძებნილი, ვალდებული ხარ, გადასცე.

*— ეს იყო მისი გასაიდუმლოებით ჩამოსვლის მიზეზი თუ სხვა მიზეზი არსებობს?*

— როგორც ჩანს, სხვა მიზეზი არსებობს. ჩანს, მას რაღაც შესთავაზეს, მაგრამ — რა, არ ვიცით. როგორც გითხარით, ორი ინტერესი არსებობს, გარდა ფინანსურისა. მას ძალიან უნდოდა პატარკაციშვილის ფულის ხელში ჩაგდება, კატეგორიულად აცხადებდა, ნახევარი ჩემიაო. ეს ცოტა არასერიოზული განცხადება იყო. ეს არის ოჯახის ფული, თუმცა ამ მომენტისთვის არც ოჯახის არის და არც ბერეზოვსკის, ვიღაც დეიდაშვილმა ჩაიგდო ხელში, რომელსაც რეალურად არავითარი კავშირი არ აქვს მასთან. ჩვენს ხელისუფლებაში სწორედ ასეთები მოსწონთ. ბერეზოვსკის კიდევ ერთი ინტერესი ტელევიზიაა. რუსეთში ის ყველაზე დიდი ტელევიზიის მეპატრონე იყო.

*— შეიძლება ქართული ტელევიზია აინტერესებდეს ბერეზოვსკის?*

## რუს ოლიგარქს „ტელეიმედის" ხელში ჩაგდება უნდა

— ტელევიზიის ინტერესიც იკვეთება. შეიძლება, მას სურს დააფინანსოს ჩრდილოკავკასიელი ფუნდამენტალისტები, რომლებიც იარაღით ხელში აფეთქებებს აწყობენ. საინტერესოა, რაში სჭირდება ტელევიზია. ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს „იმედის" ხელში ჩაგდება. „იმედი" წამგებიანი იყო და ასეც დარჩება. ამ ტელევიზიით ფინანსურ მოგებას ვერ ნახავს. ე.ი. რისთვის შეიძლება უნდოდეს? ალბათ, მხოლოდ პროპაგანდისთვის. საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება „იმედი" გადასცეს ბერეზოვსკის. არავინ იცის, ვისია დღეს „იმედი", თანაც რატომღაც მენეჯერად სააკაშვილთან დაახლოებული პირი დანიშნეს, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს ტელევიზიაზე.

*— გიორგი არველაძეს გულისხმობთ?*

— დიახ, აბა, სხვას ვის. არველაძე ფულის გასაკეთებლად არ მისულა „იმედში". ეს ყველამ იცის.

*— თქვენ პროპაგანდა ახსენეთ...*

— დიახ, ბერეზოვსკის უნდა ტელევიზია პროპაგანდისთვის ჩრდილო კავკასიაზე, რომ ჩრდილოკავკასიელები ააჯანყოს რუსეთის წინააღმდეგ.

*— გამოდის, სააკაშვილი და ბერეზოვსკი პუტინის წინააღმდეგ გაერთიანდნენ?*

— ერთიც და მეორეც ორგანულად რომ ვერ იტანენ პუტინს, ეს ყველამ იცის. ერთიც და მეორეც სწორედ პუტინმა გაანადგურა. ის, რომ დღეს სააკაშვილს არც ერთ უცხოურ ქვეყანაში არ პატიჟებენ, პუტინის გაკეთებულია. ორივეს საერთო მტერი ჰყავს. ბერეზოვსკის ფული აქვს და აქვს გამოცდილება ტელევიზიის მართვისა, ასევე კარგი ურთიერთობა აქვს ჩრდილო კავკასიასთან. ეს მოზაიკა შეიძლება დავალაგოთ და სურათი გამოიკვეთოს.

*— თუმცა შარშან ოპოზიცია როდესაც ქუჩაში იდგა, რაღაც ფონდის შექმნაზე იყო საუბარი, რომელსაც ბერეზოვსკი დააფინანსებდა და ოპოზიცია ფულს მიიღებდა. მაშინ ოპოზიციის ლიდერებიც დასახელდნენ, მაგალითად, გოგა ხაინდრავა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?*

— ეს ვარიანტი ჩაიშალა. მაშინ ბერეზოვსკის უნდოდა, ოპოზიციის გამარჯვების შემთხვევაში, სწორედ „ტელეიმედი" წაეღო. შეიძლება პატარკაციშვილის სხვა ქონებაც წაეღო, მაგრამ ამ იდეამ არ იმუშავა. არავითარი ფონდი არ შექმნილა. მოლაპარაკებები ჩაიშალა. ხელისუფლება აპიარებდა, თითქოს ფონდი იქმნებოდა, რომელსაც ბერეზოვსკი დააფინანსებდა. მაშინ ბერეზოვსკი უპირველეს მტრად გამოაცხადეს. ახლა კი თურმე უპირველესი მეგობარია. ვინც მაშინ ბერეზოვსკის ხვდებოდა, ქვეყნის მტერი იყო. დღეს 180 გრადუსით ხდება ცვლილებები, თუმცა ყველაფერი ცხადია. მე მიმაჩნია, რომ ჩრდილო კავკასიის აჯანყება, თუ ასეთი რამ მოხდა, საქართველოს დაღუპავს. თუ იქ სერიოზული ომი დაიწყო, ყველა საქართველოს შეაფარებს თავს, სხვა პროცესებიც წავა, რომელიც საქართველოში გადმოიღვრება.

*— თუმცა, ხომ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება ჩრდილო კავკასიაში რაღაც პროცესების დაწყებამ საქართველოდან რუსეთის აგრესია გადაიტანოს, შეიძლება ეს ჰქონდეს პრეზიდენტ სააკაშვილს ჩაფიქრებული?*

— პირიქით. მე მახსენდება 1992 წელი, როდესაც ჩვენმა ჯარებმა თითქმის აიღეს ცხინვალი, მაგრამ იმ დროს რუსეთის ვიცე-პრეზიდენტმა შევარდნაძეს უთხრა, თუ ცხინვალში შესვლას გაბედავთ, თბილისს დავბომბავთო. მაშინ შევარდნაძემ ბრძანება გასცა და ომი შეწყდა. ეს ვერ გაუგიათ. რუსეთმა თუ დაინახა, რომ საქართველოდან მოდის რაღაც მსგავსი, ამას რუსეთი ყველა გზით შეაჩერებს. რუსეთმა ღიად თქვა: სადაც ჩვენი ინტერესები შეეხება, იქ ვიმოქმედებთო. მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ უბწკინონ პუტინს. ასევე ცუდად დაემთხვა, რომ თითქოს ბერეზოვსკი საქართველოში ითხოვს პოლიტიკურ თავშესაფარს. პოლიტიკური თავშესაფარი მას აქვს შესანიშნავ ქვეყანაში და აქ რაში სჭირდება, თუ რამე ავანტიურას არ ფიქრობს? ეს იქნება ახალი ავანტიურა, რომელიც საქართველოსთვის შეიძლება კიდევ უფრო ცუდად დამთავრდეს. ეს არ იქნება სასიკეთო ჩვენი ქვეყნისთვის.

*— ამ პროცესში ოპოზიცია ჩაერთვება?*

— თუ რეალური ოპოზიციაა, ხმა უნდა ამოიღოს და თქვას, რომ ეს არ შეიძლება.

# დაიწყება თუ არა ახალი კამპანია ქართული ეკლესიის წინააღმდეგ

თეა მარხვაიძე

სახალხო დამცველის ანგარიშს პარლამენტი უახლოეს მომავალში გაეცნობა. ეს ანგარიში პარლამენტში გასულ კვირას შევიდა. დაინტერესებულ პირებს ამ ანგარიშის გაცნობა მანამდეც შეუძლიათ, ვიდრე ამ თემაზე პარლამენტში სკანდალი ატყდება. 2009 წლის პირველი ანგარიში უკვე განთავსებულია ომბუდსმენის ვებგვერდზე.

ამ ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ეკლესიას შესაძლოა ისევ შეექმნას პრობლემები. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, თავიდან დაიწყება იმის მტკიცება, რომ თითქოს ქართული ეკლესია სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს ავიწროებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ხმაურს ატეხს სომხური მხარე. სომხები რამდენიმე ეკლესიის დაბრუნებას ითხოვენ.

სომხურ მედიაში არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ქართველებმა სომხებს ეკლესიები წაართვეს. ზოგიერთი სომეხი მეცნიერი და სომხური გამოცემა ჯიუტად ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 600 სომხური ეკლესია და ისტორიული ძეგლია, რომელიც, მათი მტკიცებით, ქართველებმა მიიტაცეს.

ამ საკითხს საქართველოში სერიოზულად არ შეხედეს. წესით, რეაქცია ამ უაზრობაზე არც ღირდა, თუმცა მოგვიანებით ამ ყველაფერმა ძალიან სერიოზული სახე მიიღო. საქმეში სომხეთის პატრიარქიც ჩაერია. მან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ სომხებს საქართველოს საელჩოების წინ აქციების გამართვისკენ მოუწოდა.

მისი კურთხევით სომეხმა ახალგაზრდებმა ერევანში საქართველოს საელჩოს წინ ერთი წლის წინ აქცია გამართეს. მათ საქართველოსგან სომხური ეკლესიების დაბრუნება მოითხოვეს და ქართველები ვანდალიზმშიც დაგვადანაშაულეს.

არადა, ამ აქციამდე ცოტა ხნით ადრე სომხური და ქართული ეკლესიები შეთანხმდნენ, რომ სადავო საკითხებს მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტდნენ. ამ შეთანხმებიდან რამდენიმე დღეში სომხეთის პატრიარქმა თავის მრევლს საქართველოს წინააღმდეგ აქციების ჩატარებაზე კურთხევა მისცა.

ამის შემდეგ ქართული ეკლესიის აგრესიულობაზე სომხებმა სტატიები ბევრ უცხოურ გაზეთში გამოაქვეყნეს. ამასთან დაკავშირებით თბილისშიც მოგვიწყვეს აქცია, თანაც ეს აქცია საქართველოში სომხეთის პრემიერის ვიზიტს დაამთხვიეს.

## ვინ გამოიყენებს ამისთვის სახალხო დამცველის ანგარიშს

ეს ამბავი გასული წლის დეკემბერში მოხდა. ჩვენებურებმა ოფიციალური შეხვედრების შემდეგ სტუმარს სადილიც მოუწყვეს, შემდეგ კი სადავო ეკლესიის სანახავად წაიყვანეს. საუბარია ლესელიძის ქუჩაზე მდებარე ეკლესიაზე.

ეს ეკლესია საკითხის გადაწყვეტამდე დაკეტილია. იმ დღეს კი დაკეტილი ეკლესიის კარი შეანგრიეს და, როგორც დეპუტატი ჯონდი ბაღათურია ამტკიცებს, ეს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ გააკეთა. ამ თემაზე კარგა ხანს დიდი ამბები მიდიოდა. შემდეგ ეს ამბავი ყველამ დაივიწყა, მათ შორის, ჯონდი ბაღათურიამაც. მას ახლა საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიკვდილის მიზეზების შესწავლა აინტერესებს.



სახალხო დამცველის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ ლესელიძის ქუჩაზე მდებარე სადავო ეკლესია ისევ დაპირისპირების მიზეზი გახდება. ამ თემით დაინტერესებულებს განსაკუთრებით ქვეთავი, სახელწოდებით „რელიგიის თავისუფლება და ტოლერანტობა" დააინტრიგებს.

ამ ქვეთავში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებულ კონსტიტუციურ შეთანხმებაზეც არის საუბარი. ამავე ქვეთავში რელიგიური უმცირესობების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით შექმნილ პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული.

რამდენიმე ე.წ. ტრადიციული რელიგიური გაერთიანება — სომეხთა წმინდა სამოციქულო ეკლესია, კათოლიკე ეკლესია, მუსლიმთა თემი აჭარაში, იუდაური თემი, ვერ ახერხებენ საკუთარი ისტორიული ქონების — რელიგიური ნაგებობების დაბრუნებას. ქონებრივი საკითხების გადაწყვეტის მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორად სახალხო დამცველის აპარატი რესტიტუციის საკითხისადმი სახელმწიფოს დისკრიმინაციულ მიდგომას ასახელებს.

— სახელმწიფოს კონსტიტუციური შეთანხმებით საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის სახელმწიფოს მართებულად აქვს ნაკისრი ვალდებულება, საპატრიარქოს დაუბრუნოს ან აუნაზღაუროს გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ ჩამორთმეული ქონება, თუმცა რესტიტუციის ანალოგიური პრინციპით სახელმწიფო სხვა რელიგიურ გაერთიანებებთან მიმართებით არ ხელმძღვანელობს, რითაც უთანასწორო ანუ დისკრიმინაციულ მოპყრობას იჩენს დასახელებული რელიგიური გაერთიანებებისადმი, — ვკითხულობთ ანგარიშში.

იქვე იმასაც გვიხსნიან, თუ როგორ უნდა აღმოფხვრას სახელმწიფომ ეს პრობლემა.

— სახალხო დამცველის აპარატში ამ დისკრიმინაციული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ კონსტიტუციურ შეთანხმებაში გამოკვეთილი რესტიტუციის პრინციპის ანალოგიურად უნდა იმოქმედოს სხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართაც. ამ ეტაპზე პრობლემის გადასალახად არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ არის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## დღეს მუხროვანის ამბოხის ბრალდებულთა პროცესი განახლდება

თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს მუხროვანის სამხედრო ამბოხებაში ბრალდებულების სისხლის სამართლის საქმის განხილვა განახლდება. სასამართლო პროცესი ერთ თვეზე მეტია, რაც მიმდინარეობს და ამჟამად მოწმეთა დაკითხვით გრძელდება.

სასამართლო სხდომაზე კვლავ იმის დადგენას შეეცდებიან, სატანკო ბატალიონის უფროსს, შოთა მორგიაშვილს ჰქონდა თუ არა კავშირი ამბოხებასთან. გასულ სასამართლო პროცესზე მუხროვანის ბატალიონის ხუთი თანამშრომელი მოწმის სტატუსით დაიკითხა. მოწმეები მიუთითებდნენ, რომ სატანკო ბატალიონის უფროსი 2009 წლის 26 მაისს ალუმში მონაწილეობის მიღებას არ აპირებდა. მოწმეთა მტკიცებით, მორგიაშვილს დაუმორჩილებლობა უნდა გამოეცხადებინა, მაგრამ რაც შეეხება ოპოზიციის წარმომადგენლებთან მის კავშირს, დაკითხულ მოწმეებს ამის შესახებ პასუხი არ ჰქონდათ.

შეგახსენებთ, რომ მუხროვანის სამხედრო ბაზაზე მომხდარ ამბოხებაში განსასჯელი 28 სამოქალაქო და სამხედრო პირია. 13-მა ბრალდებულმა პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანი განიხილავს.

მედიანიუსი

## თემურ შაშიაშვილი მებაჟეებს უკანონო შემოწმებაში ადანაშაულებს

მოძრაობა „თეთრების" ლიდერი თემურ შაშიაშვილი მებაჟეებს უკანონო შემოწმებაში ადანაშაულებს.

როგორც შაშიაშვილმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, იგი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მინსკიდან დაბრუნებისას ხუთმა მებაჟემ უკანონოდ შეამოწმა. კერძოდ, გაუხსნეს ჩემოდანი და დეტალურად შეუმოწმეს პირადი ნივთები, ასევე ჯიბეები.

— ჩემოდანი შეამოწმეს, ყველაფერი ნახეს. შემამოწმეს პირადადაც. ჯიბეები ვაჩვენე და ტანსაცმელი გავიხადე. შევატყვე, მათ ეს არ უნდოდათ და დავალება ზემოდან ჰქონდათ მიღებული. ვიღაცეებს ეშინიათ თანხის წაღება-წამოღების, რითაც თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში. ეს მიუღებელი და დამამცირებელია, — განაცხადა შაშიაშვილმა.

მისივე განმარტებით, შემოწმებამდე, მის ბარგზე, როდესაც თვითმფრინავიდან ჩამოიტანეს, წარწერა „საშიშია არ შეეხოთ" აღმოჩნდა. შაშიაშვილის განცხადებით, აღნიშნული წარწერა ბარგზე თავად მიაკრეს. „თეთრების" ლიდერის ვარაუდით, დავალება ხელისუფლების მიერ იყო გაცემული, რადგან მათ ეგონათ ბარგში ფული ან ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებული და სხვა სკანდალური მასალებით კასეტები აღმოჩნდებოდა. შაშიაშვილის განცხადებით, იგი რამდენიმე წელია შეჩვეულია იმას, რომ ჩემოდნები იგვიანებს, ან იხსნება, ან იკარგება კიდეც. თუმცა, გუშინდელი ფაქტი, მისი შეფასებით, ყოველგვარ ზღვარს გადასცდა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## საქართველოს ნატოში შესვლა რუსეთს საფრთხეს არ შეუქმნის

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დევიდ მილიბენდის განცხადებით, საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანება რუსეთს საფრთხეს არ უქმნის.

მისი თქმით, ნატოს კარი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ალიანსის საბაზო პრინციპებს იზიარებენ. მილიბენდის განცხადებით, 2008 წლის დეკემბრის სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდენ, რომ ისინი დაეხმარებიან საქართველოსა და უკრაინას რეფორმების განხორციელებაში.

მისი განცხადებით, საქართველოსა და უკრაინის ნატოსკენ სვლა რუსეთს საფრთხეს არ უქმნის და იმედია, რომ ნატო-რუსეთის კავშირი გამყარდება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ისიც აღნიშნა, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნას 2008 წლის აგვისტოს ომზე, ოფიციალური ლონდონის პოზიცია არ შეუცვლია.

— ჩვენი პოზიცია ისეთივეა, როგორიც ადრე იყო. საქართველომ დაუშვა შეცდომები, მაგრამ რუსეთის პასუხი არაპროპორციული იყო. რუსეთის მხრიდან ძალის გამოყენებამ, გააფართოვა კონფლიქტისა და საბრძოლო მოქმედებების გეოგრაფიული არეალი. დღემდე უსამართლოდ მივიჩნევთ იმას, რომ რუსეთმა დაარღვია საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, — აცხადებს მილიბენდი.

მისივე თქმით, დიდი ბრიტანეთი მხარს არ უჭერს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას, ლონდონი მხარს უჭერს ჟენევის მოლაპარაკებების გაგრძელებას, რომელშიც ევროკავშირთან ერთად გაერო და ეუთოც აქტიურად მონაწილეობენ.

**მედიანიუსი**

## 25 მსჯავრდებულს პირობით ვადამდე გაათავისუფლებენ

მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა 239 მსჯავრდებულის შუამდგომლობა პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე.

განხილვის შედეგად კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია 25 მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე სასამართლოსთვის წარდგინებით მიემართა. დანარჩენ მსჯავრდებულებთან დაკავშირებით კომისიამ ჩათვალა, რომ ამ ეტაპზე სასჯელმა ვერ მიაღწია თავის მიზანს და მათ შესაძლებლობა ექნებათ 6 თვეში კვლავ მიმართონ კომისიას.

კომისიამ გამჭვირვალედ და ორი მთავარი პრინციპის - პატიმართა უფლებებისა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით იმუშავა, — გაუცხადეს „მედიანიუსს" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში.

**მედიანიუსი**

# თბილისის მერობას 10-ზე მეტი კანდიდატი მოისურვებს

ნანა მიშელაშვილი

**ნაციონალურ მოძრაობას თბილისის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებია. უმრავლესობის წევრი დეპუტატები ამბობენ, რომ პარტიას მერის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჯერ არ უმსჯელია და საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.**

ამის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებაში დარწმუნებულია. „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ამბობენ, რომ ოპოზიციას თბილისის მერის პოსტზე საკმაოდ ბევრი კანდიდატურა ეყოლება.

უმრავლესობის ზოგიერთი წევრი ოპოზიციას ბრძოლის მეთოდებსაც უწუნებს. როგორი მეთოდებით იბრძვის ოპოზიცია და რატომ ვერ ახერხებს ხელისუფლებისთვის ერთიანი კანდიდატურის დაპირისპირებას?

„ახალი თაობა" უმრავლესობის წევრს: კობა ხაბაზს ესაუბრა:

***— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნოემბერში ახალი სამთავრობო ცვლილებები მოხდება და პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გოკა გაბაშვილი განათლების მინისტრად დაინიშნება. უმრავლესობაში თუ მიდის საუბარი იმაზე, რომ ნიკა გვარამია თანამდებობიდან აპირებს წასვლას?***

— ამის შესახებ ინფორმაცია ნამდვილად არა მაქვს. უმრავლესობაში ეს საკითხი არ განხილულა, საერთოდ საუბარი არ ყოფილა. ორივე შემთხვევაში, ნიკა გვარამია არის ძალიან კარგი მინისტრი, დარწმუნებული ვარ, რომ გოკა გაბაშვილიც კარგი მინისტრი იქნება. როგორც გვარამია, ასევე გაბაშვილი არიან ის ადამიანები, რომელთაც ძალუძთ ისეთი მნიშვნელოვანი უწყების გაძღოლა, როგორიც არის განათლების სამინისტრო.

***— თუ კარგი მინისტრია, მაშ რატომ ვრცელდება ხმები გვარამიას შეცვლის შესახებ?***

— მე დარწმუნებული ვარ, ნიკა გვარამიას შეცვლას არავინ არ აპირებს, ამიტომ ვთქვი, რომ მისი შეცვლის შესახებ ინფორმაცია არა მაქვს. ერთადერთი, რაც შეიძლება იყოს, არის ის, თუკი თავად აქვს სურვილი წასვლასთან დაკავშირებით. ნიკა გვარამია იყო პარლამენტში, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე, ის საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია. მას ვიცნობ ჯერ კიდევ იქიდან, როდესაც მონაწილეობდა „რა, სად, როდის" და ერთ-ერთი აქტიური ადამიანი იყო.

***— ოპოზიცია ამბობს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცების წინ, შესაძლოა მთავრობაში ძირეული ცვლილებები მოხდეს და მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი დადგეს. მართალია?***

— მთავრობის ცვლილების საკითხი ახლა ნამდვილად არ დგას დღის წესრიგში.

***— ნიკა გილაურის შეცვლა არ იგეგმება?***

— არა, ნამდვილად არ იგეგმება. საერთოდ, კანონით არის განსაზღვრული, თუკი მინისტრთა კაბინეტში მესამედზე მეტი მინისტრი იცვლება, ასეთ დროს მთავრობის ხელახალი დამტკიცება ხდება. მე არ ვიცი ახლა მესამედს გადააჭარბებს თუ არა თუკი რაიმე ცვლილებება მოხდება. სამთავრობო ცვლილებების საკითხი უმრავლესობაში არ განიხილება.

***— საპარლამენტო ოპოზიცია ამბობს, რომ ნიკა გილაური უფრო კარგი ფინანსთა მინისტრია, ვიდრე პრემიერი. ოპოზიციონერი დეპუტატები ამბობენ, რომ გილაური ამჯერად ფინანსთა მინისტრის ფუნქციებს ასრულებს და არა პრემიერის. ოპოზიციას ამაში ეთანხმებით თუ არა?***

— ოპოზიცია ძალიან ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ მე ნაკლებად ვრეაგირებ ამაზე. ისე, თუ ოპოზიცია აღიარებს, რომ გილაური კარგი ფინანსთა მინისტრია, შემიძლია ვთქვა, რომ გილაურს ბევრი გაუკეთებია თუ ოპოზიციასაც კი აღიარებინა, რომ კარგი ფინანსთა მინისტრი იყო. ნამდვილად არ ვაპირებ ოპოზიციის ნათქვამებზე კომენტარის გაკეთებას. ამ ბოლო დღეებში, ყველაზე ხშირად რასაც ვიხსენებ, არის ოპოზიციის გამონათქვამები, რასაც ოპოზიცია პარლამენტის წინ ამბობდა. გავიხსენებ ნინო ბურჯანაძის და ლევან გაჩეჩილაძის გამოსვლას, როდესაც ისინი მომიტინგეებს მიმართავდნენ: ყველანი რომ წახვიდეთ, მე მაინც აქ ვიდგები, ერთი ადამიანიც რომ დარჩეს, მე მაინც აქ ვიდგები და ბრძოლას გავაგრძელებ. ხშირად მიწევს პარლამენტის წინ გავლა და რაღაც ვერ ვხედავ ვერც ბურჯანაძეს და ვერც გაჩეჩილაძეს.

***— ახლა ოპოზიციის პროვოცირებას ხომ არ ახდენთ, რომ ისევ პარლამენტის წინ მოვიდნენ?***

— არა, პროვოცირებას არ ვახდენ. უბრალოდ, ეს ის ხალხია, რომელებმაც ვერაფრით ვერ გაიაზრეს ის, რომ სხვა რეალობაა, სხვა პოლიტიკაა, სხვა სახელმწიფოა და არქაული მეთოდებით ცდილობენ ფონს გასვლას.

***— ოპოზიცია არქაული მეთოდებით იბრძვის?***

— რა თქმა უნდა.

***— ეგ რაში გამოიხატება?***

— ეს იმაში გამოიხატება, რომ 1988 წელს როგორც ვიწყებდით ეროვნულ მოძრაობას და როგორც ვატარებდით აქციებს, დაახლოებით იგივე მეთოდებით და გზებით ცდილობენ ხელისუფლების შეცვლას. ელემენტარულად ავიწყდებათ, რომ დღეს საქართველო არის ძლიერ და ჰყავს ძლიერი ხელისუფლება, რომელსაც ესაჭიროება ძლიერი ოპოზიცია და არა ისეთი, როგორიც არის დღეს.



### ვინ ავრცელებს ხმებს ნიკა გვარამიას წინააღმდეგ

***— დღეს როგორია ოპოზიცია?***

— ნაწილი საკუთარი ამბიციებით არის დაბრმავებული და ნაწილი — მოსკოვში დარბის ინსტრუქციების მისაღებად, იგივე ზურაბ ნოღაიდელს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში.

***— ნოღაიდელმა მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებით განმარტა, რომ აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკება უნდა წარიმართოს, მას არ დაუმალავს, რომ მოსკოვში მიდიოდა?***

— ნოღაიდელი რას იტყვის ამ შემთხვევაში, ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებას, ეს ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. თუ ვინმე ელოდება იმას, რომ ნოღაიდელი გამოვა და იტყვის, რომ მოსკოვში ინსტრუქციების მისაღებად ჩავიდა, დიდად შემცდარა.

***— რა, ზურაბ ნოღაიდელი მოსკოში ინსტრუქციების მისაღებად იყო წასული?***

— ან ინსტრუქციების მისაღებად, ან საკუთარ თავს სთავაზობს ნოღაიდელი რუსეთის ხელისუფლებას, რომ მათი მხარდაჭერა მოიპოვოს.

***— ეს არის საკმაოდ ხმამაღალი განცხადება ნოღაიდელის მისამართით, რაიმე ინფორმაციას ფლობთ, თუ რის საფუძველზე გამოთქვამთ ამ მოსაზრებას?***

— ოპოზიციური ძალის წარმომადგენელი როდესაც მიდის იმ ქვეყანაში, რომელ ქვეყანასაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და როდესაც შენ მოლაპარაკებას აწარმოებ იმ ქვეყნის ხელისუფლებასთან რომლის უმთავრესი მიზანია საქართველოს თავის გავლენის ქვეშ მოქცევა, ასეთ დროს მე კითხვის ნიშნები აღარ მიჩნდება.

***— რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს, ალიანსს უკვე ჰყავს მერობის კანდიდატი ირაკლი ალასანია, ასევე მერობის კანდიდატი ეყოლება ქრისტიან-დემოკრატებს. კიდევ დასახელდება თუ არა ოპოზიციური პარტიების მხრიდან მერობის კანდიდატები?***

— რა თქმა უნდა გაიზრდება.

***— სხვა პარტიებიც დაასახელებენ?***

— ბევრი პოლიტიკური ორგანიზაცია დაასახელებს მერობის კანდიდატებს, მაგრამ „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო". მე დარწმუნებული ვარ, სახელისუფლებო კანდიდატი გაიმარჯვებს, რადგან თბილისში რეალური ცვლილებები ხორციელდება.

***— რატომ ფიქრობთ, რომ თბილისში სახელისუფლებო კანდიდატი გაიმარჯვებს, ოპოზიციური კანდიდატები ერთმანეთს ხმებს რომ გაუყოფენ ამის გამო თუ გიგი უგულავას ბოლო კვლევებით მაღალი რეიტინგი აქვს?***

— მე არ მითქვამს, რომ გიგი უგულავა იქნება დასახელებული ჩვენი მხრიდან მერობის კანდიდატად, ეს გადასაწყვეტია, ამ გადაწყვეტილებას პარტია მიიღებს მაშინ როცა დრო მოვა.

***— შეიძლება, რომ გიგი უგულავა არ იყოს მერობის კანდიდატი?***

— ნამდვილად არ ვიცი, რადგან ჯერ ამაზე არ გვიმსჯელია.

***— ამაზე მინიშნება ადრეც გაკეთდა, რომ შესაძლოა გიგი უგულავა არ იყოს მერობის კანდიდატი?***

— არანაირი მინიშნება არ არის, როდესაც გადაწყვეტილება იქნება მიღებული ამას ოფიციალურად ვიტყვით. ორი აზრი არ არსებობს, რომ გიგი უგულავა ძალიან კარგი კანდიდატურა იქნება ჩვენი მხრიდან, რადგან მან თბილისისთვის მართლა ძალიან ბევრი რამ გააკეთა. ის გეგმები, რაც უნდა განხორციელდეს იგივე ძველ თბილისთან დაკავშირებით, ტრანსპორტის მომსახურების სფეროში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის თვალსაზრისით, ვიცი, რომ თბილისი უახლეს პერიოდში იქცევა ულამაზეს ქალაქად.

***— როდის მიიღებს „ნაციონალური მოძრაობა" გადაწყვეტილებას და როდის დაასახელებს მერის კანდიდატურას?***

— რა თქმა უნდა, ამას გამოვაცხადებთ, როდესაც კანონით დადგენილი ვადა იქნება. მე არ ვიცი, ეს როდის უწევს. ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა აკეთებდეს გარკვეულ კვლევებს, მოცემულ მომენტში როგორი რეიტინგი და შესაძლებლობები აქვს ამა თუ იმ კანდიდატს.

***— ოპოზიცია ამბობს, რომ გიგი უგულავას კარგა ხანია საარჩევნო კამპანია დაწყებული აქვს და მისი საარჩევნო პროგრამა უკვე გაწერილია, ამაზე რას იტყვით?***

— როდესაც ხელისუფლება რაღაცას აკეთებდა, ყოველთვის იყო საუბარი, რომ ეს წინაასარჩევნოდ კეთდებოდა. მორჩებოდა არჩევნები, ცოტა ხანი სიტყვას არ ძრავდნენ, შემდეგ ისევ დაიწყებდნენ საუბარს, რომ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს. უფრო მეტიც, აქციების წინ, ხალხი რომ დაერწმუნებინათ თითქოს ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ინიშნება, ხელისუფლებას რაც არ უნდა გაეკეთებინა, ამბობდნენ, რომ უმრავლესობა შეშინდა და ვადამდელი არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. სინამდვილეში რეალობა ასეთია, ყოველდღიურად რაღაც კეთდება ამ ქვეყანაში. თვალი გადავავლოთ, თუ არის დღე, რომ თბილისში რაღაც არ კეთდებოდეს? არანაირი საარჩევნო კამპანია არავის არ დაუწყია და ჩვეულებრივი სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც ქალაქის მერია და ხელისუფლება ახორციელებს.

***— თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა თუ გყავთ უკვე შერჩეული?***

— არა. როგორც საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურას, ასევე მერის კანდიდატურას ჩვენ როცა გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაშინ გამოვაცხადებთ.

***— არა მგონია, ამაზე პარტიაში მსჯელობა არ გქონდათ?***

— რატომ არ გჯერათ? რეგულარულად ჩატარდება კვლევები, ჩვენ ვართ მოგებაზე ორიენტირებული გუნდი. დამიჯერეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი სანამ გარკვეული ვადა არ მოვა, 2 წლით ადრე პრეზიდენტობის კანდიდატებს არც რესპუბლიკური პარტია და არც დემოკრატები წინასწარ არ ასახელებენ. ისინი ამ კვლევებს სწავლობენ და საარჩევნო კამპანია როდესაც იწყება, ვისაც აქვს მაღალი რეიტინგი, მას ასახელებენ.

***— „ნაციონალური მოძრაობა" ხომ არ აპირებს შიდაპარტიული პრაიმერის ჩატარებას?***

— პრაიმერის ჩატარებას პარტიაში ნამდვილად არ ვგეგმავთ. პრაიმერი უფრო ამერიკული მოდელია, ოღონდ იქ სხვა ფორმით გამოიყენება. ჩვენთან, როდესაც რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციაა გაერთიანდებული ერთ ბლოკში და ამ ბლოკიდან ერთი კანდიდატურის დასახელება უნდათ, იმისთვის, რომ ერთმანეთში კონფლიქტი არ ჰქონდეთ შიდა პრაიმერს ატარებენ. საბოლოო ჯამში, მაინც აზრი ეკარგება ამას, რადგან დღემდე ვერ ვნახე რეალური

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## დაიწყება თუ არა ახალი კამპანია ქართული ეკლესიის წინააღმდეგ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

გადადგმული, არ შექმნილა ძეგლების ისტორიული წარმომავლობის დამდგენი კომისია, სახელმწიფოს არ შეუმუშავებია ამ პრობლემის დაძლევის ხედვა. შედეგად, ეს საკითხი წლების განმავლობაში ურთიერთობების დაძაბვისა და კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნის მუდმივ საფრთხედ რჩება, — წერია მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ანგარიშში.

ანგარიშში ვკითხულობთ იმის შესახებაც, თუ როგორ უჭირთ სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს ნაგებობების აგება.

— რელიგიურ გაერთიანებებს ახალი რელიგიური ნაგებობების ასაშენებლად ზოგიერთ შემთხვევაში კვლავაც უჭირთ ნებართვის მოპოვება ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან. ამის მაგალითია ახალციხის შემთხვევა — კათოლიკე ეკლესია 2007 წლიდან დღემდე ელოდება პასუხს ეკონომიკის სამინისტროსგან იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა მას განახორციელოს ქ. ახალციხეში, ისტორიულ რაბათის უბანში, ძველი კათოლიკური ეკლესიის აღდგენა-განახლება, — ნათქვამია ანგარიშში.

პარლამენტის განსახილველ ანგარიშში სერიოზული ყურადღებაა გამახვილებული სომეხთა სამოციქულო ეკლესიაზეც.

— სომეხთა წმინდა სამოციქულო ეკლესია სახელმწიფოსთან დავობს 6 ისტორიული ტაძრის დაბრუნების თაობაზე, რომელთაგან დღესდღეობით არც ერთი არ ფუნქციონირებს, — ვკითხულობთ სახალხო დამცველის ანგარიშში.

აქვე საუბარია იმაზეც, რომ კათოლიკე ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს ედავება 5 ტაძარს, ხოლო აჭარის მუსლიმანთა სამმართველო სახელმწიფოსგან 2 მეჩეთის დაბრუნებას მოითხოვს.

გახდება თუ არა ომბუდსმენის ანგარიშის ეს ნაწილი ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ახალი კამპანიის დაწყების მიზეზი, მალე ვნახავთ. სომხურ და რუსულ პრესაში ბოლო დროს ძალიან სერიოზული კამპანია დაიწყო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. ისე, ეს კამპანია საქართველოშიც კარგა ხანია მიდის. ხელისუფლების ერთი განშტოება აშკარად უპირისპირდება ეკლესიას, რაც ნაციონალების მეორე ნაწილის გაღიზიანებას იწვევს.

ეს პატრიარქის წინააღმდეგ აგორებული ბოლო კამპანიის დროსაც გამოჩნდა. შეურაცხმყოფელი ვიდეორგოლების გავრცელების შემდეგ სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც ამბობენ, ამის უკან ერთ-ერთი გუბერნატორი იდგა, რომელსაც თავისუფლების ინსტიტუტთან თავისი ანგარიშები აქვს.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იავნანა", გაზეთი „ახალი თაობა"

# შესაძლოა, სულ მოკლე ხანში ინა გუდავაძის დაკავება და შემდგომში მისი აშშ-ში ექსტრადირება მოხდეს



ამ სკანდალური განცხადების წაკითხვისას, ბუნებრივია ისმის კითხვა, რაში ედება ბრალი გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს? არც მეტი არც ნაკლები, მას ბრალს სდებენ ადამიანის მოტაცებაში. გუდავაძეს პატარკაციშვილის პირადი ადვოკატი ემანუელ ზელცერი უჩივის.

ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძით საკმაოდ ბევრი ვინმე დაინტერესდა. ყველაზე დიდი აქტიურობით კი მისი უახლოესი მეგობარი ბორის ბერეზოვსკი გამოირჩეოდა. „ლუკმა“ იმდენად მსუყე და გემრიელი იყო, რომ ბორის ბერეზოვსკიმ მისი ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც გაარკვია, რომ მეგობრის ანდერძში ის საერთოდ არ იყო მოხსენიებული.

ბერეზოვსკის ადვოკატებმა დაადგინეს, რომ პატარკაციშვილის ანდერძი გარდაცვლილის ადვოკატთან — ემანუელ ზელცერრთან ინახებოდა. ანდერძის მიხედვით პატარკაციშვილი ქონებას უტოვებდა: მეუღლეს, ინა გუდავაძეს, ოლგა საფონოვას (პატარკაციშვილის გარაცვალების შემდეგ ინა გუდავაძემ მათი ქორწინება გააუქმებინა), დედას, დებს და ნახევარძმა — კობა პატარკაციშვილს.

თითქოსდა ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა და ამ კრიმინალურ ისტორიაში ყველაზე მეტად ბადრი პატარკაციშვილის ადვოკატი ემანუელ ზელცერი დაზარალდა.

2007 წლის ნოემბრით დათარიღებული ანდერძი ემანუელ ზელცერთან — გარდაცვლილის პირად ადვოკატთან ინახებოდა. გარდა ანდერძისა, ზელცერს ჰქონდა მისი უკანასკნელი ნების გამომხატველი სხვა დოკუმენტებიც.

2007 წლის ნოემბრით დათარიღებული ანდერძით, აღმასრულებლის მისია ეკისრება ჯოზეფ კეის, რომელსაც დაევალა მემკვიდრეთა ინტერესების დაცვა და სამართლიანობის უზრუნველყოფა. ეს ფაქტი მემკვიდრეების პროტესტს იწვევს.

ადვოკატმა ზელცერმა შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა ინა გუდავაძეს და ბორის ბერეზოვსკის გაანდო, რომ ანდერძის დედანი მასთან ინახებოდა და რომ მასში ბორის ბერეზოვსკი მოხსენიებული არ იყო და ანდერძის მიხედვით, გარდაცვლილის უკანასკნელი ნების აღმასრულებელი ჯოზეფ კეი იყო. ანდერძის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბორის ბერეზოვსკი ლონდონში ხვდება ემანუელ ზელცერს და აცნობებს, რომ ბადრი პატარკაციშვილს საკუთრება ბელარუსშიც ჰქონდა. აგრეთვე ურჩევს, რომ ანდერძის დედნით ზელცერი და ჯოზეფ კეი ჩავიდნენ მინსკში და მოაგვარონ საქმის ფორმალური მხარე. ბერეზოვსკი ზელცერს საკუთარ თვითმფრინავს სთავაზობს ბელარუსში გასაფრენად. 2008 წლის 12 მარტს ბერეზოვსკის თვითმფრინავში მჯდომი ზელცერი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მინსკში, ასაფრენ ბილიკზევე ელოდებოდა ბელარუსის „კაგებე“. მას ტრაპთანვე აკავებენ, ადებენ ხელბორკილს და მიჰყავთ იზოლატორში.

ზელცერი, რომ ბელარუსის „კაგებეს“ დაეპატიმრებინა, ამაზე ინა გუდავაძემ და მისმა ადვოკატმა, ზელცერის მინსკში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე იზრუნეს. გუდავაძის ადვოკატმა ლორდმა გოლდესმიტმა წერილით მიმართა ბელორუსის სამართალდამცავ ორგანოებს და შეატყობინა, რომ ემანუელ ზელცერი ჩართულია დოკუმენტების გაყალბებასა და სხვა მაქინაციებში.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რამ გამოიწვია ბერეზოვსკის დაინტერესება და რატომ დაემთხვა ერთმანეთს მისი და ინა გუდავაძის ინტერესები? ბორის ბერეზოვსკის მტკიცებით, მან თავისი აქტივები ფორმალურად ბადრი პატარკაციშვილის სახელზე გადააფორმა, რათა პოლიტიკური საქმიანობისთვის მას მეტი ასპარეზი ჰქონოდა. შესაბამისად, იმედოვნებდა, რომ ანდერძის მეშვეობით (თუკი ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდებოდა) საკუთარ ქონებას უკანვე დაიბრუნებდა.

პატარკაციშვილის ყოფილი მეგობრის „მზრუნველობა“ ინა გუდავაძისამი და ოჯახში არსებული დაპირისპირების შექმნა-გაღრმავებაში მონაწილეობა ბერეზოვსკის საკუთარი მიზნების განსახორციელებლად სჭირდებოდა. პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ რუსი ოლიგარქის სვლები სწორედ ამაზე მიუთითებს.

ბერეზოვსკის პირდაპირი მითითებით გაქრა ანდერძი, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის პირად ადვოკატთან და ნოტარიუსთან ემანუელ ზელცერთან ინახებოდა.

ადვოკატი ზელცერი, რომელიც ბელარუსის სამართალდამცავებმა 2008 წლის 12 მარტს სწორედ ბორის ბერეზოვსკის კუთვნილი თვითმფრინავით მინსკში ჩაფრენის დროს დააპატიმრეს, აიძულეს, ლონდონში თავისი წარმომადგენლისათვის დაერეკა და ანდერძის ბერეზოვსკის წარმომადგენლისათვის გადაცემა ეთხოვა, ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის დედანი ამ დროიდან ალარავის უნახავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბერეზოვსკიმ საკუთარი წარმომადგენლის ხელით გარდაცვლილი მეგობრის ანდერძი მოიპარა.

ემანუელ ზელცერი ბელარუსშიც ბორის ბერეზოვსკიმ ჩაიყვანა, თანაც მოტყუებით. ფორმალური მიზეზი, რის გამოც ადვოკატი მინსკში ჩავიდა, ბადრი პატარკაციშვილის აქტივების აღწერა იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ გარდაცვლილ ბიზნესმენს ლუკაშენკოს ქვეყანაში არავითარი აქტივი არ გააჩნდა.

ზელცერის დაპატიმრების სკანდალური საქმე ამერიკისა და ბელარუსის სახელმწიფოების ხელმძღვანელთა დონეზე განსახილველი საკითხი გახდა.

2008 წლის 27 მაისს ბელორუსის სამართალდამცავებმა ზელცერს უკანონო პრეპარატების, განსაკუთრებით კი — ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი წამლების ბელარუსში შემოტანაში დასდეს ბრალი. იგულისხმება წამლები, რომელთაც ზელცერი თორმეტი წლის განმავლობაში სამკურნალოდ იღებდა.

27 ივნისს ბელარუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ზელცერს ოფიციალურად დასდო ბრალი. მის ბრალდებებს (ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანა და ყალბი დოკუმენტების შენახვა) ახალი — ბიზნესშპიონაჟიც დაემატა.

მიმდინარე წლის 6 აგვისტოს კი, სასამართლოს სწორედ ზელცერის დაპატიმრების ორგანიზატორმა ბორის ბერეზოვსკიმ მისცა ჩვენება.

საინტერესოა ის ფაქტი, თუ რატომ შეირჩა მოქმედების ადგილად მაინცდამაინც ბელარუსი? ამ კითხვის მარტივი პასუხი ასეთია: ბელორუსი ერთადერთი ქვეყანაა ევროპის კონტინენტზე, სადაც დიქტატურაა და ადამიანის უფლებები იმდენად უხეშად ილახება, რომ პრეზიდენტი ლუკაშენკო დასავლეთში პერსონა ნონ-გრატადაა გამოცხადებული. შესაბამისად, ბელორუსში თუნდაც ამერიკის მოქალაქის დაკავება დიდი სირთულე არაა. ამას ემანუელ ზელცერის დაკავების ფაქტიც მოწმობს. რაც შეეხება მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას: ემანუელ ზელცერი ამერიკელი ადვოკატია და მისი პროფესიული საქმიანობაც, ბუნებრივია, ამ ქვეყანას უკავშირდება. აშშ-ის სახდეპარტამენტი მისი გათავისუფლების სანაცვლოდ ბელარუსთან ურთიერთობის ზელცერის ბელარუსული ბრალდება, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლოა.

რატომ იყო ხელსაყრელი დასავლეთის გულის მოგების მსურველ ლუკაშენკოსთვის აშშ-ის მოქალაქის დაკავება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში ემანუელ ზელცერის პროფესიული ბიოგრაფია დაგვეხმარება: თავის დროზე, ემანუელ ზელცერმა თარგმნა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი და თავად წარადგინა აშშ-ის კონგრესსა და სენატში. ამერიკაში ემანუელ ზელცერი რუსული ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ კომპეტენტურ ექსპერტად ითვლება. ზელცერის გვარი ფიგურირებს საქმეში, რომელიც ლუკაშენკოს იარაღით უკანონო ვაჭრობაში ამხელს. ემანუელ ზელცერს მხოლოდ რუსეთსა და საქართველოში აკრიტიკებენ და იქაც — ბელარუსის „კაგებეს“ მიერ წარდგენილი ბრალდებით — თაღლითობის გამო. თუკი ზელცერი მართლაც თაღლითია, მაშინ სრულიად აუხსნელია აშშ-ის სახდეპარტამენტის პოზიცია: რატომ სთავაზობს ბელარუსს პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას ზელცერის გათავისუფლების სანაცვლოდ?!

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ზელცერი 2008 წლის 12 მარტს დააკავეს, 2008 წლის 18 მარტს კი ბელორუსის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზეწოლით ბელორუსში აშშ-ის ელჩს კარენ სტიუარტს მინსკი დაატოვებინეს. მთელი ამ დროის განმავლობაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი კატეგორიულად მოითხოვდა ბელორუსის სამართალდამცველი ორგანოებისაგან ემანუელ ზელცერის გათავისუფლებას. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევის შედეგად პრეზიდენტი ლუკაშენკო იძულებული გახდა შეეწყალებინა ზელცერი.

ემანუელ ზელცერი მინსკის იზოლატორში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნის თანახმად, მუდმივად იმყოფებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. მას აიძულებდნენ სამედიცინო დახმარების სანაცვლოდ აღიარებითი ჩვენების მიცემას. დაკითხვების დროს ადგილი ჰქონდა ადვოკატ ზელცერის არაადამიანურად წამებას, რის შესახებაც რამოდენიმე უფლებადამცავმა ევროპულმა ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება.

ბერეზოვსკის მიერ პატარკაციშვილის ანდერძის დედანის ხელში ჩაგდების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა ზელცერის მინსკში გამგზავრება და დაპატიმრება, ამ პროცესებში ჩართული აღმოჩნდა გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე ინა გუდავაძე. ***2009 წლის მაისში აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ, სახელმწიფო დეპარტამენტის და სენატის სპეციალური კომოტეტის მოთხოვნით წამოიწყო წინასწარი გამოძიება ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქის, ადვოკატ ემანუელ ზელცერის უკანანო დაკავების და დაპატიმრების ფაქტზე ბელარუსის რესპუბლიკაში. ამ საქმეში ეჭვმიტანილების სტატუსით ფიგურირებენ ბორის ბერეზოვსკი და ინა გუდავაძე.***

***2009 წლის სექტემბერში, ადვოკატ ემანუელ ზელცერს შეაქვს სარჩელი ნიუ იორკის სასამართლოში ბორის ბერეზოვსკისა და ინა გუდავაძის წინააღმდეგ.***

2009 წლის ოქტომბერში, ***ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ატყობინებს ბრიტანეთის საემიგრაციო სამსახურს იმის შესახებ, რომ ფედერალური გამოძიების ბიურო ასრულებს გამოძიებას ადამიანის გატაცების და გამოძალვის ფაქტზე და რომ ამ საქმეში ეჭვმიტანილების სტატუსით ფიგურირებენ ინა გუდავაძე და ბორის ბერეზოვსკი.*** ამასთან ერთად, სახელმწიფო დეპარტამენტის ცირკულარში გამოხატულია სურვილი, რომ ბრიტანეთის შესაბამისმა უწყებამ დროებით თავი შეიკავოს ინა გუდავაძისთვის მუდმივი რეზიდენტის სტატუსის მინიჭებაზე.

***ინა გუდავაძის მიმართ წამოყენებული ბრალდება მართლაც რომ სერიოზულია. მას აშშ-ში რთული სასამართლო პროცესი ელოდება. ჯერჯერობით ის თავს არიდებს აშშ-ს საგამოძიებო დეპარტამენთთან თანამშრომლობას, ინა გუდავაძე ჩვენებებს არ იძლევა. ამ ფაქტების გათვალისწინებით, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ შესაძლოა სულ მოკლე ხანში ადამიანის გატაცების ორგანიზებაში ეჭვმიტანილი გუდავაძის დაკავება და მისი აშშ-ში ექსტრადირება მოახდინოს.***

**გიორგი კიკნაძე**

## წყალდიდობისა და დიდთოვლობის გამო გზებზე შეზღუდვები დაწესდა

საავტომობილო გზის თიანეთი-ახმეტის მონაკვეთის 0-26 კმ-ებზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, -ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, კოკისპირული წვიმების შედეგად თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზის 26 კმ-ზე მდინარე ილტომ გამორეცხა მიწის ვაკისი, რის გამოც თიანეთი-ახმეტის მონაკვეთზე (0-26 კმ-ები) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

დიდთოვლობის გამო, ფშაველი-აბანო-ომალოს საავტომობილო გზის ლეჩური-ომალოს მონაკვეთზე (9-72 კმ-ები) ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ხოლო ფშაველი-ლეჩურის მონაკვეთზე (1-9 კმ-ები) ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

**ინტერპრესნიუსი**

## თბილისის მერობას 10-ზე მეტი კანდიდატი მოისურვებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ერთიანობის განცდა. როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაცია ბლოკში ერთიანდება, ისინი ვერ ელევიან საკუთარ სახელს და ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ ქმნიან, ასეთ დროს ყოველგვარი პრაიმერი უძლურია ერთიანობის მისაღწევად.

***— ესე იგი, თქვენ კატეგორიულად გამორიცხავთ შიდაპარტიული პრაიმერის ჩატარებას ნაციონალური მოძრაობის შიგნით?***

— რა თქმა უნდა, გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ გუნდი მიიღებს გადაწყვეტილებას, ვინაიდან ერთიანი გუნდი ვართ, ვინც დასახელდება კანდიდატად, ის მიიღებს მთლიანი გუნდის მხარდაჭერას.

***— „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ლევან ვეფხვაძემ ასეთი მოსაზრება გამოთქვა, რომ ოპოზიციის მხრიდან მერობის დაახლოებით 7-8 კანდიდატი იქნება დასახელებული. ასეთი ბევრი მერობის კანდიდატი იქნება?***

— მე მგონია, რომ ცოტა მეტი იქნება დასახელებული, 10 და შეიძლება ცოტა მეტი კანდიდატურაც იყოს.

***— სავარაუდოდ რომელ პარტიებს ეყოლება თბილისის მერობის კანდიდატი?***

— ალიანსს ჰყავს თბილისის მერობის კანდიდატი, ქრისტიან-დემოკრატებს ეყოლება, ალბათ, ლეიბორისტებსაც, წვრილ-წვრილ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ასე შემდეგ. ვერ ვიხსენებ არჩევნებს, როდესაც 10-ზე ნაკლებ სუბიექტს ეთამაშოს რაიმე თამაში. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ 10-ზე მეტი კანდიდატურა იქნება.

***— ეს ნაციონალური მოძრაობისთვის მომგებიანია, როდესაც ოპოზიციას ამდენი კანდიდატი ჰყავს?***

— ლოკალურად თუ შევხედავთ, შესაძლოა მომგებიანია, მაგრამ გააჩნია ვისთვის. სინამდვილეში ეს არის ქვეყნისთვის ძალიან ცუდი და რადგან ქვეყნისთვის ცუდია, ეს ჩვენთვისაც ცუდია. ამის მიზეზი არის ის, რომ საქართველოში, პოლიტიკური ორგანიზაციების ნაცვლად არის ცალკეულ ინდივიდებთან გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფები. ასეთ დროს, ვერ ხერხდება ერთიანი კანდიდატის დასახელება. ყველა ლიდერს თავისთავად ამბიცია აქვს, ამაში ცუდი არაფერია, ჯანსაღი ამბიცია უნდა ჰქონდეთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ქვეყანაში ვერ ყალიბდება ოპოზიცია და როდესაც ოპოზიცია ვერ ყალიბდება, ასეთ დროს წარმატებების განვითარების შანსი არის ნაკლები.

***— იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის მხრიდან რამდენიმე კანდიდატი იქნება დასახელებული, რეალური კონკურენცია იქნება ირაკლი ალასანიასა და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს შორის თუ სხვა კანდიდატებს შორის?***

— მე ვთვლი, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სოლიდურ წარმატებას მიაღწევს. ჩემი აზრით, კონკურენცია იქნება იმაზე ვინ გავა მეორე ადგილზე. ირაკლი ალასანია გავა მეორე ადგილზე თუ ვთქვათ, ქრისტიან-დემოკრატების კანდიდატი ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის.

***— ესე იგი, კონკურენცია მეორე ადგილისთვის იქნება და არა პირველი?***

— კონკურენციას უფრო მეორე ადგილზე ველოდები, იმიტომ, რომ მეორე ადგილი საკმაოდ პრესტიჟულია ქართულ რეალობაში. ეს ნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში წარმატებით იასპარეზებს და მეტი ადამიანი ეყოლება პარლამენტში. ასე რომ, კონკურენციას უფრო მეორე ადგილზე ველოდები.

***— თბილისის მერის არჩევნებში მეორე ტურის გამართვა არის თუ არა მოსალოდნელი?***

— არა, არ დაინიშნება მეორე ტური. თუ არსებული საკანონმდებლო წესით ჩატარდება არჩევნები, მეორე ტური არ იქნება.

***— ბოლო კვლევების მიხედვით როგორია პარტიული რეიტინგები?***

— ბოლო კვლევებიდან ვიცი, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა პარტიებს. დანარჩენი დეტალებით არ დავინტერესებულვარ, გამოკითხვის შედეგებზე გამოდევნებას არ ვთვლი, რომ მაინცდამაინც კარგია. გამოკითხვებში უფრო სხვა რაღაც მაინტერესებს, ძირითადად ვკითხულობ იმას, თუ რა არის ხალხის ძირითადი საზრუნავი, რა პრობლემებია და რის გადაწყვეტას ისურვებენ. არასდროს არ ვიყავი დაინტერესებული ინტრიგებით — ვინ წავა, ვინ მოვა, ვინ ვის შეცვლის. მე სხვა რაღაც მაინტერესებს, ჩემთვის ერთდროულად სასიამოვნო და ამავდროულად მტკივნეული იყო, როდესაც საქართველოს წინაშე მდგარ უმთავრეს პრობლემად დასახელებულ იქნა ოკუპირებული ტერიტორიები. კარგი იქნებოდა, რომ ოკუპირებული ტერიტორიები არ გვქონდეს, მაგრამ სასიამოვნოა, როდესაც ხალხი ყველა ყოფით პრობლემაზე მეტად ასახელებს საქართველოს ერთიანობას და ტერიტორიულ მთლიანობას. ეს დასტურია, რომ ქართველი ხალხი არასოდეს არ გატყდება და აუცილებლად მიაღწევს გამარჯვებას ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში.

***— კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტში შემოვიდა, თუ ელით, რომ იმ ადამიანებიდან, ვინც მანდატი დახია, კიდევ ვინმე შემოვა პარლამენტში?***

— ვისურვებდი, რომ ყველას დაეწეროს განცხადება და ყველა შემოვიდეს პარლამენტში.

***— თორმეტივე ოპოზიციონერი?***

— დიახ, ვისურვებდი თორმეტივემ დაწეროს განცხადება და პარლამენტში შემოვიდეს. იმიტომ, რომ პირველი, დებატების ხარისხი მკვეთრად გაიზრდება, მეორე, რეალურად ჩვენც გავძლიერდებით ამ კონკურენტულ გარემოში, მესამე, ქვეყნისთვის ძალიან კარგი იქნება, როდესაც საპარლამენტო დებატების ფორმას მიიღებს ნებისმიერ საკითხზე მსჯელობა. ეჭვი მაქვს, რომ გამსახურდიას გარდა თუ ვინმე შემოვა, ძირითადი ნაწილი მაინც პირადი სარგებლის გამო შემოვა და არა იქიდან გამომდინარე, რომ ასე ჯობია ქვეყნისათვის.

## აგვისტოს ომზე ანგარიშს 7 ნოემბრისთვის ნინო ბურჯანაძის პარტიაც ამზადებს

გასული წლის აგვისტოს მოვლენებით გამოწვეულ შედეგებზე ანგარიშს 7 ნოემბრისთვის ნინო ბურჯანაძის პარტიაც ამზადებს. „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ „რედისონში“ დაგეგმილ ოპოზიციის შეხვედრაზე აგვისტოს ომზე და ომის შემდგომ მოვლენებზე შემაჯამებელ დოკუმენტს წარადგენს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარტიის წარმომადგენელმა რომან კუსიანმა განუცხადა. მისი თქმით, შეხვედრას დაესწრებიან პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე, მთავარი საბჭო და და სხვა წევრები. რომან კუსიანის ინფორმაციით, პარტია ასევე მონაწილეობას მიიღებს 7 ნოემბერს დაგეგმილ მანიფესტაციაში, რომელიც თბილისში არასამთავრობო სექტორის ორგანიზებით გაიმართება. „რედისონის“ შეხვედრა, სადაც პოლიტიკური პარტიები მიხეილ სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის ანგარიშს ინდივიდუალურად წარადგენენ, პარტია „საქართველოს გზის“ ინიციატივით ეწყობა. შეხვედრაზე მიწვეული არიან დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**ინტერპრესნიუსი**

# ახალი კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიებს დააკარგვინებს

შორენა კოწოწაშვილი

**რა ხდება პანკისის ხეობაში, არის თუ არა რეალური საფრთხე და ვინ არიან გავლენის აგენტები? — ეს ის კითხვებია, რომლებიც ქართველ საზოგადოებაში ტრიალებს და რომლებზე მართალი პასუხი არ ისმის. მართალია, თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ მიმართ საზოგადოებაში ნდობა ძალიან დაბალია. შესაბამისად, ეს მეტად აქტუალური კითხვები უპასუხოდ რჩება.**

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ ელიზბარ ჯაველიძე გაესაუბრა:

*— ბატონო ელიზბარ, ბოლო დროს საკმაოდ მძიმე და საფრთხისშემცველი განცხადებები ისმის პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. ფიქსირდება სროლები და ადამიანების გატაცება. რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან ახალი აგრესიის მსხვერპლი გახდეს?*

— პირდაპირ გეტყვით, სანამ ეს ხელისუფლება იარსებებს, მუდმივი საფრთხის ქვეშ ვიქნებით. სანამ ჩვენი ე.წ. ხელისუფლება იქნება და საგარეო პოლიტიკა არ შეიცვლება, ქართველები უნდა ველოდოთ, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, უარესი საშიშროების წინაშე დავდგებით. მე არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოს დაშლა არ დამთავრებულა. რა ტერიტორიებიც დავკარეგთ, ეს იყო ჟურნალი, ახლა კინო დაიწყება, სადაც ნახავთ ჩვენს უბედურებას — 7 ნაწილად დაქუცმაცებულ ქვეყანას. ეს საფრთხე უკვე დიდი ხანია მოდის და ამ საფრთხის აცილება მხოლოდ გონიერ ხალხს შეუძლია; იმ ადამიანებს, ვისაც საქართველოსთვის გული შესტკივა. ვისაც საქართველო არად ენაღვლება და თავისი საჯდომი სკამები და მუცლის კეთილდღეობა მიაჩნია უპირველეს საზრუნავად, გასაგებია, რომ ეს ასე მოხდება. რაც შეეხება პანკისის ხეობას, ეს ახალი არ გახლავთ. ყოველთვის იძაბებოდა პანკისთან მიმართებაში სიტუაცია, როცა რუსეთთან ურთიერთობა რთულდებოდა. ამჯერად ეს თემა წინ რუსებმა წამოწიეს. მას შემდგომ, რაც რუსები მიიღებენ კანონს იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ ადგილობრივი, ლოკალური დარტყმები განახორციელონ იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენენ, რომ ამა თუ იმ ადგილას არის დივერსიის საშიშროება ანუ არიან ტერორისტები და სხვა. ძალიან ადვილი მოსალოდნელია, რომ მოხდეს პანკისის ხეობის დაპყრობა. იმიტომ, რომ ესენი განაცხადებენ, რომ ეს გზა არის ის გზა, საიდანაც შედის იარაღი და არაბული ძალები ჩრდილო კავკასიაში. ადრეც




### რატომ არის სახიფათო რეგიონებში რეფერენდუმების ჩატარება

იყო განგაში ამის შესახებ ატეხილი და შევარდნაძე უარყოფდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ გზით გადმოვიდნენ ჩეჩნები და აფხაზეთში შევიდნენ. დღესაც ასე იქნება.

*— ანუ დღესაც არსებობს პანკისიდან რეალური საფრთხე?*

— რა თქმა უნდა, რეალური საფრთხე არსებობს. არ არის გამორიცხული, რომ რაღაც ძალები ამ საფრთხეს ძალით ქმნიან. ეს ძალები ხელისუფლებაში არიან. ხელისუფლებაში დღესაც არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ ამგვარი გზით გადაირჩინონ თავიანთი ყოფნა ხელისუფლებაში და თავიანთ უსაფრთხოებას სწირავენ ჩვენი ქვეყნის არა მარტო სხეულს, არამედ სულსაც. ეს არის მთელი უბუდურება.

*— ორი დღის წინ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძე და უცხოელი ექსპერტები იმყოფებოდნენ პანკისის ხეობაში და აღნიშნეს, რომ იქ სიმშვიდეა და არანაირი საფრთხე ხეობაში არ არის.*

— გიორგი თარგამაძე იმას იტყვის, რაც ამ ხელისუფლებას სურს. მე გიორგი თარგამაძე არც მიმაჩნდა ოპოზიციონერად. სხვათა შორის, მისი ბრძნული მეტყველება ამ ბოლო დროს ჩემში ღიმილს იწვევს. თარგამაძემ განაცხადა, რადიკალიზმი პრივიტივიზმს ეტოლებაო თუ პრივიტივიზმი გახლავთო. ჯერ ერთი, პრივიტივიზმი ასე ხელწამოსაკრავი მსოფლმხედველობა არ გახლავთ. ცატა წაიკითხოს მაგ ყმაწვილმა. მეორეც, პრივიტივიზმად მას მიაჩნია ის, რომ ადამიანი ერთგულია თავისი ქვეყნის, მეგობრისა და რწმენისა. როდესაც თარგამაძე ხან ერთ ხელისუფალს ღალატობს და ხან მეორეს, ოღონდ თვითონ კარგად იყოს და ამაში ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ის ამის საპირისპირო ქრისტიანულ მოძღვრებას ქადაგებდეს. ზუსტად ეს გახლავთ მისი უბედურება, რომ ასლან აბაშიძეს და პატარკაციშვილს უღალატა ანუ ადამიანებს, რომლებმაც ადამიანად ჩამოაყალიბეს. ეს კაცი ქადაგებს დღეს პრივიტივიზმიაო რადიკალიზმი. რადგან თვითონ პარლამენტში ოპოზიციონერის მანტიით შებრძანდა და დღესაც ოპოზიციონერობს, მაშინ, როდესაც მისი პოზიცია არც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# BlackBerry „მაგთიკომისგან“

## კომპანია მომხმარებელს ქართულ ბაზარზე ყველაზე მაღალი ხარისხის მომსახურებასა და დაბალ ფასებს სთავაზობს

**ვისთვისაც დრო ძვირფასია და საქმიანობის გამო სულ ხაზზეა... ვინც ნებისმიერ მომენტში ადგილმდებარეობისდა მიუხედავად მზადაა მიიღოს და უპასუხოს ელექტრონულ ფოსტას – „მაგთიკომი“ BlackBerry-is სერვისის ბაზარზე შემოტანით აქამდე მოუგვარებელი პრობლემის მეტად იოლ გადაწყვეტას სთავაზობს და კორპორატიულ და ინდივიდუალურ მომხმარებელს ინტერნეტთან მუდმივი და ხარისხიანი წვდომის საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს.**

**სერვისზე დღემდე არსებული ყველაზე დაბალი ტარიფი, სმარტფონების მრავალფეროვანი არჩევანი, სერვისის ჩართვისა და შესაბამისი მობილური ტელეფონის შეძენის უმარტივესი გზა, ყველაზე ფართო დაფარვის ზონა და ტრადიციულად უმაღლესი ხარისხი – ეს იმ უპირატესობების ჩამონათვალია, რაც „მაგთიკომის“ ახალ სერვისს BlackBerry-is კონკურენტებთან მიმართებაში ბაზარზე გამოჩენის პირველივე დღიდან აქვს და სულ მოკლე ხანში ისეთი მსხვილი და გავლენიანი ორგანიზაციების ყურადღებაც კი მიიპყრო, როგორიც მაგალითად აშშ-ს საელჩოა.**




ელექტრონული ფოსტის შემოწმების, ინტერნეტში მუშაობის, ზარების განხორციელებისა და საქმიანი თუ გასართობი პროგრამების გამოყენების შეუზღუდავი შესაძლებლობის გარდა, „მაგთიკომი“ მომხმარებელს უახლესი მოდელის სმარტფონების ყველაზე მრავალფეროვან არჩევანსაც სთავაზობს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, მაგთის თითეულ მომსახურების ოფისში ამ დროისათვის უკვე შეგიძლიათ შეიძინოთ BlackBerry-ის მობილური ტელეფონის სამი სხვადასხვა მოდელი. ესენია: BlackBerry Bold, რომელიც მესამე თაობის ფუნქციებითაა აღჭურვილი და 1050 ლარი ღირს, BlackBerry Curve, რომლის ფასი 800 ლარით განისაზღვრება და BlackBerry Pearls, რომლის შეძენაც მხოლოდ და მხოლოდ 700 ლარადაა შესაძლებელი.

„BlackBerry მობილური ტელეფონის სპეციალური აპარატისა და სერვისის ერთობლიობა გახლავთ, რომელიც ინტერნეტთან წვდომის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. ის პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტას წარმოადგენს იმ ადამიანებისთვის, რომელთათვისაც დრო ძალიან ძვირფასია და დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება დასჭირდეთ ინტერნეტთან მუშაობა, ელექტრონული წერილის მიღება თუ გაგზავნა, სხვადასხვა ვებ-გვერდების დათვალიერება და პროგრამების გამოყენება.




იმისათვის, რომ BlackBerry-ის ტელეფონმა საკუთარი დანიშნულება შეასრულოს, ის აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს შესაბამისი მობილური ოპერატორი კომპანიის დაფარვის ზონაში. თუმცა, „მაგთიკომი“ ამ პრობლემასაც იოლად წყვეტს და მომხმარებელს როუმინგის დახმარებით საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისასაც ისევე თავისუფლად ისარგებლოს ინტერნეტით, როგორც საკუთარი ორგანიზაციის ოფისში ჯდომისას,“ – აცხადებს „მაგთიკომის“ აბონენტთა მომსახურების დეპარტამენტის მენეჯერი, ნინო ოკუჯავა.

აღსანიშნავია ისიც, რომ BlackBerry-ის აპარატებს ნებისმიერი ფორმატის ფაილის ტელეფონშივე გახსნის ფუნქცია აქვთ. ისინი მეილით მაქსიმუმ 3 მგბ-ის მოცულობის ინფორმაციის გაგზავნის შესაძლებლობას იძლევიან, თუმცა, ამავდროულად ფაილების შეკუმშვის განსაკუთრებულ უნარსაც ფლობენ.

„მაგთიკომი“ BlackBerry-ის შესაბამისი სერვისით ინდივიდუალურ და კორპორატიულ მომხმარებელს საკმაოდ დაბალი ტარიფით უზრუნველყოფს. კერძო პირებისა და მცირე ბიზნესისთვის კომპანიას ე.წ. BlackBarry Internet Service აქვს გათვლილი, რომლის 30 დღიანი ღირებულება 35 ლარი გახლავთ. ის ინდივიდუალური მომხმარებელი კი, რომელიც უკვე ფლობს ან მომავალში შეიძენს EVDO ტექნოლოგიის „მაგთი ფიქსის“ სწრაფ ინტერნეტს BlackBerry-ის სერვისს მხოლოდ და მხოლოდ 30 ლარად მიიღებს.

რაც შეეხება კორპორატიულ კლიენტებს, მათ სერვისის გასააქტიურებლად დამატებითი ლიცენზია სჭირდებათ, რომლის ფასი აბონენტების რაოდენობაზეა დამოკიდებული. მაგთის სერვის-ცენტრებში სხვადასხვა კომპანიებს BlackBarry Enterprise Server-ისა და BlackBarry Professioonal Softwares-ის სერვისებს უკვე სთავაზობენ. ამ შემთხვევაში სააბონენტო გადასახადი 60 ლარით განისაზღვრება.

**ნინო ოკუჯავა:** „BlackBarry-ის სერვისი გათვლილია როგორც კორპორატიულ, ასევე ინდივიდუალურ მომხმარებელზე. კერძო პირებს ვთავაზობთ ე.წ. BIS (BlackBarry Internet Service) სერვისს, რომლის გააქტიურება მთელი საქართველოს მასშტაბით „მაგთიკომის“ ნებისმიერ სერვის-ცენტრში შეიძლება. აქვე შესაბამისი მობილური ტელეფონის შეძენაცაა შესაძლებელი... კონკრეტული სერვისის ჩართვის შემდეგ მომხმარებელს საშუალება აქვს გაააქტიუროს 10-მდე საფოსტო მისამართი და საკუთარი ტელეფონიდან იქონიოს მათზე წვდომა.

რაც შეეხება კორპორატიულ მომხმარებელს, მათ BlackBerry-ით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ კომპანიას აქვს შესაბამისი მეილ-სერვერი და აღნიშნული სერვისით სარგებლობის ლიცენზია. „მაგთიკომის“ რიგით პირველი კორპორატიული კლიენტი აშშ-ს საელჩო გახლავთ.“

მსოფლიოში BlackBerry-ის ტელეფონებისა და სერვისების ერთადერთი მწარმოებელი და საავტორო უფლებების მფლობელი კანადური კომპანია „RIM“ გახლავთ. მისი ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით, საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ „მაგთიკომია“ უფლებამოსილი გაავრცელოს აღნიშნული მომსახურება. კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე, ზურაბ გურგენიძე BlackBerry-ის ოფიციალურ პრეზენტაციაზე ერთ-ერთი ქართული პერიოდული გამოცემის ჟურნალისტის კითხვას – თქვენი ერთ-ერთი კონკურენტი BlackBerry-ის სერვისს ხომ უკვე თვეზე მეტია ფლობსო, ასე პასუხობს: “კანადური ორგანიზაცია „RIM“ მსოფლიოში BlackBerry ტელეფონებისა და სერვისების ერთადერთი მწარმოებელი და საავტორო უფლებების მფლობელი გახლავთ და მხოლოდ მას შეუძლია სხვადასხვა ქვეყნის მობილურ ოპერატორებს პროვაიდერობის უფლება მიანიჭოს. „RIM“-ის ოფიციალური საიტის მიხედვით კი, საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ “მაგთიკომი“ გახლავთ უფლებამოსილი გაავრცელოს BlackBerry-ის ტელეფონები და სერვისი და თუ ვინმეს ამ ინფორმაციის სიზუსტეში ეჭვი შეეპარება, თავისუფლად შეუძლია შევიდეს ვებ-გვერდზე – www. rim.com და საკუთარი თვალით იხილოს ზემოთაღნიშნული მონაცემები.“

„მაგთიკომმა“ სპეციალურად BlackBerry-ის მომხმარებლისათვის ახალ ინდექსი 899 00... გახსნა.

„მაგთიკომი“ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების აღმოჩენა-დანერგვა-განვითარებასაც არანაკლებ აქტიურად უდგას მხარში, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა 29-30 ოქტომბერს სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომუნიკაცების ბიზნეს საბჭოსა და ელექტრონული მმართველობის განვითარების სახელმწიფო კომისიის მიერ გამართული ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია, რომლის პლატინის სპონსორი სწორედ „მაგთიკომი“ გახლდათ... ღონისძიების მთავარი მიზანი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება; ბიზნესკავშირების დამყარება და განვითარება და რეგიონალური თანამშრომლობის ახალი გზების ძიება იყო.

*ანა ვაჩნაძე*

# დიმა ჯაიანს არავინ დევნის?

გულიკო ბალა ე

**სოხუმის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელ დიმა ჯაიანთან დაკავშირებით წარმოშობილი სკანდალის შესახებ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი სერგი საჯაია აცხადებს, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში არ იგეგმება არც თეატრის გაუქმება და არც ვინმეს თანამდებობიდან გათავისუფლება. უბრალოდ, თეატრის ფინანსური შემოწმება მიმდინარეობს, რომლის დროსაც შენიშვნები გამორიცხული არ არის.**

***— ბატონო სერგი, აფხაზეთის ხელისუფლებაში მართლა განიხილება სოხუმის თეატრის დახურვის საკითხი?***

— თეატრი, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის სისხლხორცეული ნაწილია და მისი სულის სახეზოგადობაა, არავითარ შემთხვევაში არ დაიხურება. ეს გამორიცხულია. პირიქით, ის, როგორც შემოქმედებითად, ასევე მატერიალური ბაზით კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

***— არც რაიმე საკადრო ცვლილებები განიხილება? ხელისუფლება რატომ უნდა ერეოდეს თეატრის შიდა საქმეებში? თეატრის ხელმძღვანელის არჩევა-გადარჩევის საკითხი თვითონ თეატრის კოლექტივმა გადაწყვიტოს.***

— შემოქმედება იმდენად სათუთი საკითხია, რომ მასზე ზემოქმედება და თითის ქნევით ჩარევა არათუ უშედეგოა, ის უზნეობაცაა. ამდენად, არავინ გეგმავს თეატრის ფაქიზ შემოქმედებასა და მის შიდა ორგანიზაციულ საკითხებში ჩარევას. მაგრამ ხელისუფლებას აინტერესებს, საერთოდ, შემოქმედება, როგორც სტრატეგიული მიმართულება აფხაზეთის ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დეოკუპაციის საკითხში, რამდენად და რაში უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებით თეატრის დასი, რა დახმარება სჭირდება მას სპექტაკლების მაღალმხატვრული დადგმისთვის. მოკლედ, ეს მთელი მეურნეობაა, რომლის ქმედუნარიანობის მიმართ ვერანაირი ხელისუფლება გულგრილი ვერ იქნება. საუბარია თეატრისა და ხელისუფლების კონსტრუქციულ ურთიერთობაზე, რომლის შედეგი აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის სულისკვეთების მხატვრულ სახეზოგადობებში ასახვაა. არავინ არ არის ჩასაფრებული თეატრს.

***— აბა, რატომ საუბრობს ბატონი დიმა ჯაიანი ამაზე?***

— სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი არ არის არათუ ერთი სუბიექტის კუთვნილება, ის არც მხოლოდ აფხაზეთის საზოგადოების კუთვნილებაა. იგი გახლავთ სრულიად საქართველოს შემოქმედებითი ღირებულება. ჩვენ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის ძირძველ ქართველობას ამ კოლექტივთან უფრო მეტი გვაკავშირებს, ვიდრე ეს თეატრალური სანახაობაა, რაც თავისთავად ფასეულობას წარმოადგენს.

***— ამას რატომ ამბობთ?***

— დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ საუბარი ამ თეატრის დაშლაზე, იმათი სურვილების გახმოვანებაა, რომელსაც დღედაღამ ეოცნებება აფხაზეთის შემოქმედებითი და ლეგიტიმური სტრუქტურების დემონტაჟი დევნილობაში. ამ ძალებს სჭირდებათ აგრესიული სეპარატიზმის მიერ დაფინანსებული აფხაზეთის ეთნოკრატიულ-სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც კრებულის ოპერეტული სტრუქტურა იქნება. ამდენად, თუ არ იარსებებს დევნილი მოსახლეობა და დევნილი სახელისუფლებო სტრუქტურები, ამით აფხაზეთის დეოკუპაციის პრობლემა მოიხსნება ამ ძალებისთვის.



***— თქვენ, ალბათ, გაეცანით სოხუმის თეატრის ხელმძღვანელ დიმა ჯაიანის განცხადებებს თეატრთან დაკავშირებით ქართულ პრესაში. ბატონი დიმა ჯაიანი ამბობს, რომ მას სდევნიან პოლიტიკური მრწამსის გამო.***

— ეს ასე არ არის. საქმე ისაა, რომ აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასა და მთავრობაში მოვიდნენ ახალი ადამიანები, რომლებმაც დაგროვილ პრობლემებს ახალი, კონსტრუქციული მზერით შეხედეს. ბუნებრივია, დაიგეგმა გარკვეული რეფორმებიც. რაც შეეხება შემოწმებებს, იგი ჩვეულებრივი, გეგმიური პროცესია საბიუჯეტო ორგანიზაციებში. მაგალითად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ამა წლის აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში ამოწმებდა აფხაზეთის სახალხო კონტროლი და, როგორ ფიქრობთ, არც ერთი შენიშვნა არ იქნებოდა? შენიშვნები, რა თქმა უნდა, იყო. შეიძლება, მეც მივიღე ასეთი შენიშვნა, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ გამოდგება იმის მიზეზად, რომ ვიძახო, ვილაც პოლიტიკური ნიშნით მდევნის-მეთქი. ეს თეატრი ფინანსდება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ. იქ მივიდა ახალი მინისტრი, რომელსაც, ბუნებრივია, უნდა აინტერესებდეს და აინტერესებს არა მარტო თეატრი, არამედ უნივერსიტეტებიც, სკოლებიც, ანსამბლებიც და ა.შ. რამდენადაც ვიცი, ახალმა მინისტრმა შეისწავლა თავისი მეურნეობა, რაც მისი პირდაპირი მოვალეობაა. რა თქმა უნდა, შემოწმებულთაგან ზოგი შეაქეს, ზოგსაც მიუთითეს, მაგრამ მათგან არავის განუცხადებია, რომ ისინი იდევნებიან. ახლა წლის ბოლოა. უნდა დამტკიცდეს მომავალი წლის ბიუჯეტი. თუ მინისტრმა არ შეისწავლა მდგომარეობა თეატრში, არ განსაზღვრა პრიორიტეტები, არ დაიანგარიშა მოსალოდნელი ხარჯები, როგორ უნდა განესაზღვროს ამ შემოქმედებით კოლექტივს სახელფასო ფონდი, სადადგმო და სხვა სამეურნეო ხარჯები?!

***— ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ბატონი დიმა ჯაიანი ასახელებს კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებიც მას ავიწროებენ.***

— მე იმ პიროვნებებსაც ვიცნობ, ბატონ დიმა ჯაიანსაც და მისი წერილების პათოსსაც. ის, ვისაც ბატონი დიმა უკიდურესობამდე ლანძღავს, არ მაინტერესებს, რამდენადაა მტყუან-მართალი, თანაც, ის აფხაზეთის საზოგადოებრიობის სახეზოგადობა არ გახლავთ. ჩემთვის დასანანია, რომ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის თეატრის ჭერქვეშ მისი მესვეური, წესით, დახვეწილი ინტელიგენტი, ასე მეტყველებს. ბატონი დიმა მე ძალიან კარგად მიცნობს და ის ვერ დაასახელებს ჩემი ცხოვრებიდან მონაკვეთს, რომ რაიმე სახის კონიუნქტურას ავყოლოდი. ამიტომ მას მამაკაცურად და კეთილმოსურნედ შევახსენებ, რომ ამ თეატრის ჭერქვეშ მოღვაწეობდნენ ლეგენდარული ლეო ჭედია, მიხეილ გაგნიძე, სერგო ჭელიძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ოთარ კობერიძე და სხვანი, რომლებიც არა მხოლოდ ქართული სიტყვის დიდოსტატები იყვნენ, არამედ უაღრესად თავდაჭერილები გახლდნენ ყოფით ყოველდღიურობაში და ამით განსაზღვრავდნენ აფხაზეთის საზოგადოების დონეს.

***— ბატონ დიმას თავდაჭერილობას უწუნებთ?***

— მიმართვები, რომლითაც იგი მიმართავს ადრესატებს, თავისი ხასიათით მხოლოდ და მხოლოდ ქუჩისფსკერული ლანძღვაა. მე არ მემეტება დიმა ჯაიანი კაცღმერთული ამბიციებისათვის. არადა, მთელი მისი მონოლოგები კაცთღმერთობის კვარცხლბეკზე თვითდამკვიდრების მცდელობაა. გვგონია, უფალი არ გვსჯის და არ დაგვსჯის ამდენი ავმოსურნეობისთვის? მე რამდენიმე ტყუილი შევამჩნიე, ასე ვთქვათ, მის „მგზნებარე მონოლოგებში“. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთში რუბრიკით „სკანდალი“ დიმა ჯაიანი წერს, რომ საბჭოთა პერიოდში ის იყო პოლიტპატიმარი. ნებისმიერმა სოხუმელმა იცის, რომ ის არასოდეს ყოფილა პოლიტპატიმარი.

***— თუ პოლიტპატიმარი არ იყო, აბა, რისთვის იჯდა ციხეში დიმა ჯაიანი?***

— მან სოხუმში ერთ-ერთ რესტორანში სცემა ვილაც არმენს, რაც დაკვალიფიცირდა „ბოროტ ხულიგნობად და სათანადოდ მიუსაჯეს. შემდეგ საქმეში ჩაერივნენ გავლენიანი პირები, დიმამ ბოდიში მოუხადა დაზარალებულს და პირობით გამოუშვეს ციხიდან. აი, მისი მთელი პოლიტკატორღა.

***— ბატონო სერგი, იქნებ თქვენ არ იცით და ახლა ხდება ხელისუფლების მხრიდან დიმა ჯაიანზე ზეწოლა?***

— ხმამაღლა, მკაფიოდ და ოთხივკუთხივ ვაცხადებ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სრუქტურებში არასოდეს დასმულა, არიქა, დიმა ჯაიანს ჩაუსაფრდითო. მეტსაც გეტყვით, დიმა ჯაიანის პატივმოყვარეობის მკვებავი წყარო სწორედ აფხაზეთის ხელისუფლებაში მის მიმართ გამოჩენილი ზოგიერთი საეჭვო რევერანსი იყო. მთელ ამ მონოლოგებში ბილწსიტყვაობის (რაც თავისთავად ღვთის გმობაა) და ყურით მოთრეული ჭორების გარდა არავითარი კონკრეტიკა არ არის. მეჩვენება, რომ მთელი ეს სკანდალი და ხმაური მას გარკვეული პრევენციისთვის სჭირდება.

# ახალი კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიებს დააკარგვინებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

პოზიციაა და არც ოპოზიცია. ამიტომ თარგამაძის რაიმე დასკვნები ჩემთვის არის ჰაერში გაშვებული საპნის ბუშტები. ისინი ისევე სწრაფად ქრებიან, როგორც ეს საპნის ბუშტები. მაგრამ საშიშროება არსებობს. არა მარტო პანკისში, საშიშროება არსებობს ახალგორში. 16 ქართველის მოტაცება და კიდევ 5 ქართველის, ეს ხომ შემთხვევით არ ხდება? ესენი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ, ასე გვიქნეს, ისე გვიქნესო. ბოდიში მომითხოვია, კაცს რომ გააუპატიურებენ, მერე სადაც უნდა, იქ იჩივლოს. ქრისტე რომ ამბობდა, როცა მარცხენა ლოყაში გაგარტყავენ, მარჯვენა უნდა მიუშვიროო, ის ამბობდა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საკითხი რელიგიას და რწმენას არ ეხებოდა. თუ ვინმე პიროვნულად შეურაცხყოფას მოგაყენებს, შეიძლება მიუტევო. მაგრამ როცა შეურაცხყოფას სამშობლოს და რელიგიას აყენებდნენ, ქრისტემ კვერთხი აიღო და ეკლესიიდან განდევნა ქორვაჭრები, ფარისევლები, რომლებიც ეკლესიაში იყვნენ. ასევეა დღეს. ესენი ხმას არ იღებენ, თითქოს მშვიდობის გზით უნდათ სიარული. ხალხს უნდა მოვლა. რაიონები დაიცალა. მამისონი დავტოვეთ. აქეთ სომხებს ვუტოვებთ სოფლებს. რაღად უნდათ ბრძოლა? თანდათან, როგორც შაგრენის ტყავი, ისე პატარავდება საქართველო. აქეთ აზერბაიჯანმა წაიღო ტერიტორიები. იმიტომ, რომ თავის საკუთარი ხელით აბარებენ ჩვენს მიწაწყალს. ამიტომ, საშიშროება არის უფრო დიდი, ვიდრე ეს პანკისი ხეობა გახლავთ. იმიტომ, რომ ეს საშიშროება ჩვენშია — ხელისუფლებაშია.

***— საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ადგილობრივ თვითმმართველობებს ფუნქცია და მნიშვნელობა გაეზარდოთ და მათ ადგილებზე რეფერენდუმების ჩატარების უფლება მიეცეთ. რას იტყვით ამ საკანონმდებლო ინიციატივაზე?***

— ეს არის არა დიდი აბსურდი, არამედ ეს არის ქვეყნის და სამშობლოს ღალატი. თქვენ ჩაატარეთ ჯავახეთში რეფერენდუმი და ნახავთ, რა შედეგს მიიღებთ. ანდა ქვემო ქართლში ჩაატარეთ რეფერენდუმი და ნახავთ, რა შედეგს მიიღებთ. აქეთკენ არის მიმართული ასეთი კანონები. ესენი ქვეყანას და სამშობლოს კი არ იცავენ, ესენი არიან სომხური ლობის გაგრძელება. სომხებს რაც უნდათ, გასაგებია. ებრაელებს რაც უნდათ, ესეც გასაგებია. ამერიკას და რუსეთს რაც უნდა, ესეც ხომ ყველასთვის ნათელია. ესენი ყველა ძალასთან გართხმული და მუხლებზე დაჩოქილი არიან. იმიტომ, რომ საკუთარი თავი და სკამები გადაირჩინონ. აგრეთვე შეინარჩუნონ მოპარული მილიარდები.

***— სომხეთის ინტერესების გატარება ხდება კონსტიტუციის ახალ ვარიანტში?***

— რა თქმა უნდა. საერთოდ, არაერთხელ მითქვამს, რომ მსოფლიო გლობალიზაციის მთავარი პრობლემაა ეროვნული სახელმწიფოების და ეროვნებების მოშთობა. უპირველეს ყოვლისა, დარტყმას აყენებენ მართლმადიდებელ საქართველოს. აი, ეს არის მთავარი. თეა თუთბერიძე რომ გამოვიდა და მერე თუთბერიძის დამცველები რომ გამოვიდნენ, დოდონა კიზირიას სახით, მე ეს დამცველები უფრო მაღიზიანებს, ვიდრე თვითონ თუთბერიძე. დოდონა კიზირიას განათლების დონეც ვიცი, მისი მეცნიერული მიღწევებიც ვიცი, მისი წერილების შინაარსიც და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ დოდონა კიზირია არაფერია. ძალია ვთხოვთ კიზირიას, ქართველებს ნუკი გვასწავლის, როგორ მოვიქცეთ, ამერიკელებს ასწავლოს, დედაშვილს და მამა-შვილს შორის არ ხდებოდეს სიბინძურე. დოდონა კიზირია ჩვენ ვერასოდეს ჭკუას ვერ გვასწავლის. იმიტომ, რომ კი იძახის, ჩემი მენტალიტეტი ქართულიაო, მაგრამ არც ქართულია და არც ამერიკული. ეს არის ლამურას მენტალიტეტი. გამოვიდა მეორე, ვინმე ამირეჯიბი და განაცხადა, რომ თურმე ჩვენ პატრიარქი კი არა, თუთბერიძე უნდა დავიცვათ. იმიტომ, რომ აკადემია საბჭოთა გადმონაშთია. საბჭოთა გადმონაშთია ქართული ეკლესია. თურმე აკაკი შანიძე, მუსხელიშვილი და სხვები საბჭოთა გადმონაშთები არიან და მისი რექტორი გიგი თევზაძე, რომელმაც ძლივს დაიცვა, ორჯერ ჩავუგდე სადოქტორო დისერტაცია, ის ყოფილა თურმე ახალი მოვლენა; თევზაძე, რომელმაც უნდა შექმნას ახალი ქართველი. არა მგონია, ის ამირეჯიბი იყოს. გვარს აფუჭებს. ისეთი ჟესტიკულაცია და ხმა ჰქონდა, ცოტა ცისფერების მეგობარი უნდა იყოს. იმან თავის თავს მიხედოს, თავისი თავი დაიცვას და არა თეა თუთბერიძე. ასეთი ნაძირლები უნდა ამოიშანთონ საქართველოდან. სანამ თავისუფლების ინსტიტუტის ბახალები იქნებიან ხელისუფლებაში, საქართველოს არაფერი ეშველება, ასე თანდათან დაიშლება. ხედავთ, რომ დაშლის და განადგურების პირას ვართ. მთელი საქართველო უნდა დადგეს ფეხზე და დემოკრატიის პრინციპების გამო „თავისუფლების ინსტიტუტი“ კი არ უნდა დავიცვათ და ის იდიოტი თუთბერიძე — ამაშუკელმა კარგად თქვა, ზაკუსკის თეფშებს უგავს ყურებიო, უნდა დავიცვათ საქართველო. საქართველოს მაშინ გადავარჩენთ, როცა „თავისუფლების ინსტიტუტი“, როგორც ასეთი, მოისპობა საქართველოში. შემდეგ „თავისუფლების ინსტიტუტს“ სოროსის ფონდი — „ღია საზოგადოება საქართველოც“ მოჰყვება. სამწუხაროდ, დღეს მრავლდება სამოქალაქო საზოგადოებები, რომელთა დაფინანსებაც ხდება ამერიკიდან. ეს გახლავთ ობამას ახალი პოლიტიკა ანუ მტრედების პოლიტიკა. მოგეხსენებათ, ამერიკაში ორი ძალაა — მტრედები და ქორები. მათი პოლიტიკა მხოლოდ ერთი რამით — სტრატეგიით განსხვავდება. ქორები ამბობენ, ჩვენ მოვალთ და იარაღის ძალით დავამყარებთ დემოკრატიას და მთელ მსოფლიოში მოვიპოვებთ გავლენას, მტრედები ამბობენ, — ჩვენ შიგნიდან უნდა ვიმოქმედოთ: ხალხი უნდა ავაჯანყოთ, ხალხი უნდა მოვქრთამოთ; ჩვენ უნდა ხალხს შევუცვალოთ ცნობიერება. უნდა შევქმნათ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც თანდათან ხელში აიღებენ ძალაუფლებას და ისევ გავბატონდებით მთელ მსოფლიოზეო. აი, ეს არის ამერიკის ახალი პოლიტიკა. თუ რუსეთი მოდის ხმლით, ესენი მოდიან კანფეტებით, დემოკრატიის ძახილით. უნდა შევისწავლოთ და ხალხმა იცოდეს, ვინ აფინანსებს ამ სამოქალაქო საზოგადოებებს. ესენი არიან გავლენის აგენტები. ყველა არის გავლენის აგენტი. პერსონა ნონგრატად უნდა გამოცხადდეს ყველა, ვინც კი შემჩნეულია, რომ ფულის გამო საქართველოს ინტერესებს ყიდის.

## „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ თანაპარტიელის დაკავებას აპროტესტებს

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ თანაპარტიელის, თეთრიწყაროს რაიონის კოორდინატორის მერაბ ძირკველიძის დაკავების ფაქტს აპროტესტებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა რომან კუსიანმა განუცხადა, ძირკველიძეს, რომელიც ამავე დროს სათემო ორგანიზაცია „წინწყაროს“ ხელმძღვანელია, გუშინ დილით რუსთავის სასამართლომ თანხის მითვისების ბრალდებით წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

მისივე განმარტებით, ორგანიზაცია „წინწყაროს“ საქველმოქმედო ორგანიზაცია „თეამ“ 23 ათასი ლარის სამუშაოს შესრულება დაუკვეთა, გამოძიება კი ძირკველიძეს ამ თანხიდან 450 ლარს ედავება.

ბურჯანაძის თანაგუნდელის მტკიცებით, მათი კოორდინატორის დაკავება და მისთვის ბრალის წაყენება უკანონოდ მოხდა, რადგან ძირკველიძეს მომჩივანი არ ჰყავს და, შესაბამისად, არც დაზარალებული არსებობს.

— მის წინააღმდეგ არც დამკვეთი ორგანიზაცია ჩივის, სასამართლომ მას პატიმრობა ყოველგვარი მტკიცებულებებისა და არგუმენტების გარეშე მიუსაჯა, — აღნიშნა კუსიანმა.

ძირკველიძის პატიმრობის მიზეზად პარტიაში თეთრიწყაროს რაიონის გამგებელთან დაკავშირებულ ვერსიას ასახელებენ. კუსიანის თქმით, გამგებელმა გია მესტვირიშვილმა მერაბ ძირკველიძეს მმართველ ძალასთან თანამშრომლობა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო და ამის გამო აღნიშნული საქმე „შეითითხნა“.

მისივე ინფორმაციით, მერაბ ძირკველიძე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ორი დღის წინ დააკავა.

ინტერპრესნიუსი

## ცხინვალში სამხედრო წვრთნები გაიმართა

ცხინვალში განლაგებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე ანტიტერორისტული წვრთნები გაიმართა, რომელშიც რუს სამხედროებთან ერთად ოსური შეიარაღებული ფორმირებებიც მონაწილეობდნენ.

ადგილობრივი წყაროების ცნობით, წვრთნების სცენარის მიხედვით, პირობითმა ტერორისტებმა ტერაქტის განხორციელების მიზნით, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე შეღწევა სცადეს, მაგრამ რუსულ-ოსურმა ძალებმა ტერაქტი აღკვეთეს, ტერორისტები კი, დააკავეს.

რუსეთის საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობა, მსგავს წვრთნებს მომავალშიც ჩაატარებს.

მედიანიუსი

## ზურაბ წერეთელმა სოჭის ოლიმპიადისთვის ახალი პროექტი ჩაიფიქრა

ზურაბ წერეთელმა სოჭისთვის ახალი მასშტაბური პროექტი ჩაიფიქრა. „იტარ-ტასის“ ცნობით, რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის სკულპტორს დიდი სურვილი აქვს, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქისთვის ახალი პროექტი გააკეთოს. სააგენტოს ცნობით, წერეთელს უკვე მზად აქვს ესკიზები სკულპტურული კომპოზიციისთვის, რომლის სამუშაო სახელწოდებაა „სპორტის ისტორია ქვაში“. რუსეთის ხელისუფლება წერეთელის ახალ იდეას სიამოვნებით შეხვდა.

ინტერპრესნიუსი

# ევროპა ოპოზიციის მხარეზეა

## ხელისუფლების წინააღმდეგ ახალ ტალღას ვიწყებთ

**ინტერვიუ პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერთან სალომე ზურაბიშვილთან**

***— 7 ნოემბერს არასაპარლამენტო ოპოზიცია იკრიბება, რათა წარმოადგინოს პრეზიდენტ სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის საკუთარი შეფასება. თქვენი პარტია რაზე გააკეთებს საკუთარ დასკვნაში აქცენტს?***

— ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ხედვა იმისა, თუ როგორ ვაფასებთ 6 წლის განმავლობაში განხორციელებულ, პირდაპირ ვიტყოდი, ქვეყნის ნგრევას და ეკონომიკის დაქცევას, განსაკუთრებით - ბოლო პერიოდში, დოკუმენტურად იყოს დასაბუთებული. ეს დოკუმენტები ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, რათა შემდგომ გავიტანოთ ქვეყნის გარეთ. ჩვენი პარტიის მიერ მომზადებული დასკვნა მოიცავს მთელს ამ პერიოდს, იმას, თუ რა შანსები გავუშვით ხელიდან, იმას, თუ რა მოუტანა ბოლო პერიოდში 100-დღიანმა პროტესტმა ქვეყანას, ხელისუფლებას და ოპოზიციას... ზაფხულის აქციებმა შედეგად ხელისუფლების ყველა მიმართულებით გაჩერება გამოიღო, თუმცა მხოლოდ დროებით და აქციების დასრულებისთანავე კვლავ დაიწყო მმართველი რეჟიმის თავზეხელაღებული ქმედებები. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ხელისუფლების ნდობა და ნებაზე მიშვება არ შეიძლება. ეს ნათელია და ჩვენი დასკვნიდანაც გამოჩნდება, რომ ხელისუფლება ნებაზე მიშვების შემთხვევაში აძლიერებს ქმედებებს, რომლებსაც ქვეყანა უკუსვლით მიჰყავს. დღეს საქართველოს პრობლემა არა დემოკრატიული განვითარების და სახელმწიფოს შენების ტემპია, არამედ ის, რომ ხელახლა მივდივართ საბჭოთა სისტემისკენ.

***— თქვენს გარდა, კიდევ რომელი ოპოზიციური პარტია აპირებს დასკვნის მომზადებას?***

— შესაბამისი ინიციატივით მივმართეთ ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომელთაგან 80%-მა თანხმობა უკვე მოგვცა. ორი პარტია ჯერ-ჯერობით უარს ამბობს დასკვნის დადებაზე. როგორც გითხარით, ყველას გადავუგზავნეთ მიმართვა და საბოლოო პასუხებს ჯერ კიდევ ველით.

***— მიმდინარე წლის 7 ნოემბერს თქვენი ინიციატივით, 2007 წლის 7 ნოემბრისადმი მიძღვნილი აქციაა დაგეგმილი. რა ტიპის აქციის გამართვას გეგმავთ?***

— 2007 წლის 7 ნოემბერი ისტორიაში ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვან თარიღად დარჩება. ჩემი აზრით, სწორედ იმ დღიდან იწყება ქვეყნის რადიკალური უკუსვლა ყველა მიმართულებით. ამდენად 7 ნოემბერი არის წყალგამყოფი თარიღი ჩვენთვის და არ შეიძლება, იმ დღეს არ დავფიქრდეთ, რას ვაპირებთ, რა გზით უნდა ვიაროთ.... მეორე ნაწილი ღონისძიებისა ხალხთან ერთად ამ დღის აღნიშვნა და გახსენება იქნება. ალბათ, პარლამენტთან შევიკრიბებით და შემდეგ მოეწყობა მსვლელობა, თუმცა დეტალები საბოლოოდ განსაზღვრული ჯერ არაა. ვიცი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც ამზადებენ რაღაცას და ეს იქნება ერთობლივი ღონისძიება. ეს არის დღე, როდესაც უნდა გამოხვიდე გარეთ და შენი პირადი პროტესტი დააფიქსირო, ასევე დღე-პასუხი ხელისუფლების ზერელე განცხადებებზე, თითქოს ჩვენ დავმარცხდით და მან გაიმარჯვა. ხელისუფლებამ ვერაფერი შესძლო გარდა იმისა, რომ პლაკატებზე დახატა, რომელ შენობას აშენებს, ან ააშენა, - ეს ძალიან უსუსური დემარშია! 7 ნოემბერი არის ასევე ნათელი მაგალითი იმისა, რომ ქვეყნის სათავეში ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული ძალები არიან, რომლებიც უნდა დავამარცხოთ და ამას მხოლოდ ხალხთან ერთად გავაკეთებთ. ჩვენ გვინდა, დავაფიქსიროთ, რომ აქ ვართ, არსად წავსულვართ და ჩვენი პროტესტი გრძელდება. შემდეგ უკვე განვსაზღვრავთ, რა ფორმებს მიიღებს ეს პროტესტი და მე ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები მაქვს.

***— ამავდროულად, ნოემბრის დასაწყისში სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალები აქციების განახლებას გეგმავენ. უცხოეთიდან ჩამოსვლისთანავე თქვენ მათთან კონსულტაციები დაიწყეთ. რა კონკრეტული გეგმებია სადღეისოდ ოპოზიციაში?***

— არავითარ შემთხვევაში არ განვმეორდებით! - ამაზე საუბრობს ის, ვისაც ოპოზიცია სხვა სიტუაციაში ვერ წარმოუდგენია. საუბარი პერმანენტულ აქციებზე სახელისუფლებო წრეებიდან მოდის, რათა შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს მხოლოდ ამას ვაკეთებთ და სხვა არაფერი შეგვიძლია. მერწმუნეთ, დღეს სხვა სიტუაციაა! მაშინ პერმანენტული აქციები აუცილებელი იყო, ხოლო ის, რაც გაკეთდა - წარმატებული, რადგან შიშველი ხელებით გავიმარჯვეთ ხელისუფლებაზე.

***— თუმცა ეს იყო მხოლოდ დროებით, ქალბატონო სალომე...***

— დიახ, ეს იყო დროებით, რადგან შიშველი ხელებით ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენს თავს და ყველას, რისი გაკეთება შეგვიძლია სწორედ შიშველი ხელებით, მშვიდობიანად და ყველანაირი ფულადი თუ სხვა დახმარების გარეშე. ეხლა ვნახოთ, რას ვიზამთ, როცა მივიღებთ უფრო მეტ დახმარებას.

***— რა სახის დახმარებას გულისხმობთ კონკრეტულად?***

— ხელისუფლებამ იმდენად გაიშიშვლა თავი, რომ დღეს ქვეყნის გარედან ბევრად მეტი გაგებაა ჩვენი პოზიციებისა და შესაბამისად, ბევრად მეტ მხარდაჭერას შეიძლება, ველოდოთ. მე გახლდით ევროპაში და მინდა, გითხრათ, რომ დღეს ვართ უფრო კარგ სიტუაციაში, ვიდრე ივნისში ვიყავით. სწორედ ამიტომ უნდა დავიწყოთ ახალი ეტაპი, ახალი ტალღა და არა იგივე გავიმეოროთ. მაშინ საუბარი იყო ჩვენი და ხელისუფლების ძალების „მოსინჯვაზე“, რაც განვახორციელეთ კიდეც. რაც შეეხება ახალ ეტაპს, ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიცია ორად არის გაყოფილი, თუმცა კვაზიტოტალურ სისტემასთან ბრძოლაში შეუძლებელია, იბრძოლო მხოლოდ მოლაპარაკებების ან მხოლოდ ქუჩის გზით. თუ ეს ორი გზა გადაჯაჭვული არაა, ცალ-ცალკე მიზნამდე ვერც ერთი ვერ მიგვიყვანს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სტატიებით, შეხვედრებით ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, აქციებით და, რა თქმა უნდა, არჩევნებითაც, რადგან მე ჯერ არავინ მინახავს, ვინც ამ გზას ასცილებია.

***— ანუ, ადასტურებთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაში ორი ფრთა არსებობს?***

— არა, არ ვადასტურებ: იქ ორი კი არა, ათი და შეიძლება, მეტი ფრთაც არის. რამდენი პარტიაცაა, იმდენი განსხვავებული ხედვაა წარსულის და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივიდეთ შედეგამდე. მაგრამ საინტერესო უფრო ისაა, რა გვაქვს საერთო: ესაა მთავარი და უცვლელი მოთხოვნა, რომ ქვეყნისთვის მავნებელი ხელისუფლება წავიდეს, ამასთან, წავიდეს არჩევნების გზით და ამისთვის ერთად უნდა ვიბრძოლოთ. ეს სამი კომპონენტი გვაერთიანებს ყველას, თუმცა ცხადია, რომ ვართ სხვადასხვა ადამიანები, - ეს რომ არ ყოფილიყო, დიდი ხანია, ერთ პარტიაში ვიქნებოდით, რაც კატასტროფა იქნებოდა სახელმწიფოსთვის. ამ ქვეყანას ყველაფერს ვუსურვებ, გარდა კიდევ ერთი მონოპოლისტი პარტიისა.

***— გეთანხმებით, მაგრამ ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საკმაოდ დაბალი რეიტინგის მქონე 10 ოპოზიციური პარტია მეტისმეტია პატარა ქვეყნისათვის?***



— დიახ, გეთანხმებით, არც 10 პარტია გვჭირდება. არჩევნებზე ისინი ალბათ, „ჩამოიწურებიან“ კიდეც, რადგან არსებობს 4-5 პარტია, რომელსაც რეალურად შეუძლია საარჩევნო ბარიერის გადალახვა. ჩვენ გვჭირდება ეს 5 პარტია მომავალში, როდესაც ხელისუფლება შეიცვლება და ამაზე ვმუშაობთ კიდეც. ამ ორ წელიწადში ჩხუბით, ყვირილით, მშვიდად თუ კარის ბრახუნით, ერთმანეთის მოსმენა ვისწავლეთ და დღეს შეგვიძლია, დავსხდეთ და ხელისუფლების უკანონო ქმედებების შესახებ დასკვნა დავდოთ, - ჩემთვის ესაა მთავარი. სანამ თქვენ იტყვით, მე თვითონ ვიტყვი, რომ ეს ოპოზიცია სუსტია და არ არის იდეალური, ისეთი, როგორიც მინდა, დავინახო ამ ქვეყანაში, მაგრამ რაც არის, ეს არის და მიხარია, რომ მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან ურთიერთობა ვისწავლეთ. ეს ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანია, რათა მომდევნო, არჩევნების გზით მოსული მთავრობა იყოს კოალიციური, - ამის გარეშე კრიზისიდან ვერ გამოვალთ!

***— ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ მოვიდა დრო, ოპოზიციაში შიდა „ფილტრაცია“ განხორციელდეს? - ვგულისხმობ გარკვეული პერსონების ოპოზიციისგან გამიჯნვას...***

— დიახ, ამის დრო ნამდვილად არის, მაგრამ ამის ერთადერთი საშუალება, რაც დედამიწის ზურგზე არსებობს, არჩევნებია. ხალხმა უნდა დაინახოს, ვინ როგორ იქცევა, ვინ რას აკეთებს რეალურად და მგონი, ამ კუთხით ზაფხულის აქციები მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, გამოუცხადებელი საარჩევნო კამპანია იყო. ვფიქრობ, ამ ფონზე ხვალინდელი არჩევანი ხალხისთვის საკმაოდ მარტივი უნდა იყოს.

***— განსხვავებული პოზიციების მქონე ოპოზიციურ ფრთებს შორის თქვენს ადგილს სად ხედავთ?***

— არც ერთი ის პოზიცია, რომელიც დღეს ოპოზიციურ სპექტრში ფიქსირდება, ჩემთვის პრობლემატური და მიუღებელი არაა, ყველას ვუჭერ მხარს. მხარს ვუჭერ ირაკლი ალასანიას მერის არჩევნებში და საარჩევნო სისტემაზე მუშაობაში და ჩემი მანდატი იქ არის; ასევე დავუჭერ მხარს ქუჩის აქციებს. ამასთან, ვფიქრობ, რომ უნდა ვიბრძოლოთ მედიის საშუალებითაც, ასევე საზღვარგარეთ. ვიყავი ევროპაში და ნოემბერში ვაპირებ ამერიკაში ჩასვლას, სადაც ჩვენი პოზიციების შეჯერებას და ზემოხსენებული ოპოზიციური დასკვნების ჩატანას ვგეგმავ.

***— კონკრეტულად ვისთან აპირებთ შეხვედრას შტატებში და რა საკითხების განხილვას გეგმავთ?***

— დაგეგმილია ორი კონფერენცია. ასევე მექნება შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ზბიგნევ ბჟეზინსკისთან და ა.შ.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ აქციების დროს არ მუშაობდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, თუმცა აქციების დასრულების შემდეგ მათ განაგრძეს მუშაობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარ შედეგს ვერ მიაღწიეთ... თქვენი აზრით, კონკრეტულად რა შეცდომები დაუშვა ოპოზიციურმა სპექტრმა აპრილის აქციების დროს და თუ მიდის ამ შეცდომების გადაფასება?***

— ჩემი შეფასებით, ერთადერთი რეალური წარუმატებლობა სწორედ ის იყო, რომ საბოლოო შედეგი არ მიგვიღია, ამდენად, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ აქციებმა არანაირი შედეგები ვერ გამოიღო. საბოლოო შედეგის მიღწევა გრძელვადიანი და რთული პროცესია და ამას ყოველდღე ვამბობდი აქციებზე გამოსვლისას. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანის ქმედებაში არის გარკვეული შეცდომა, თუმცა ოპოზიციის მიერ საკუთარი შეცდომების ყოველწუთს აფიშირება, ჩემი აზრით, არასწორი იქნებოდა იმ ფონზე, როცა ხელისუფლების არცერთ წარმომადგენელს ამ 6 წლის განმავლობაში საკუთარი მცირედი შეცდომაც კი არ უღიარებია.

***— ასეა თუ ისე, ხალხი, რომელიც აქციებზე იდგა, გარკვეულწილად იმედგაცრუებული დარჩა... თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში?***

— ეს არ არის იმედგაცრუება, „იმედგაცრუება“ ხელისუფლების ტერმინია, პროპაგანდაა და მეტი არაფერი! აქციებზეც ვამბობდი და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს ბრძოლა გრძელვადიანია და ჩვენი მიზანია, ქვეყანაში არჩევნები დაინიშნოს. ამ წერტილში უნდა ვურტყათ დიდხანს, რადგან ტოტალური აზროვნების მქონე ეს ხელისუფლება თავისით არჩევნებს არ დანიშნავს. დარწმუნებული ვარ, თუ საჭირო გახდა, ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში, - მე ხალხის იმედი მაქვს! თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ ამ ბრძოლაში მხოლოდ აქციები არ შედის: მე ისევ მივალ სააკაშვილთან, თუ კიდევ დაინიშნება შეხვედრა და იქ ვიტყვი ჩემს სათქმელს, მივალ სასამართლოში და დავიცავ უდანაშაულო ადამიანს, გავალ ქუჩაში, ასევე ვიბრძოლებ ბრიუსელში, ვაშინგტონსა და თბილისში...

***— ოპოზიცია ხშირად იმეორებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ყველაზე რთული დრო დაუდგა, განსაკუთრებით - ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ეს ხელისუფლება უკვე დამთავრებულია თავისი უნარით, ქვეყანა მართოს. ის ძალაუფლებას მხოლოდ ძალადობით და პროპაგანდით ინარჩუნებს, მაგრამ ერთადერთი რეჟიმი, რომლის ფიტულსაც მსგავს სიტუაციაში ქვეყნის ძალადობითა და პროპაგანდით მართვა დიდხანს შეეძლო, სტალინის რეჟიმი იყო, რომელიც ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენდა თავისი უზარმაზარი რესურსებით, ჩვენი ქვეყნისთვის კი ისოლაციაში დიდხანს ყოფნა შეუძლებელია. ამას გეუბნებით არა როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც საშუალება აქვს, გარედანაც ადევნოს თვალი მოვლენებს.

***— ამასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ, როგორ მოსჩანს საქართველო ევროპიდან?***

— პირველ რიგში, მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, რომ მე დავდივარ ევროპაში, რადგან იქ ვასწავლი, არანაირი რუსული ან სხვა ფულით არ ვფინანსდები და ამით ვცხოვრობ. შესაბამისად, ყოველი ჩემი ვიზიტი მაღალი დონის შეხვედრების გამართვას არ ითვალისწინებს. თუმცა ამჯერად ორ ძალზე სერიოზულ კონფერენციაზე გახლდით პარიზსა და ბრიუსელში. ჩემი ინტერესი ამ შემთხვევაში არის ის, რომ თუ ევროკავშირი საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებით არის დაინტერესებული, გარკვეულწილად ამ საქმეში ოპოზიციაც უნდა იყოს ჩართული, რადგან თუ აქ რამე არასწორი ხდება, ამას არა ხელისუფლება, არამედ სწორედ ჩვენ ვიტყვით. მეორე თემა ტალიავინის კომისიის დასკვნა იყო და მასზეც მიმდინარეობდა მსჯელობა. მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომ დოკუმენტი ორივე - რუსულ და ქართულ ენაზე უნდა ითარგმნოს, რადგან ორივე მხარე დასკვნას სათავისოდ იყენებს, რათა საკუთარი მოსახლეობა საკუთარ უდანაშაულობაში დაარწმუნოს. ეს დოკუმენტი უნდა შევიდეს ჩვენს ისტორიაში, რათა მომავალში მისით ვისარგებლოთ, გამოვიყენოთ ის და მისი მეშვეობით გავიზარდოთ.

***— ოპოზიციური სპექტრის სხვა წარმომადგენლებმა რამდენად აქტიურად იმუშავეს აქციების დასრულების შემდეგ დღემდე საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად?***

— ამ შემთხვევაში არ არის საუბარი ოპოზიციის მხარდაჭერაზე, - ოპოზიციას მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით უნდა ჰქონდეს. უცხოეთი მხარს ქვეყანას უნდა უჭერდეს და სწორედ ეს მხარდაჭერა დავკარგეთ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში. თავიდან საქართველოს უჭერდნენ მხარს, შემდეგ სააკაშვილმა იმუშავა და მხარდაჭერა პიროვნულად მასზე გადავიდა. ახლა საჭიროა, დავუბრუნდეთ პირვანდელ სახეს, საერთაშორისო საზოგადოების დაკარგული ნდობა უნდა აღვიდგინოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ საზღვარგარეთ ოპოზიციას მოუსმინონ და ენდონ. ამაზე მომავალშიც ვიმუშავებთ. პრინციპში, ეს ნდობა უკვე მოვიპოვეთ და ამისთვის მადლობა სააკაშვილს! ამჯერად უცხოეთში ოპოზიციური პარტიების დასკვნებს ჩავიტანთ. ეს მათთვის იარაღი იქნება ჩვენი შეფასებისა და პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ხშირად ისმის ხოლმე იმასთან დაკავშირებით, რამდენად სერიოზულად მუშაობს ოპოზიცია და რას აკეთებს ქუჩაში დგომის გარდა.

***— ჰოლივუდი საქართველოში რუსულ-ქართულ ომზე ფილმს იღებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფილმს გარკვეულწილად საქართველოს ხელისუფლება აფინანსებს... თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ გადაღებების მიმართ?***

— ფილმის გადაღება იმ ქვეყანაში, სადაც ომის იარები ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული, სირცხვილია. რაც შეეხება დაფინანსებას, მეც მსმენია, თითქოს ფილმი საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება. მსგავსი ინფორმაცია ჯერჯერობით მხოლოდ ჭორის დონეზე ვრცელდება, თუმცა მართლაც საეჭვოა, რომ ფილმი ასე სწრაფად მომზადდა გადასაღებად. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რა სისტემაა დღეს საქართველოში. ფილმს იღებენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ისტორია შეცვალონ და თავი გაიმართლონ. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ იქნება ფილმში რუსული მხარე წარმოდგენილი? ეს კიდევ უფრო დაგვაშორებს კონფლიქტების მოგვარების რეალურ გზებს.

***— საინტერესო იქნებოდა თქვენი, როგორც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოგვარდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები... თუ არის შესაძლებელი ამ ქვეყანასთან ურთიერთობების დათბობა და რა გზით? როგორ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები?***

— ყველაზე სასარგებლო და ხელსაყრელი რუსეთისთვის შიგნიდან დაშლილი საქართველოა, საქართველო, სადაც მოსახლეობა ალთასაა და ხელისუფლება - ბალთას, - ასეთი საქართველო იდეალურია რუსეთისთვის. ჩვენი ხმა აღარსად ისმის და რეგიონში პრობლემებს მხოლოდ რუსეთი წყვეტს. ნუთუ ეს გვინდოდა და ეს არის გამარჯვება?! ჩვენ ჯერ საკუთარი თავი უნდა დავიბრუნოთ და მერე ვესაუბროთ რუსეთს. გახსოვთ ოდესმე, სააკაშვილის მმართველობის პირობებში, რუსეთი დაგველაპარაკებოდა?! ის მე მელაპარაკებოდა, თუმცა ეს არ იყო ჩემთან საუბარი. მელაპარაკებოდა იმის გამო, რომ მაშინ საქართველო შიგნიდან ერთიანი, ძლიერი და თავის თავში დარწმუნებული იყო. დღეს კი ქვეყანაში არსებული სიტუაცია შეიძლება, ქუჩის ჩხუბს შეადარო. ჯერ ჩვენ უნდა შევიკრათ, დავწყნარდეთ და შემდეგ ველაპარაკოთ რუსეთს, თუმცა ამ სიტუაციაში ერთი-ერთზე არაა სასურველი. ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა ბევრად უფრო აუცილებელია, ვიდრე აქამდე. ამასთან, საჭიროა ჩვენი ინტერესების ჩამოყალიბება რეგიონთან მიმართებაში და მათი ინტერსების მოსმენა. სწორედ ამ ყველაფერის შემდეგ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან.

**პირველი**




# ოტია იოსელიანი სტუდენტებს შეხვდა

ეკა ირემაშვილი



ცნობილმა ქართველმა მწერალმა ოტია იოსელიანმა ქართველი სტუდენტების თხოვნა დააკმაყოფილა და მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში შეხვდა. ღონისძიება სახელმწიფო უნვერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით ჩატარდა.

ქართველმა მწერალმა ოტია იოსელიანმა სსრკ მწერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები დაამთავრა. მან თხზულებების გამოქვეყნება 1954 წლიდან დაიწყო. მისი მოთხრობების პირველი კრებული „კარის მეზობლები" 1957 წელს გამოსცა. იგი ნაყოფიერად მუშაობს როგორც ნოველისტიკაში, ისე რომანის ჟანრში, წერს პიესებს და კინოსცენარებს. მწერლის რომანებში „ვარსკვლავთცვენა", „ტყვეთა ტყვე", „შავი და ცისფერი მდინარე" მთავარი ომის თემაა, თუმცა, ავტორი თავის შემოქმედებაში ყურადღებას ზნეობრივ-ეთიკურ პრობლემატიკაზეც ამახვილებს. ოტია იოსელიანი ინტენსიურად მუშაობს საბავშვო მწერლობის დარგში, ავტორია ათამდე პიესისა, რომელთაგან რამდენიმე დაიდგა კიდეც ქართული თეატრების სცენებზე. მწერლის შემოქმედება სხვადასხვა უცხო ენაზეა თარგმნილი.

თავისი პირდაპირობით ცნობილმა მწერალმა არც სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას დამალა ემოციები თუ საკუთარი მოსაზრებები და ახალგაზრდებთან შეხვედრისას გულღიად ისაუბრა. შეხვედრა დიალოგის ფორმატში წარიმართა. ოტია იოსელიანმა შეხვედრაზე როგორც ქართული ახალგაზრდობა, ასევე მთავრობაც გააკრიტიკა.

**მარი თოიძე — სტუდენტი:**

— ძალიან მიყვარს ოტია იოსელიანის შემოქმედება. მის ზღაპრებს დედა ხშირად მიკითხავდა. ძალიან გულღია და პირდაპირი ადამიანია. სიმართლეს ამბობს და ბევრ რამეში ნამდვილად ვეთანხმები. მივესალმები ამ წამოწყებას, რომელიც სტუდენტებს საშუალებას გვაძლევს, ცნობილ მწერლებს, პოეტებს და საზოგადო მოღვაწეებს შევხვდეთ.

**ოტია იოსელიანი:**

— ძალიან კარგი შეხვედრა იყო. ველაპარაკე სტუდენტებს იმაზე, რაც მაწუხებს და ამას არასოდეს ვმალავ. სად არის ჩვენი მრეწველობა და საზღვარგარეთიდან შემოსულ პურს რატომ ვჭამთ? საქართველო დაქცეულია და მას სასწრაფოდ შველა სჭირდება. მე ახალს ვერაფერს ვიტყვი. სწორედ ამიტომ მოვედი ამ ახალგაზრდებთან, რომ კითხვა დავსვა — რა უნდა მოვიმოქმედოთ საქართველოს გადასარჩენად? ჩემი ქვეყნის ბედი ნამდვილად მაღელვებს და მინდა, რომ მე თუ არა, ეს ბაღნები მაინც მოესწრნონ ნორმალურ საქართველოს და ლაღად იცხოვრონ ამ მიწა-წყალზე.

# „მოხუცი ჯამბაზები" რუსთავში ჩავიდნენ

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა რუსთავქალაქობასთან დაკავშირებით რუსთავის მუნიციპალურ თეატრში „მოხუცი ჯამბაზები" წარმოადგინა.

რეჟისორ გოჩა კაპანაძის გახმაურებული სპექტაკლი პირველად გათამაშდა მას შემდეგ, რაც სპექტაკლში მონაწილე ერთ-ერთი ქართველი ვარსკვლავი მედეა ჩახავა გარდაიცვალა. სპექტაკლში მედეა ჩახავას პერსონაჟის ელისოს როლს, ამიერიდან მსახიობი მანანა გამცემლიძე შეასრულებს. მანანა გამცემლიძე თავის შემცვლელად მედეა ჩახავამ თავად აირჩია.

„მოხუც ჯამბაზებში" მთავარ როლებს რუსთაველის თეატრის ვარსკვლავები კახი კავსაძე, ზინა კვერენჩხილაძე, გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, ზაზა ლებანიძე, მარინა კახიანი და მარინა ჯანაშია ასრულებენ.

როგორც რეჟისორი გოჩა კაპანაძე აცხადებს, ამ სპექტაკლში აუცილებლად დარჩება მედეა ჩახავა, თუმცა, რა ფორმით, ეს რეჟისორს ჯერ არ გადაუწყვეტია.

# თბილისში ხელოვნების აკადემია დაარსდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

განვითარებას და გაზრდას შევუწყოთ ხელი. „ხელოვნების აკადემია" გზას გაუკვალავს მომავალ თაობას, რომელიც შემდგომში ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის კულტურას მთელ მსოფლიოში. აკადემია ყოველწლიურად გამოავლენს ხუთივე სფეროში ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომელთაც ერთი წლის მანძილზე, ორგანიზაციის ხელშეწყობით, საშუალება ექნებათ, გაიღრმაონ თავიანთი ცოდნა, გაიარონ გამოცდილ პედაგოგთა მასტერკლასები, მონაწილეობა მიიღონ კონცერტებში, ფესტივალებში, გამოფენებსა და სხვა სახის ღონისძიებებში.

*— აკადემიაში სწავლის მსურველებს თქვენ შეარჩევთ?*

— უკვე გადაწყვეტილია, რომ აკადემია სტიპენდიანტების შერჩევას მთელი საქართველოს მასშტაბით მომავალი თვიდან დაიწყებს.

პრესკონფერენციაზე მისულმა მერიის წარმომადგენელმა მომღერალმა ნეკა სებისკვერაძემ იდეა მოიწონა და ხელოვნების აკადემიას მერიის სახელით თანადგომას დაჰპირდა.

— ძალიან კარგი იდეაა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს შეუწყობს ხელს. მჯერა, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი კარგი და ნიჭიერი ბავშვია. სწორედ ამიტომ, დედაქალაქის მერია ყოველთვის მხარს დაუჭერს ასეთ კარგ საქმეს, — აღნიშნა ნეკა სებისკვერაძემ.

## რუსების ნაცემი არველოდი ახალაია საავადმყოფოდან გაწერეს

გალის რაიონის სოფელ საბერიოში ყაჩაღების მიერ სასტიკად ნაცემი არველოდი ახალაია წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის საავადმყოფოდან გუშინ საღამოს გაწერეს.

ამის შესახებ „მედიანიუსს" სამეგრელო-ზემო სვანეთის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობიდან აცნობეს. როგორც ცნობილია, რუსმა ოკუპანტებმა ახალაიების ოჯახი 30 ოქტომბერს ღამის 23.00. საათზე დააყაჩაღეს. მათ ოჯახის უფროსი არველოდი ახალაია სასტიკად სცემეს.

დაზარალებული მეორე დილით ჯვარის საავადმყოფოში მოათავსეს. მას ყბა-სახის მოტეხილობა აღენიშნებოდა.

**მედიანიუსი**

# ნოდარ ანდღულაძეს ვარსკვლავს გაუხსნიან

ეკა ირემაშვილი

ცნობილ ქართველ მაესტროს ნოდარ ანდღულაძეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. ღონისძიება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით მოეწყობა.



ქართველი მომღერალი, დრამატული ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ ანდღულაძე ცნობილი ხელოვანის დავით ანდღულაძის შვილია.

თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მაესტრო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლობდა. 1956 წლიდან კი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი გახდა. პარალელურად თსუ-ის კავკასიური ენების კათედრის პედაგოგად მუშაობდა. მაესტრო წლების განმავლობაში იკვლევდა იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი გრამატიკის საკითხებს.

1961-1962 წლებში ნოდარ ანდღულაძე სტაჟიორად მიავლინეს მილანის საოპერო თეატრ „ლა სკალაში".

— ბატონ ნოდარს აქვს ძალზე ძლიერი, ლამაზი, ყველა რეგისტრში თანაბრად მჟღერი და გამომსახველი ხმა. მისი შესრულებისთვის დამახასიათებელია დახვეწილი მუსიკალური ფრაზირება, არტისტიზმი, სცენური ოატატობა. მის მიერ შესრულებული პარტიები აბესალომი, მალხაზი, („აბესალომ და ეთერი"), ტარიელი („ამბავი ტარიელისა"), მინდია, არზაყანი („მინდია", „მთვარის მოტაცება"), გერმანი („პიკის ქალი"), რადამესი, მანრიკო, ჰერცოგი, ოტელო („აიდა", „ტრუბადური", „რიგოლეტო", „ოტელო") და მისი თაობის მსმენელს დღემდე კარგად ახსოვს, — აღნიშნავენ მაესტროს კოლეგები.

საუკეთესო ენათმეცნიერი მომღერლებს შორის და საუკეთესო მომღერალი ენათმეცნიერებს შორის — ასე უწოდებენ მაესტროს მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები.

— ნოდარ ანდღულაძე კამერული მომღერალიცაა, დიდი ოსტატობით ასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. მას გასტროლები აქვს გამართული საზღვარგარეთ — რუსეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, გერმანიაში, თურქეთში, იუგოსლავიასა და სხვა ქვეყნებში. იგი უკვე წლებია კონსერვატორიის პედაგოგია, პროფესიორი და სოლოსიმღერის კათედრის გამგეა. ბატონი ნოდარი ჩვენი სიამაყეა, — აღნიშნავენ თბილისის კონსერვატორიაში.

1983 წელს ნოდარ ანდღულაძემ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე დონიცეტის ოპერა „ლუჩია და ლამერმური" დადგა. მაესტროს მოწაფეები დღეს დიდი წარმატებით გამოდიან მსოფლიო საოპერო სცენებზე. მისი აღზრდილები არიან ზურაბ სოტკილავა, ცისანა ტატიშვილი, ლადო ათანელი, ნუგზარ გამგებელი, მედეა ნამორაძე, ლიზა მარტიროსიანი, მიშელინა ქობალიანი, ზაზა ზაალიშვილი, თემურ გუგუშვილი, გიორგი ონიანი, რამაზ ჩიკვილაძე. აღზრდილთა შორის არიან აგრეთვე კონსერვატორიის პროფესორები გოჩა ბეჟუაშვილი, გულიკო კარიაული. მაესტრო რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს იტალიაში, რუსეთში, უკრაინაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებში. მას ხშირად იწვევენ ეროვნული და საერთაშორისო კონკურსების ჟიურის წევრად. მაესტრო მოღვაწეობის პერიოდში არაერთი პრემიით და ჯილდოთი დაასაჩუქრეს. იგი ზაქარია ფალიაშვილის პრემიის, ირინა არხიპოვას ფონდის ოქროს მედლის ლაერუატი, ენრიკო კარუზოს მუზეუმის ასოციაციის წევრი (კარუზოს შემსწავლელი ცენტრი მილანი), საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსების ორდენის კავალერია. მაესტრო ასევე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კონსულტანტია.

— ნოდარ ანდღულაძე ავტორია მეცნიერული გამოკვლევებისა ვოკალური ხელოვნების თეორიის, ისტორიისა და მეთოდიკის დარგში. იგი ამავე დროს დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის პრეზიდენტია. მისი მუსიკალური ნიჭი ხომ მძლავრი გენეტიკური ენერგიითაა ნასაზრდოები — იგი შესანიშნავი მუსიკოსის, გამოჩენილი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის დავით ანდღულაძის ოჯახში დაიბადა. მაესტროს საშემსრულებლო ხელოვნებას კარგად იცნობენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენთვის ნამდვილად დიდი პატივია მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნა, — აცხადებენ ღონისძიების ორგანიზატორები.

82 წლის მაესტროსთვის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ვარსკვლავის გახნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ კონცერტი გაიმართება, რომელშიც ნოდარ გეწაძე, მიხეილ ქირია, სულხან გველესიანი და ლიანა კალმახელიძე მიიღებენ მონაწილეობას. სპეციალურად ამ დღისთვის ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ მომზადდა 10-წუთიანი ფილმი მაესტროს შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრში იქნება ნაჩვენები.

სახალხო არტისტის, პროფესორ ნოდარ ანდღულაძის ვარსკვლავი ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ 2 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში პაატა ბურჭულაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნება.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


## განცხადებები


- პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე მკურნალობს იაპონური აპარატით და წურბელებით, მალამოებით უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, რადიკულიტს, თმის ცვენას, ბუასილს ოპერაციის გარეშე, განგრენის საწყის ფორმას, წითელ ქარს, ტროპიკულ წყლულს, დაწყლულებულ ფეხებს, ფრჩხილების სოკოს, ფსორიაზს, პიგმენტურ ლაქებს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ცხიმგროვას თვალებზე, პეჰატიტს A,B,C. საერთო მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია. ტელ: 893-39-04-87; 96-38-27. ალმაშენებლის 93.
- სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 2-დან 25 წლამდე თვეში 3-4 სმ. მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 858-46-36-74; 35-17-39 ექიმი ქეთევანი.
- ვმკურნალობ მამაკაცურ პრობლემებს, იმპოტენციას, პროსტატის ადენომას, შარდის შეკავება-შეუკავებლობას მცენარეული პრეპარატებით ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 899-53-68-18, 35-17-39 ექიმი ქეთევანი.
- ვყიდი ნატა ვაჩნაძის პირად ნივთს, ანტიკვარს, XIX საუკუნის ზარდახშას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-63-27; 877 44-93-28.
- გახდომა თვეში 10-15 კგ, გასუქება თვეში 5 კგ-ით, სიმაღლეში ზრდა თვეში 3-5 სმ. ტელ: 34-02-38; 893-12-77-09 ნონა.
- მხოლოდ მცენარეულ ნედლეულზე დამზადებული პროდუქციით ვმკურნალობთ: ნევროზს, უძილობას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. ტელ: 898-201-101 იკითხეთ ირინა.
- შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.
- იყავით ტანადნი და ჯანმრთელნი! წონაში სწრაფად კლება და მომატება, ჭარბთმიანობა, თმის ცვენა, ორგანიზმის გაწმენდა უნიკალური მცენარეული საშუალებებით, ოპერაციის გარეშე საკვერცხის კისტის, მიომას, ჩიყვის, კუჭის წყლულის, ბუასილის მკურნალობა 100%-იანი შედეგით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 34-02-38; 855 49-50-38 ნინო.
- იყიდება!ნებისმიერისახეობის,ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.
- მამაკაცებისთვის!იმპოტენციის,პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 57-66-90 (საღამოს); 899-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871 33-01-61.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# რივალდო: „უზბეკეთში ბრაზილიური კოლონია გვაქვს“

რივალდო ვიტორ ბორბა ფერეირა ფეხბურთის მოყვარულებისთვის უცხო არ იქნება, უფრო მარტივად მას რივალდოთი მოვიხსენიებთ და ყველაფერი ნათელი გახდება. ზუსტად 10 წლის წინ ბრაზილიელი ფეხბურთელი ოქროს ბურთის მფლობელი გახდა, ახლა კი კარიერას ყაზახეთში აგრძელებს და იქაურ ჩემპიონატში საუკეთესო რომ არის, ეს გასაკვირიც არ იქნება.



***— ფეხბურთს ძალიან დიდი დრო შემორჩით.***

— დიახ. კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს და მსურს ეს პერიოდიც ვითამაშო.

***— როგორ მიდის თქვენი ცხოვრება უზბეკეთში?***

— მშვენივრად. აქ პატარა ბრაზილიური კოლონია გვაქვს და თანამემამულეებთან ხშირად ვატარებთ დროს. ადგილობრივი ხალხი ძალზე სტუმართმოყვარე და მეგობრულია და არც მათ გარემოცვაში ყოფნისას გაგიჭირდება. ზამთრის არდადეგების დროს კი 45 დღით ვისვენებ და ამ დროს სამშობლოში ვატარებ.

***— გილოცავთ „ბუდენკორის“ ჩემპიონობას.***

— გმადლობთ. ჩემპიონატში მართლაც ყველაზე ძლიერები ვიყავით. საწყენია, რომ აზიის ჩემპიონთა ლიგაზე უფრო შორს წასვლა ვერ მოვახერხეთ. ძალიან მინდოდა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე „ბარსელონას“ წინააღმდეგ მეთამაშა და საწყენია, რომ ასე არ მოხდა.

***— „ბარსელონაში“ მიმდინარე მივლენებს ყურადღებას აქცევთ?***

— რა თქმა უნდა. იმის მიუხედავად, რომ „ბარსელონაში“ არ ვარ, ამ კლუბის გულშემატკივრობას ვაგრძელებ. „ბარსამ“ ჩემს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა და ძალიან გამიხარდა მისი წინა სეზონის წარმატებები.

***— ეს მართლაც ისტორიული გამარჯვება იყო.***

— დიახ. გვარდიოლამ დაუჯერებელ შედეგს მიაღწია. საუბარი მოგებულ ტიტულებზე კი არა, გუნდის თამაშზე მაქვს. უყურებ „ბარსელონას“ თამაშს და უდიდეს სიამოვნებას იღებ. „ბარსას“ საფეხბურთო ფილოსოფია ყოველთვის ასეთი იყო — შემტევი ფეხბურთი, ფლანგების გამოყენება, გოლები. სადღეისოდ ეს გუნდი მსოფლიო ფეხბურთის შესანიშნავი მაგალითია.

***— ამ შემადგენლობასთან ერთად თამაშის საშუალება გქონდათ?***

— საწუწუნო არაფერი მაქვს. თავის დროზე კარგ თამაშს ჩვენც ვაჩვენებდით. ჩემს დროს კლუბში არაერთი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო. მაგალითად, თავად პეპ გვარდიოლა.

***— მაგრამ არ იყო ლეო მესი.***

— მესი უბრალოდ მესია, განუმეორებელი მოთამაშე და ამით ყველაფერია ნათქვამი.

***— ზუსტად ათი წლის წინ ოქროს ბურთი თქვენ გერგოთ. ამჯერად ამ ჯილდოს მესი მიისაკუთრებს.***

— დარწმუნებული ვარ, რომ წლევანდელი ტრიუმფატორი სწორედ მესი გახდება. თუ ასე არ მოხდა, მაშინ აბსურდთან გვექნება საქმე. ჩატარებული სეზონის მიხედვით მესი მსოფლიოში აშკარად საუკეთესოა. იგი იყო „ბარსელონას“ წარმატების მთავარი მიზეზი. არგენტინელმა გაიტანა როგორც ჩემპიონთა ლიგის, ასევე ესპანეთის თასის ფინალში.

***— რა განსხვავებაა ათი წლის წინანდელ რივალდოს და დღევანდელ მესის შორის?***

— ასაკი. მაშინ მე 27 წლის ვიყავი და კარიერის პიკზე ვიმყოფებოდი. მესი კი ჯერ 22 წლისაა და უკვე ბევრს მიაღწია. მას აქვს ყველაფერი იმისთვის, რომ გახდეს ლეგენდა.

***— რა აკლია მის თამაშს?***

— როგორც ფეხბურთელს, ვერაფერს დავუწუნებ. ერთადერთი, რაც აკლია, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაა, რათა დიდებულ ფეხბურთელთა სიაში ჩაეწეროს. თუმცა, ყველაფერი შედარებითია. მუნდიალი არც ალფრედო დი სტეფანოს და იოჰან კრუიფს მოუგიათ, მაგრამ ბრწყინვალე ფეხბურთელები იყვნენ.

***— თქვენ კი მოიგეთ.***

— მსოფლიოს ჩემპიონატის მოსაგებად აუცილებელია ერთ გუნდში თავი მოუყარო შესანიშნავ ფეხბურთელებს. 2002 წელს ბრაზილიამ მუნდიალზე ძალზე დაბალანსებული გუნდი წარადგინა და ჩვენ ჩემპიონატის ყველა მატჩის მოგება მოვახერხეთ.

***— თავის დროზე რონალდინიოზე საუბრისას განაცხადეთ, რომ იმყოფება იდეალურ კლუბში იმისთვის, რომ მიიღოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება. შეუძლია „ბარსელონას“ ფეხბურთელი აქციოს საუკეთესოდ?***

— „ბარსაში“ ბევრი ფეხბურთელი განიცდის პროგრესს. კლუბის საფეხბურთო ფილოსოფია მათ ამაში ეხმარება. არაერთხელ მომხდარა, რომ დიდ ფეხბურთელს სათამაშოდ „კამპ ნოუ“ აურჩევია და იქ მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის მიუღწევია.

***— ზოგიერთი კი ნანობდა ამ გადაწყვეტილებას.***

— რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტებიც იქნებოდა. „ბარსელონაში“ თამაშის დროს ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოაჩინო, რადგან როდესაც საქმე ცუდად მიდის, ძალზე დიდ ზეწოლას განიცდი. მაგრამ ალბათ ყველგან ასე ხდება. ბრაზილიაში, იყო მეორე, ნიშნავს არ წარმოადგენდე არაფერს. „ბარსელონაშიც“ სწორედ ასეა.

# ბრაზილიური ჰეთ-ტრიკი საქართველოში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტრიბუნებზე მხოლოს 100-მდე მაყურებელი თუ იქნებოდა, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ეროვნული ჩემპიონატის უინტერესობაზე.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა თავისი ბენეფისი 24-ე წუთიდან დაიწყო, როდესაც დავით იმედაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი 11 მეტრიდან ზუსტად დაარტყა. ხუთიოდე წუთში აკინომ ისევ გაიტანა და საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობა ვადამდე ადრე გახადა ცნობილი. დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო — რუსთაველმა ფეხბურთელებმა ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიიყვანეს საქმე საბოლოო გამარჯვებამდე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სადღეისოდ „ოლიმპი“ და „ზესტაფონი“ გაცილებით უკეთესად გამოიყურებიან დანარჩენ გუნდებზე და პირველობისთვის ბრძოლა, სავარაუდოდ, სწორედ მათ შორის უნდა გადაწყდეს.

**სატურნირო ცხრილი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ზესტაფონი | 13 | 9 | 4 | 0 | 24:7 | 31 |
| 2. | ოლიმპი | 13 | 9 | 3 | 1 | 30:10 | 30 |
| 3. | ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 5 | 1 | 20:12 | 26 |
| 4. | დინამო | 13 | 5 | 5 | 3 | 21:10 | 20 |
| 5. | სპარტაკი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:20 | 19 |
| 6. | სამტრედია | 13 | 4 | 2 | 7 | 18:30 | 14 |
| 7. | სიონი | 13 | 3 | 5 | 5 | 10:15 | 14 |
| 8. | გაგრა | 13 | 2 | 3 | 8 | 13:20 | 9 |
| 9. | ბაია | 13 | 2 | 3 | 8 | 12:22 | 9 |
| 10. | ლოკომოტივი | 13 | 0 | 4 | 9 | 4:19 | 4 |

**ბომბარდირები:** აკინო (ოლიმპი) — 14 ბურთი, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია), ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) 10-10, გიორგი გაბედავა (გაგრა) — 7.

# ნორჩი ბორჯღალოსნების მცირე ვერცხლი

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა ევროპაში ჩატარებულ ჩემპიონატზე. ერთადერთი მარცხი სწორედ ფინალში განიცადეს და მსოფლიოს ჩემპიონატზე წაუსვლელლები დარჩნენ.

იტალიელებთან თამაშამდე ჩვენს ნაკრებს ჯერ გერმანია (34:3), ხოლო შემდეგ რუსეთში (12:8) შემოემარცხათ, ფინალში კი აპენინელებთან ვერაფერი გააწყვეს და 3:16 დამარცხდნენ.

იტალიელებთან მარცხი გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ — სასიამოვნო უფრო მათთან დამაჯერებელი თამაში იყო. ლევან მაისაშვილის შეგირდებმა, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ გამოცდილების ხარჯზე წააგეს, რაც ქართულ სარაგბო თემაში არსებული პრობლემების ბრალი უნდა იყოს. სათამაშო პრაქტიკა და გამოცდილება ძალიან ბევრს ნიშნავს, რაც ასე ძალიან აკლია ქართულ რაგბს. ეს პირველ რიგში უფინანსობის ბრალია და თუ ამ სამს მოევლება, გაცილებით მომგებიანი იქნება.

# წაუგებელი ქალების წაგებული ოქრო

ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა სერბეთის ქალაქ ნოვი სადში გამართულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე შესანიშნავად ითამაშეს და ტურნირი მარცხის გარეშე განვლეს, თუმცა, ეს მხოლოდ ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად აღმოჩნდა საკმარისი. ტურნირის დასკვნით ტურში ქართველებმა რუმინეთს 2.5:1.5 სძლიეს და 9 შეხვედრაში 7 გამარჯვება და 2 ყაიმი მოუგროვდათ. ასეთივე მაჩვენებელი აღმოჩნდა რუსეთის ნაკრებს, რომელმაც ერთადერთი მარცხი სწორედ ქართველებთან წააგო, მაგრამ 8 მატჩი კი მოიგო და დამატებითი მაჩვენებლებით პირველ ადგილზე გავიდა. ევროპის ჩემპიონატზე ნინო გურიელის კაპიტნობით მოთამაშე საქართველოს ნაკრების ღირსებას ხუთი მოჭადრაკე იცავდა, რომელთა მონაგარიც ასეთი გახლდათ: ნანა ძაგნიძე (4 ქულა 8 პარტიაში), ლელა ჯავახიშვილი (5.5-7), სოფიკო ხუხაშვილი (5-7), ნინო ხურციძე (3-6), ბელა ხოტენაშვილი (6.5-8). აღსანიშნავია, რომ ნაკრების დებიუტანტმა ხოტენაშვილმა 8 ტურში მოგროვებული 6.5 ქულით არაერთ სახელოვან მოჭადრაკეს აჯობა და საერთო ჩათვლაში, რუსეთის გუნდის ლიდერ ნადეჟდა კოსინცევას შემდეგ, მეორე გახლდათ. ამ უკანასკნელმა 9 ტურში 8 ქულა მიითვალა და ფენომენალური შედეგი აჩვენა.

დიდებულად დაიწყო ტურნირი საქართველოს ვაჟთა ნაკრებმაც, რომელსაც 4 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი ჰქონდა და პირველ პოზიციაზე იმყოფებოდა, სამწუხაროდ, დარჩენილ ხუთ ტურში გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა და საბოლოოდ მე-13 ადგილზე აღმოჩნდნენ.

ვაჟთა ნაკრების მონაგარი კი ასეთია: ბაადურ ჯობავა (5-9), მიხეილ მჭელიშვილი (2,5-6), ლევან ფანცულაია (4-7—, მერაბ გაგუნაშვილი (3,5-7), თორნიკე სანიკიძე (4-7).

# ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონები გადაუღებელმა წვიმებმა სერიოზულად დააზარალა

ორდღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში მდინარეები ადიდდა და რამდენიმე სოფელი დააზარალა. გუშინ ლაგოდეხის რაიონში ადიდებულმა მდინარე კაბალის ხევმა ნაპირსამაგრი ჯებირი გარღვია და კაბალისა და უზუნთალას დამაკავშირებელ გზაზე გადავიდა. ადიდებულმა მდინარემ სოფელ ბაისუბანში ხიდი ჩაანგრია, სოფელ უზუნთალაში კი სამი სახლი მთლიანად დაანგრია და 50-მდე სახლის პირველი სართული დატბორა.შესაბამისმა ორგანოებმა სოფლიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოახდინა. ადგილზე გამოძახებული იქნა სამაშველო სამსხური, თუმცა მათ მდინარის კალაპოტის ნაპირსამაგრის აღდგენა დროულად ვერ შეძლეს, რადგან წყლის დონე ყოველ საათში მატულობდა. ამ დროისთვის ლაგოდეხი-ბაისუბანი-კაბალის დამაკავშირებელ გზაზე მოძრაობა შეჩერებულია. ადგილზე ლაგოდეხის პოლიციაა მობილიზებული. როგორც ლაგოდეხის რაიონის გამგებლემა გიორგი გოზალიშვილმა განაცხადა, დღეს გზის გამწმენდი სამუშაოები განახლდა. სტიქიამ ყვარლის რაიონიც სერიოზულად დააზარალა. როგორც „მედიანიუსს“ ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის ერთ-ერთმა მცხოვრებმა აცნობა, სოფელში ჩამავალმა ადიდებულმა ხევმა დამცავი ჯებირი გაარღვია და ვენახები წაიღო. წყალმა ელქტროგადამცემი ხაზებიც მოგლიჯა და სოფელი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი.

**მედიანიუსი**

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ტოტენჰემი ... 3:0
ბარნლი-ჰალი ... 2:0
ბოლტონი-ჩელსი ... 0:4
პორტსმუთი-უიგანი ... 4:0
სანდერლენდი-ვესტ ჰემი ... 2:2
სტოკი-ვულვზი ... 2:2
ფულემი-ლივერპული ... 3;1
ევერტონი-ასტონ ვილა ... 1:1
მანჩესტერი-ბლექბერნი ... 2:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრისტოლი-უენსდი ... 1:1
ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი ... 5:0
დონკასტერი-ბლექპული ... 3:3
იფსვიჩი-დერბი ... 1:0
ქოვენთრი-რედინგი ... 1;3
მიდლსბრო-პლიმუთი ... 0:1
პიტერბრო-ბარნსლი ... 1;2
პრესტონი-კრ.პალასი ... 1:1
სკანთორპი-სუონსი ... 0:2

**იტალია. სერია ა**

იუვენტუსი-ნაპოლი ... 2:3
მილანი-პარმა ... 2:0

**იტალია. სერია ბ**

ალბინოლეფე-გალიპოლი ... 2:0
ანკონა-ჩეზენა ... 0:0
გროსეტო-ასკოლი ... 2:1
კროტონე-პიაჩენცა ... 1:0
ლეჩე-ემპოლი ... 1:0
მოდენა-ვიჩენცა ... 1:0
რეჯინა-სალერნიტანა ... 3:1
ტრიესტინა-ტორინო ... 2:0
ფროზინონე-სასუოლო ... 0:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ხეტაფე ... 2:0
ოსასუნა-ბარსელონა ... 1:1
ბილბაო-ატლეტიკო ... 1:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უელვა-ტარაგონა ... 0:1
ალბასეტე-მურსია ... 3:2
კართაგენა-ლას პალმასი ... 4:1
კასტელონი-კადისი ... 4:1
კორდობა-უესკა ... 2:1
რაიო-ელჩე ... 0:1
რეალ უნიონი-სელტა ... 2:0
ჰერკულესი-სოსიედადი ... 5:1

**გერმანია. I ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-მაინცი ... 3:3
ჰამბურგი-გლადბახი ... 2:3
კიოლნი-ჰანოვერი ... 0:1
ნიურბერგი-ვერდერი ... 2:2
შტუტგარტი-ბაიერნი ... 0:0
შალკე-ლევერკუზენი ... 2:2

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

არმინია-კოტბუსი ... 2:0
ალენი-ფიურტი ... 0:1

**საფრანგეთი. I ლიგა**

ბორდო-მონაკო ... 1:0
ბულონი-ნანსი ... 1:2
გრენობლი-ლილი ... 0:2
ლანსი-ლორიენი ... 1:1
მარსელი-ტულუზა ... 1:1
ოსერი-მონპელიე ... 2:1
სენტ ეტიენი-ლიონი ... 0:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნავალი-ლეიშეოში ... 1:0
ბრაგა-ბენფიკა ... 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ჰერენვენი-დენ ჰააგი ... 3:0
პსვ-ვიტესი ... 1:0
როდა-ტვენტე ... 1:2
გრონინგემი-ალკმაარი ... 0:1
აიაქსი-ფეინოორდი ... 5:1

**ბელგია. პროლიგა**

ანდერლეხტი-ლოკერენი ... 2:0
ბრიუგე-სტ.ტრუდენი ... 1:0
ვესტერლო-რუზელარე ... 2:2
ვარეგემი-შარლერუა ... 2:2
კორტრაიკი-მეხელენი ... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-მატერსბურგი ... 2:0
ნოიშტადი-აუსტრია ... 4:3
რაპიდი-რიდი ... 1:0
შტურმი-კარტნენი ... 4:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-გრასჰოპერსი ... 3:1
ციურიხი-სიონი ... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

შელტიკი-კილმანროკი ... 3:0
შტ.ჯონსტონი-ფალკირკი ... 3:1
შტ.მირენი-ჰამილტონი ... 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-არისი ... 2:2
პაოკ-ქსანთი ... 1:0
ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი ... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანტალია-ბურსა ... 1:1
ბეშიქთაში-ანკარაგიუჯიუ ... 1:0
გაზიანთეპი-დიარბაქირი ... 2:1
გენჩლერი-მანისა ... 0:2
დენიზლი-ისტამბული ... 0:1
ქაშიმფაშა-ერჩიესი ... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

მოსკვა-ზენიტი ... 1:0
დინამო-ამკარი ... 1:0
ტომი-ლოკომოტივი ... 1:3
სპარტაკი(მ)-როსტოვი ... 5:1

**სპარტაკელთა შემადგენლობაში გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა**

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პრჟიბრჟამი-სლავია ... 1:0
სპარტა-ბანიკი ... 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

არკა-ოდრა ... 2:0
ლეხი-შლიონსკი ... 1:0
ლეგია-რუხი ... 2:0
იაგელონია-პოლონია ... 1:0

**დანია. სასლიგა**

ორხუსი-მიდტიულანდი ... 2:2

**ბრაზილია. სერია ა**

ავაი-ატლეტიკო(პ) ... 2:0
სან პაულუ-ბარუერი ... 1:0
ფლამენგო-სანტოსი ... 1:0

**არგენტინა. პრიმერა**

ველეჟი-გოდოი ... 2:0
რასინგი-ტუკუმანი ... 4:0
ხიმნასია(ლპ)-სან ლორენსო ... 2:2

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ფილადელფია-მილუოკი ... 99:86
შარლოტი-ნიუ იორკი ... 102:100(ოტ)
ბოსტონი-ჩიკაგო ... 118:90
დეტროიტი-ოკლაჰომა ... 83:91
ინდიანა-მაიამი ... 83:96
მემფისი-ტორონტო ... 115:107
მინესოტა-კლივლენდი ... 87:104
ნიუ ჰერსი-ორლანდო ... 85:95
ნიუ ორლეანი-საკრამენტო ... 97:92
იუტა-კლიპერსი ... 111:98
ფინიქსი-გოლდენ სტეიტი ... 123:101
ლეიკერსი-დალასი ... 80:94
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი ... 123:104
კლივლენდი-შარლოტი ... 90:79
ნიუ იორკი-ფილადელფია..127:141(ოტ)
მილუოკი-დეტროიტი ... 96:85
სან ანტონიო-საკრამენტო ... 113:94
ჰიუსტონი-პორტლენდი ... 111:107
კლიპერსი-დალასი ... 84:93

**ადრიატიკის ლიგა**

ჰელიოსი-ჟელეზნიკი ... 73:80
ცრვენა ზვეზდა-რადნიჩკი ... 100:101
ბუდოჩნოსტი-ცედევიტა ... 95:65
ზაგრები-ოლიმპია ... 77:67

## ჩოგბურთი

**ვენა. ატპ. პადი**

მელცერი-ტიპსარევიჩი ... 4:6;7:6;6:4
ჩილიჩი-კოლშრაიბერი ... 6:4;7:6

**ფინალი**

მელცერი-ჩილიჩი ... 6:4;6:3

**დოჰა. შემაჯამებელი ტურნირი**

უილიამსი ვ-აინკოვიჩი ... 5:7;6:3;6:4
უილიამსი!ს.-ვოზნიაცკი ... 6:4;6:1

**ჰოკეი. რეგულარული ჩემპიონატი**

ვაშინგტონი-აილენდერსი ... 3:4(ოტ)
კოლამბუსი-პიტსბურგი ... 3:0(0:1ბ)
ბუფალო-ტორონტო ... 3:2(ოტ)
მინესოტა-რეინჯერსი ... 3:2
დალასი-ფლორიდა ... 5:5(0:1ბ)
ჩიკაგო-მონრეალი ... 3:2
ანაჰაიმი-ვანკუვერი ... 7:2
სან ხოსე-კოლორადო ... 3:1
ბოსტონი-ედმონტონი ... 2:0
ფილადელფია-კაროლინა ... 6:1
ოტავა-ატლანტა ... 1:3
ტამპა ბეი-ნიუ ჯერსი ... 1:1(0:1ბ)
აილენდერსი-ბუფალო ... 5:0
მონრეალი-ტორონტო ... 4:4(1:0ბ)
პიტსბურგი-მინესოტა ... 1:2
ნეშვილი-დალასი ... 4:2
სენტ ლუისი-ფლორიდა ... 0:4
ფინიქსი-ანაჰაიმი ... 2:2(1:0ბ)
კალგარი-დეტროიტი ... 1:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

**2 ნოემბრისთვის**



წლის 306-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 59 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

22-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ორშაბათი

ხსენება დიდმოწამე არტემისა (363).

დიდმოწამე არტემი რომაელი მხედართმთავარი იყო. მას მრავალი ჯილდო ჰქონდა მიღებული იმპერატორთაგან ერთგული სამსახურისა და მხედრული სიმამაცისათვის, რისთვისაც მან ეგვიპტის განმგებლის მაღალი თანამდებობა მიიღო. ეგვიპტეში ყოფნის დროს მან ბევრი რამ გააკეთა ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცებისათვის. იმპერატორი კონსტანციუსი საიმპერატორო ტახტზე იულიანემ შეცვალა. იგი შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ქრისტიანობასთან და ასობით მართლმორწმუნეს სჯიდა სიკვდილით. ქალაქ ანტიოქიაში მისი ბრძანებით ორი მხნე ეპისკოპოსი აწამეს, რომელთაც უარი განაცხადეს ჭეშმარიტ რწმენას განდგომოდნენ. იმ ხანებში ქალაქში დაბრუნდა არტემი, რომელმაც სახალხოდ ამხილა იულიანე განდგომილი უკეთურებაში, რის შემდეგაც დიდმოწამე საპყრობილეში ჩააგდეს. მეორე დღეს იულიანემ მას წარმართულ ღვთაებათა აღიარება მოსთხოვა, მაგრამ წმიდანმა გადაჭრით უარყო მისი მოთხოვნა, რისთვისაც იგი კვლავ სატანჯველად მისცეს და მისი ბრძანებით დიდმოწამე არტემს თავი მოჰკვეთეს. დიდმოწამე არტემის წმიდა ნაწილები დიდი პატივით გადაასვენეს ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში.

### დაიბადნენ:

1699 — ჟან შარდენი, ფრანგი ვაჭარი, მოგზაური, მხატვარი ავტორი წიგნისა „მოგზაურობა საქართველოში“. გარდაიცვალა 1779 წელს.

1755 - მარი ანტუანეტა, საფრანგეთის დედოფალი, ლუი XVI-ის მეუღლე, თავი მოკვეთეს 1793 წელს.

1815 - ჯორჯ ბული, ინგლისელი ლოგიკოსი და მათემატიკოსი, სიმბოლური ლოგიკის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1864 წელს.

1861 - მორის ბლონდელი, ფრანგი ფილოსოფოსი, გარდაიცვალა 1949 წელს.

1865 - უოლენ გამალიელ ჰარდინგი, აშშ-ს 29-ე პრეზიდენტი.

1891 - ვლადიმერ ჟღენტი, პათოლოგანატომი, პათოლოგიური ანატომიის ფუძემდებელი საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1972 წელს.

1903 - ვიქტორ კუპრაძე, მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1985 წელს.

1906 - ლუკინო ვისკონტი, გამოჩენილი იტალიელი რეჟისორი და სცენარისტი, გარდაიცვალა 1976 წელს.

1911 - ელიტის ოდისეუსი, ბერძენი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1934 - ოთარ იოსელიანი, ცნობილი კინორეჟისორი.

### გარდაიცვალნენ:

1960 - დიმიტრი მიტროპოლოსი, ბერძენი დირიჟორი, პიანისტი და კომპოზიტორი, დაიბადა 1896 წელს.

1958 - ადამ კარსი, ინგლისელი მუსიკათმცოდნე, კომპოზიტორი, დაიბადა 1878 წელს.

### მოვლენები:

1721 წელი - პეტრე I იმპერატორად აკურთხეს.

1889 წელი - სამხრეთ და ჩრდილოეთ დაკოტა ამერიკის 39-ე და 40-ე შტატი გახდა.

1894 წელი - ნიკოლოზ II რუსეთის იმპერატორად აკურთხეს.

1914 წელი - რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს.

1928 წელი - ფილადელფიაში შედგა შოსტაკოვიჩის პირველი სიმფონიის პრემიერა.

1945 წელი - იაპონიამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს.

1946 წელი - ტაშკენტში ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რის შედეგადაც განადგურდა ათასობით სახლი.

1948 წელი - ჰარი ტრუმენმა აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

1976 წელი - აშშ-ს პრეზიდენტი ჯიმი კარტერი გახდა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

ბოლივია, ბრაზილია, მექსიკა, ელ-სალვადორი და ურუგვაი - სულების დღე.

ეკვადორი - მიცვალებულთა ხსენების დღე.

**მედიანიუსი**

# გადაღებების დამთავრების შემდეგ თავს დაკარგულად ვგრძნობ

**თრილერში „მამაცი ქალი“ მსახიობი ჯოდი ფოსტერი რადიოწამყვან ერიკას როლს თამაშობს, რომელიც ფილმის მთავარ „ანტიგმირად“ იქცა. მისი პერსონაჟი თავისებურად იბრ ვის ცხოვრების უსამართლობის წინააღმდეგ და ამისათვის უკიდურესი საშუალებების გამოყენებასაც არ ერიდება.**



თავად მსახიობს ეს როლი კარიერის ბოლო 15 წლის უმნიშვნელოვანეს ნამუშევრად მიაჩნია და ინტერვიუში, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ხალისით საუბრობს მის შესახებ.

*— ვინ შემოგთავაზათ ერიკას როლი?*

— ჩემმა აგენტმა. თავდაპირველად გამიკვირდა, მე და პისტოლეტი? სულ მეტრი და სამოცი ვარ, მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, რომ მაყურებლის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ძნელი არ იქნება თავი გააიგივოს ქალთან, რომელმაც ნიუ იორკის ჯუნგლებში ცხოვრება ისწავლა და ცენტრალურ პარკში მხეცურად ცემის შემდეგ „წესიერი“ გოგონადან მკვლელად იქცა.

*— ერიკას როლის შესრულებისას შემთხვევით, ჯონ ჰინკლი ხომ არ გაგახსენდათ? (ჰინკლიმ 1981 წლის 30 მარტს აშშ-ის პრეზიდენტ რეიგანს ესროლა და შემდეგ განაცხადა, რომ ასე ჯოდი ფოსტერის ყურადღების მისაპყრობად მოიქცა).*

— შეშლილობასა და საღ აზროვნებას შორის მეტად შეუმჩნეველი საზღვარია. ვფიქრობ, რომ გონება ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაუბნელდეს, ამიტომ ყოველთვის მხარს ვუჭერდი იმას, რომ იარაღი მკაცრად უნდა კონტროლირდებოდეს. არ მიმაჩნია, რომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი სასამართლოს გარეშე უნდა გადაწყდეს, თუმცა, ამას ყველა არ ეთანხმება.

*— თანამედროვე საზოგადოებაში განაჩენის გამოტანის უფლებას ბევრი იჩემებს. ამასთან, როგორც მსხვერპლი, ასევე მათი დამცველები ხშირად ჯალათების როლში გამოდიან.*

— ერიკა ერთ-ერთი მათგანია. ძალიან თანავუგრძნობ მას, მაგრამ მართალი არ არის. მიუხედავად ამისა, არ შემიძლია გავაკონტროლო მაყურებლების დასკვნები, რომლებიც ფილმის ავტორების მოსაზრებებს ყოველთვის არ ეთანხმება. ასე იყო „კრავთა დუმილის“ შემთხვევაშიც, „ბრალდებულების“ შემდეგაც, ამ ფილმში ბევრს სწორედ ძალადობა იზიდავდა.

*— თქვენ თუ ჰგავხართ ერიკას?*

— ცოტათი. იგი ინტელექტუალია, ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც მართლაც ფიქრობს იმაზე, თუ რა ხდება მსოფლიოში. აშკარად არ არის ის ცხოველი, რომელიც ინსტინქტებით ხელმძღვანელობს. ეს ჩემთვის ძალიან ახლობელია. ჩვეულებრივ, არ ვთამაშობ ხოლმე ვისიმეს მეგობრებს, დებს ან დედებს. მე ფილმის ცენტრალური პერსონაჟი ვარ და ჯერ კიდევ ვმუშაობ. მრავალი მსახიობი მაგიდაზე ცეკვავს, ან რაიმე სხვა მოქმედებით ცდილობს ყურადღების მიპყრობას. მე ინტროვერტი ვარ, უფრო შინაგანი სამყარო მაინტერესებს, ვიდრე გარეგანი.

*— მსახიობებიდან ყველაზე მეტად ვინ იწვევს თქვენს აღტაცებას?*

— კეტრინ ჰეპბერნს ხანგრძლივი კარიერა ჰქონდა. მეც ვოცნებობ 65-70 წლის ასაკში გადაღებებზე. ან, ავიღოთ მერილ სტრიპი, თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ მინდა იმდენი ვიმუშავო, რამდენსაც ის 50 წლის ასაკში მუშაობს.

*— ბედნიერი ხართ?*

— ათი წლის წინ ჯერ კიდევ მანაღვლებდა ის, თუ რა მოხდებოდა, თუკი ასე, ან ისე მოვიქცეოდი. ასე რომ გამეგრძელებინა, არ ვიქნებოდი ისე ბედნიერი, როგორც დღეს ვარ. ჩემი ცხოვრება მკაცრი განრიგით მიმდინარეობს, ასე რომ, სამშაბათობით ჩარლის სპორტი აქვს, ოთხშაბათობით სკოლის თეატრში თამაშობს. მე ვალდებული ვარ, ვიღაცას მივუძღვნა თავი.

*— როგორ მოახერხეთ ბრწყინვალე კარიერის განვითარება ისე, რომ პირადი ცხოვრება ყველას თვალწინ არ გამოგიტანიათ?*

— 24 საათის განმავლობაში ცნობილ ადამიანებთან მუშაობა მძიმე ტვირთია, ყველა ვერ გაუძლებს ამას. ლინდსი ლოჰანის ასაკის რომ ვიყავი, ჰოლივუდში 18 წლის დიდი ვარსკვლავები არ არსებობდა, მოზარდებს ბევრ ფულს არ უხდიდნენ. ახლა ეკრანზე ყველას „დამაბრმავებელი მოზარდების“ ნახვა სურს და მათ უკვე აღარ ზღუდავენ. სამი-ოთხი წლის შემდეგ კი მათი კარიერა მთავრდება. მე დღე-ღამეში 8 საათი ვმუშაობ მსახიობად, შემდეგ კი პირადი ცხოვრება მაქვს, რომლის დროსაც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ასეც უნდა იყოს, თორემ შემდეგ ეკრანზე ნორმალური ადამიანები ვერ გაჩნდებიან.

*— ფიქრობთ, რომ საზოგადოებას მოსწონს ის, თუ როგორ უფრთხილდებით პირად ცხოვრებას?*

— ვხვდები, რომ ბევრს არ მოსწონს ჩემი გემოვნება. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ შვილები მას პატივისცემით მოეკიდებიან.

*— შვილები იზრდებიან, როგორ იცვლება თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ?*

— პატარები რომ იყვნენ, ვაჭმევდი, საფენებს ვუცვლიდი და მეჩვენებოდა, რომ ყოველთვის ასე გაგრძელდებოდა. ახლა ჩემს უფროს შვილს კითხვა უყვარს, მაგრამ ყველაზე მეტად მეგობრებთან ყოფნა აინტერესებს. საღამოობით თავისი საქმეების შესახებ მიამბობს. მე ჩემსას ვეუბნები და თუკი მისი საქმეების მიმართ ენთუზიაზმს არ ვამჟღავნებ, ძალიან სწყდება გული. ისევე როგორც ყველა ქალს, ხანდახან მეც მთელი დღეების განმავლობაში სახლს ვალაგებ, მაღაზიებში დავდივარ, რათა ბავშვებს ყველაფერი საკმარისად ჰქონდეთ. მაგრამ ამას ისინი ისე აღიქვამენ, თითქოს ვალდებული ვიყო. ამისაგან არავითარ რაიმე შესამჩნევ ჯილდოს არ ვიღებ, გარდა იმისა, რომ ვატყობ, თუ როგორ შეუმჩნევლად იზრდებიან ჩემი შვილები, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, რომ შესანიშნავ ადამიანებად გაიზრდებიან. ალბათ ეს ასეც უნდა იყოს. ერთადერთი, რაც დედობაში მაკლია, არის ის, რომ მარტო დარჩენა არ შემიძლია... ცოტა ხნის წინ კი ჩემთვის გავიფიქრე — უცბად გადაღებები რომ შევწყვიტო, ყველას რომ დავავიწყდე, ბედნიერი მაინც ვიქნები. ვეჭვობ, რომ ბევრი მოუთმენლად მოელის იმ დღეს, როდესაც არარად ვიქცევი, რათა ნახონ, თუ როგორი იქნება ჩემი რეაქცია დაკარგულ პოპულარობაზე. კვლავინდებურად მომწონს გადაღება, უბრალოდ აღარ მინდა ხშირ-ხშირად ამის კეთება. ფილმზე რომ ვმუშაობ, რეალური ცხოვრებიდან ვვარდები, გადაღებების შემდეგ კი დაკარგულად ვგრძნობ თავს. რაღაც დრო მჭირდება, რომ ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდეს.

**გ.თ.**

## კროსვორდი




1. ბიზანტიის დედოფალი; 2. აღმოსავლური ზღაპრების პერსონაჟი; 3. ქალის თავსაბურავი; 4. მდინარე რუსეთში; 5. დამუხტული ატომი; 6. უჯრებიანი დგამი; 7. ამერიკული ავტომობილი; 8. ორელექტროდიანი ელექტრომილაკი; 9. ფლობერის რომანი; 10. „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 11. აივანი, დერეფანი; 12. აფრა; 13. ზღვის უდიდესი ცხოველი; 14. არსენ მამულაიშვილი; 15. ლიტერატურის სახეობა; 16. ... სიბელიუსი; 17. მტაცებელი ცხოველი; 18. ქალაქი აშშ-ში; 19. ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი; 20. ერთგვარი მაიმუნი; 21. კოლოფონის ფისი; 22. ნავთობის გადასაზიდი გემი; 23. სტივენ ...; 24. მეექვსე ნოტი; 25. მადრიდის საფეხბურთო კლუბი; 26. გემების ერთობლიობა; 27. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 28. ზუთხი ანუ...; 29. ტბა დუშეთის რაიონში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „მუზა“; 2. „სადია“; 3. ამიგო; 4. წნორი; 5. წიწაკა; 6. რეციდივი; 8. რეზერვაცია; 10. ნოქალაქევი; 11. სირაქლემა; 14. ნუნისი; 15. ჰამამი; 16. კანიო.

**თარაზულად:** 1. „მარსალა“; 4. წიწამური; 7. ზონდი; 9. კორნი; 12. ბაიათი; 13. გზირი; 14. ნადალი; 17. მარალი; 18. ალექსანდრია; 19. კარწახი; 20. „ფორბსი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პალერმო; 2. თხემი; 3. ზარანდია; 4. სავანა; 5. ვერსაჩე; 6. სახიობა; 11. შაორი; 13. ოპერეტა; 14. ბონისტიკა; 15. დინოზავრი; 17. იადონი; 18. პურადი; 19. დოხა.

**თარაზულად:** 7. თაბახი; 8. „ნაცარქექია“; 9. ბეშუმი; 10. „ბარახასი“; 12. მონოგრაფია; 14. ბლენდა; 16. ნიველირი; 18. პანსიონი; 20. ტრასა; 21. „გზა“; 22. კოსტიოლი; 23. შოვი; 24. კარალიოკი.

## ბულგარელი მძღოლები გზაჯვარედინებზე „რუსულ რულეტკას“ თამაშობენ

ბულგარელი მძღოლებმა მანქანით „რუსული რულეტკას“ თამაში მოიგონეს.თამაშის არსი იმაშია, რომ მძღოლმა შუქნიშნის წითელ ნიშანზე გადატვირთული გზაჯვარედინი ისე გადაჭრას, რომ სხვა მანქანას ან ქვეითს არ დაეჯახოს.

„რუსულ რულეტკას“ ბულგარელი მძღოლები მიმდინარე წლის ზაფხულიდან თამაშობენ. თამაში ღამით მიმდინარეობს, მონაწილეები კი, შეჯიბრის ადგილის შესახებ ინფორმაციას სატელეფონო მესიჯის საშუალებით იღებენ. ფსონის მინიმალური რაოდენობა 5000 ევროს შეადგენს. ფსონების გაკეთება მაყურებლებსაც შეუძლიათ.

„რუსული რულეტკას“ რამდენიმე მძიმე ავარია მოჰყვა, რაც მსხვერპლით დასრულდა. ადგილობრივი პოლიცია ყველა გზაჯვარედის მკაცრად აკონტროლებს. თუმცა, მძღოლები შეჯიბრის გამართვას მაინც ახერხებენ.

**მედიანიუსი**

## ამინდის პროგნოზი

**2 — 7 ნოემბერი**

**სოხუმი**
02.11 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 9-10
03.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
04.11 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 10-11
05.11 მზე, წვიმა, დღისით — 19-20, ღამით — 11-12
06.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
07.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 22-23, ღამით — 12-13
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 22-23, ღამით — 12-13

**ზუგდიდი**
02.11 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 12-13
03.11 მზე, წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
04.11 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 11-12
05.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 13-14
06.11 მზე, დღისით — 22-23, ღამით — 14-15
07.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 24-25, ღამით — 14-15
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 23-24, ღამით — 13-14

**ბათუმი**
02.11 წვიმა, დღისით — 16-17, ღამით — 12-13
03.11 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 8-9
04.11 მზე, დღისით — 20-21, ღამით — 12-13
05.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 13-14
06.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 22-23, ღამით — 15-16
07.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 24-25, ღამით — 15-16
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 23-24, ღამით — 14-15

**ქუთაისი**
02.11 წვიმა, დღისით — 18-19, ღამით — 13-14
03.11 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
04.11 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 11-12
05.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 21-22, ღამით — 13-14
06.11 მზე, დღისით — 22-23, ღამით — 13-14
07.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 24-25, ღამით — 13-14
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 23-24, ღამით — 12-13

**გორი**
02.11 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 10-11
03.11 წვიმა, დღისით — 12-13, ღამით — 5-6
04.11 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 6-7
05.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 8-9
06.11 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 8-9
07.11 მზე, დღისით — 19-20, ღამით — 9-10
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 18-19, ღამით — 7-8

**თბილისი**
02.11 წვიმა, დღისით — 11-12, ღამით — 8-9
03.11 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 7-8
04.11 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
05.11 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 9-10
06.11 მზე, დღისით — 17-18, ღამით — 9-10
07.11 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 7-8
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — 5-6

**გურჯაანი**
02.11 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 8-9
03.11 წვიმა, დღისით — 15-16, ღამით — 5-6
04.11 მზე, დღისით — 15-16, ღამით — 4-5
05.11 მზე, დღისით — 16-17, ღამით — 6-7
06.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 17-18, ღამით — 6-7
07.11 მზე, დღისით — 18-19, ღამით — 6-7
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 16-17, ღამით — 6-7

**მანგლისი**
02.11 წვიმა, დღისით — 17-18, ღამით — 6-7
03.11 წვიმა, დღისით — 13-14, ღამით — 5-6
04.11 მზე, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
05.11 მზე, დღისით — 12-13, ღამით — 7-8
06.11 მზე, დღისით — 13-14, ღამით — 7-8
07.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — 5-6
08.11 მზე, დღისით — 9-10, ღამით — 2-3

**დმანისი**
02.11 წვიმა, დღისით — 7-8, ღამით — 1-2
03.11 წვიმა, დღისით — 6-7, ღამით — -5 -4
04.11 მზე, დღისით — 10-11, ღამით — -4 -3
05.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — -3 -2
06.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 11-12, ღამით — -3 -2
07.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 13-14, ღამით — -2 -1
08.11 მზე, ღრუბელი, დღისით — 12-13, ღამით — -3 -2

## vflkj,bc othbkb

ამ პატარა წერილით მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო იმ არაჩვეულებრივი ადამიანების მიმართ, რომელთა სიკეთეს ალბათ ვერასდროს დავივიწყებ. დარწმუნებული ვარ, რამაზ ჩარექიშვილის კლინიკას ბევრი ჩემნაირი პაციენტი იცნობს და ემადლიერება. უცნაურია, რომ ისეთი მძიმე ოპერაციის წინ, რომელიც უნდა ჩამტარებოდა, საოცარ სიმშვიდესა და იმედს ვინარჩუნებდი. ეს კი იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებიც ამ კლინიკაში დამხვდნენ. სიტყვები არ მყოფნის, რომლითაც შევძლებ ჩემი პატივისცემისა და მადლიერების გამოხატვას ბატონების რამაზ ჩარექიშვილის, არჩილ ბაღათუარიასა და ზურაბ ვაშაკიძის მიმართ. ასეთი პროფესიონალი და, კარგი გაგებით, თავდაჯერებული ექიმების წყალობით, დღეს თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობ. ალბათ, კარგი ხელმძღვანელის დამსახურებაა ისიც, რომ კლინიკის მთელი მედპერსონალი საოცარი გულისხმიერებითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა.

ქალბატონები მანანა ქოჩორაშვილი, ქეთევან ტატიშვილი, თამარ პანაიოდი და ინგა ანტონოვა ამის საუკეთესო მაგალითები არიან. დიდი მადლობა მათ. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე და ჯანმრთელობა მისცეს ბატონი რამაზ ჩარექიშვილის კლინიკის ექიმებსა და მედპერსონალს, რათა პაციენტებს მათი იმედი და რწმენა არ მოჰკლებოდეთ.

*პატივისცემით, მადლიერი პაციენტი ლია ხუციშვილი*

# ჰოლივუდში ორი წელი ყოველდღე ქასთინგზე დავდიოდი და ღამღამობით დარაჯად ვმუშაობდი

**ამერიკელმა მსახიობმა დენი დევიტომ მორიგი როლი რეჟისორ ჯონ უაითსელის კომედიურ ფილმში „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ანუ მეზობლებისათვის შესვლა აკრძალულია" შეასრულა. აქ იგი ბადის როლს ასრულებს, რომელიც ყოველდღიურად იცვლის ფეთქებად იდეებს, მისი საშობაო ფეიერვერკები კი ალბათ კოსმოსიდანაც ჩანს. მის მეზობლად მცხოვრები სტივი, რომლის როლსაც მსახიობი მეთიუ ბროდერიკი ასრულებს, მისი სრული ანტიპოდია. იგი მშვიდად და წყნარად ცხოვრებას ამჯობინებს.**

*— თქვენი ახალი ფილმი შობის დღესასწაულზეა, გიყვართ შობა?*

— მე იტალიელი ვარ, ცოლი ებრაელი მყავს, ლოს ანჯელესში ვცხოვრობთ, ასე რომ, ჩვენი ოჯახი ყველა დღესასწაულს აღნიშნავს, შობის ჩათვლით.

*— მართალია, რომ შრომითი მოღვაწეობა საპარიკმახეროში დაიწყეთ, სადაც თქვენს დას, ანჯელას ეხმარებოდით, შემდეგ კი ჰოლივუდში გრიმიორობა გადაწყვიტეთ?*



— დას სილამაზის სალონში რომ ვეხმარებოდი, სწრაფად მივხვდი, რომ მაკრატლის ნაცვლად ფუნჯით თუ დავიწყებდი მუშაობას, უფრო მეტ ფულს ვიშოვიდი. გაზეთში ნიუ იორკის დრამატული ხელოვნების აკადემიაში საგრიმიოროში სწავლების კურსების რეკლამა დავინახე და იქ წავედი. ჩავაბარე აკადემიაში, სადაც სამსახიობო ოსტატობის კურსებზე უნდა მევლო. მოკლედ, დას ვუთხარი, რომ ნიუ იორკში გრიმიორი კი არა, მსახიობი გავხდი.

აკადემიის დამთავრების შემდეგ 1966 წელს კონექტიკუტში იუჯინ ონილის ცენტრის თეატრში ვიშოვე სამუშაო. სწორედ იქ შევხვდი პირველად მაიკლ დუგლასს. მაშინ იგი მოტოციკლზე შემომჯდარი ჰიპი იყო. სწრაფად დავმეგობრდით.

*— თქვენი მეგობრობა ძალიან ნაყოფიერი გამოდგა, ერთად რამდენიმე ფილმი გადაიღეთ, „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", „რომანი ქვით", „ნილოსის მარგალიტი".*

— მაიკლს 40 წელია ვიცნობ, მასთან ძალიან გულთბილი ურთიერთობა მაქვს. მასთან ერთად მუშაობა ნამდვილი სიამოვნებაა, იგი ძალაინ ერთგული მეგობარია.

*— ჯეკ ნიკოლსონს სამშობლოში, ნიუ ჯერსიში შეხვდით?*

— არა, ჩემი ბიძაშვილი მის დასთან მეგობრობდა და ვიცოდი, რომ არსებობდა ვიღაც სიმპათიური ახალგაზრდა, რომელიც ლოს ანჯელესში ჩავიდა და მსახიობობა სურდა. როლი მან ფილმში „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" მიიღო, სადაც მაიკლმა მიიწვია და პირველად ნიკოლსონს მაშინ შევხვდი. არ უთქვამს, რომ ისიც ნიუ ჯერსიდან იყო, ხუთი დღის შემდეგ დამინახა და წამოიძახა, „შენ ხომ ეშბერი პარკიდან" ხარ.

*— კონექტიკუტის სცენაზე გამოსვლა მოგეწონათ?*

— დიახ, კინოში მუშაობაზე ყოველთვის ვფიქრობდი. ლოს ანჯელესში ჩასვლის შემდეგ ჰოლივუდში ორი წელი ვიცხოვრე, არც ერთი როლი არ მიმიღია, მიუხედავად იმისა, რომ კინოსინჯებზე ყოველდღე დავდიოდი, ღამღამობით კი დარაჯად ვმუშაობდი.

*— მართალია, რომ ჰოლივუდის აგენტმა გითხრათ, რომ კინოში გადაღებისათვის საკმარისი სიმაღლე არ გქონდათ (დევიტოს სიმაღლეა 1მ 52 სმ)*

— ეს ერთ-ერთი ფილმის კასტინგზე იყო. მითხრა, რომ კინოში ვერასდროს ვითამაშებდი, მიუხედავად იმისა, რომ პირველად მხედავდა და არ იცოდა, რას წარმოვადგენდი. იდიოტი!

*— მაგრამ ახლა ჰოლივუდმა ტანდაბალი ადამიანების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა.*

— მართალია, რომ მაიკლ დუგლასი და კეტლინ ტერნერი გადასაღებ მოედანზე ისევე ჩხუბობდნენ, როგორც თქვენი ფილმის „როუზების ომების" პერსონაჟები, რომლებიც ერთმანეთთან განქორწინებას ცდილობდნენ.

*— არა, ეს ჟურნალისტების გამონაგონია.*

— დუგლასის ერსონაჟმა თავისი ცოლის ბარბარას საყვარელი კატა მოკლა, ხოლო ცოლმა — მისი ძაღლი, თანაც ცდილობდა, ქმრისთვის მისგან დამზადებული პაშტეტი ეჭმევინებინა.

*— ეს არის შავი იუმორი?*

— დიახ, იმას, რასაც თეთრ იუმორს ვერ ვუწოდებთ, შავი იუმორია.

*— ოდესმე თუ გსმენიათ განქორწინების შესახებ იმაზე უფრო საშინელი ისტორიები, რაც „როუზების ომებშია" აღწერილი?*

— როგორღაც რადიოთი მოვისმინე, რომ ერთმა ქალმა თავის ქმარს „ფერარის" ავზში საღებავი ჩაუსხა. მეორე ქალმა კი მისი მეგობარი ვაჟის კუთვნილ პიკასოს სურათზე გამოსახულ პერსონაჟს ცხვირი ამოაჭრა. ანალოგიით, დუგლასის გმირი ჩემს ფილმში ბარბარას ფეხსაცმელებს ქუსლებს აჭრის.

*— ამ ფილმის შემდეგ თქვენ ალბათ ჰოლივუდში განქორწინებების ექსპერტი გახდით. მოგმართათ თუ არა რჩევით ბრიტნი სპირსმა, რომელსაც ქმარი „საოჯახო პორნოს" გაყიდვით დაემუქრა, მას შემდეგ, რაც სპირსმა განქორწინების სარჩელი წარადგინა?*

— არა, არ მოუმართავს. როგორც „ომების" ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს, „ცივილიზებულ" განქორწინებაზე უარესი არაფერია და ეს სიმართლეს ჰგავს.

*— იანვარში მსახიობ რეი პერლმანთან ვერცხლის ქორწილის გადახდას აპირებთ. რა არის თქვენი დღეგრძელი ქორწინების საიდუმლო?*

— გადარეული სექსი და კარგი ძილი. რეა ბრიკლინში ცხოვრობდა და ორი კვირის შემდეგ გადმოვიდა მანჰეტენზე ბინაში, რომელსაც მე და დუგლასი ვქირაობდით. დღემდე მგონია, რომ ჩემზე უფრო მეტად ჩემი მისამართი მოსწონდა. გესმით, რას ვგულისხმობ? მე და მაიკი თვეში 75 დოლარს ვიხდიდით. მალე კალიფორნიაში გადავიდა, რადგან შოუში „სან ფრანცისკოს ქუჩები" მიიღო როლი, მაგრამ ბინის ქირის თავის წილს მაინც გზავნიდა. ძალიან მენატრებოდა — სარეცხს კარგად რეცხავდა.

*— თქვენ ხართ პროდიუსერი ფილმისა „ხელში ჩავიგდოთ ჯუჯა", რომელშიც თქვენ ჯონ ტრავოლტასთან ერთად თამაშობთ. ამ პროექტში მონაწილეობა გაეხარდა?*

— არა, უხალისოდ თამაშობდა ამ როლს. მანამდე „კრიმინალურ საკითხავს" ვპროდიუსერობდი, ასე რომ, ძალიან მინდოდა მორიგ პროექტში ტრავოლტას ჩართვა. ტრავოლტა, როგორც ცნობილია, საიენტოლოგია და რეჟისორ ბარი ზონენფელდთან და სცენარისტ სკოტ ფრენკთან ერთად საიენტოლოგიურ ცენტრში მიგვიწვია, ჰოლივუდის ბულვარში, სადაც კარგად ვისადილეთ.

სადილის დროს რესტორანში მომღერალი პლასიდო დომინგო მოვიდა ორ თანმხლებთან ერთად. მე მას მოვეხვიე და ვაღიარე, რომ აღტაცებული ვარ მისით. მან მიპასუხა, რომ მოხარულია ჩვენი მოულოდნელი შეხვედრისა. მანქანაში რომ ჩავსხედით, ბარის ვუთხარი, რომ არ ვიცოდი, დომინგო თუ საიენტოლოგი იყო. ამაზე ბარიმ მიპასუხა, რომ ალბათ დომინგოც იგივეს ფიქრობდა ჩემზე.

*— ამბობენ, რომ თქვენ მხარს უჭერდით არნოლდ შვარცენეგერს კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნებში. მასთან ერთად არაერთ ფილმში თამაშობთ?*

— ჩვენ დღემდე ვმეგობრობთ, თუმცა, ადრინდელივით ხშირად არ გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა. ის ახლა ძალიან დაკავებულია, მაგრამ ელექტრონული ფოსტით ვატყობინებ ხოლმე, რომ მისი ესა თუ ის გადაწყვეტილება მომწონს. მე ვფიქრობ, რომ მან კარგი, ცენტრისტული პოზიცია დაიკავა, თუმცა, არასწორ პრეზიდენტს უჭერდა მხარს, რომელიც, როგორც ახლა უკვე ვიცით, აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა იყო.

*— რატომ დათანხმდა ტერმინატორი შვარცენეგერი თქვენთან ერთად „ტყუპებში" თამაშს?*

— იგი ყოველთვის ექსპერიმენტატორი იყო და იმ დროისათვის მძაფრსიუჟეტიანმა ფილმებმა გვარიანად მოაბეზრეს თავი. ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც რეჟისორებმა მისი კომედიური ტალანტი აღმოაჩინეს. არნოლდს ხუმრობა ყოველთვის უყვარდა, მათ შორის საკუთარი თავის დაცინვა.

*— ცნობილია, რომ მსახიობები ცრუმორწმუნე ხალხია. თქვენ თუ გაქვთ თილისმა?*

— ჩემი თილისმაა მობილური და ცხვირსახოცი.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 2 ნოემბერი**

08.00 ან. სერ. "ფლატმანია" 08.30 სერ. **"ჯგუფი"** 09.00 დოკ. ფ. "მომავლის საჰაერო სივრის საიდუმლოებანი" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 10.10 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 11.00 სერ. **"აურზაური ოჯახში"** 12.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 13.30 იტალიური ეზო 14.30 დოკ. ფ. "არქიტექტურა" 15.00 სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** 16.40 ან. სერ. "ფლატმანია" 17.00 სერ. **"კრიმინალური პოლიცია"** 18.00 დოკ. ფილმი "სილამაზის მეცნიერება" 19.00 სერ. **"ვერონიკა მარსი"** 20.45 "სიზმარვიზია" 21.00 სერ. **"ხუთი დღე შუაღამემდე"** 22.00 თოქ-შოუ "გოლი" 23.00 ცხოვრება მშვენიერია 00.00 ჯაზლეგენდები რემსი ლუისათნ ერთად 00.30 მხ. ფილმი **"პალმეტო"** (15) (ვ. ჰარელსონი)

19.00 ან. ფილმი "ფლატმანია" 19.25 "სიზმარვიზია" 19.40 სერ. **"აურზაური ოჯახში"** 20.30 დოკ.ფ."მომავლის საჰაერო სივრცის საიდუმლოებანი" 21.25 სერ. **"სიყვარულის არდადეგები"** 22.00 მხ. ფილმი **"ტკბილი ნოემბერი"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** 11.00 ვანოს შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.50 კურიერი 12.20 სერ. **"გზა დიდებისკენ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** 15.25 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 15.50 სერ. **"გულის ძახილი"** 16.50 სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** 18.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 19.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 19.50 სერ.**"ანხელის საიდუმლო"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი **"კუბა"** (18) (შ. კონერი) 04.00 სერ. **"ცუდი გოგოები"**

08.00 მულტფილმი 09.00 სერ. **"მარია ემილია"** 09.50 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.50 სერ. **"ტყუპები"** 11.50 სერ. **"სი-ეს-აი"** 12.40 მხ. ფილმი 15.00 სერ. **"იაზონი და არგონავტები"** 15.50 მხ. ფილმი 17.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 19.30 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 20.20 სერ. **"ტყუპები"** 21.10 ძილისპირული 21.30 ვიქტორინა "ქეშ შოუ" 22.35 "სიცილი მზეზე" 23.40 სერ. **"სი-ეს-აი"** 00.30 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 10.00 სერ. **"ორმაგი თამაში"** 11.25, 14.35 ტვ-მარკეტი 11.40 დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" 12.00 სერ. **"ცხელი ძაღლი"** 13.00 სერ. **"მარადიული გრძნობა"** 15.00 ღამის შოუ 16.00 სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** 17.35 დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" 18.00 სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** 19.05 სერ. **"მარადიული გრძნობა"** 21.00 სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** 22.00 სერ. **"ყავა და ლუდი"** 23.00 სერ. **"ვინმე"** 00.00 მხ. ფ. **"უკანასკნელი ლეგიონი"** (12) (კ. ფერტი) 01.50 ქრონიკა 02.05 სერ. **"კლონი"** 161-ე ს.

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 08.45 მულტფილმი 10.30, 19.30 სერ. **"შექსპირი"** 11.45, 21.00 სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** 12.45 მხ. ფილმი **"ორკესტრანთა ცოლები"** 14.50 "ფერისცვალება" 15.20 მხ. ფილმი **"მისტერ და მისის სმიტები"** 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ნოვოსტი 22.00 პერსონა 23.00 კონცერტი "ღამის სერენადები" 00.00 მხ. ფილმი **"სილამაზე ამერიკულად"**

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა "განთიადი" 10.15 გაცოცხლებული წარსული 10.55 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"სინემა"** 13.30 კონცერტი 15.10 მულტსერ. "რედვოლი" 15.35 მხ. ფილმი **"ჩარირამა"** 17.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 მოგზაურობა სამშობლოში 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.30 დებიუტი 19.15 მხ. ფილმი **"დანაშაული მოხდა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დედა ეკლესია 22.00, 00.00 სიახლენი 22.22 ერთსულოვანი ოჯახი 22.40 დოკ. ფილმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 2 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825

ევრო —2,4035

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

**ამინდის პროგნოზი 2 ნოემბრისთვის**

__აღმოსავლეთ საქართველო:__ წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-16, ღამით — 7-8

__დასავლეთ საქართველო:__ წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-17, ღამით — 12-13

__სამხრეთ საქართველო:__ წვიმა, ტემპერატურა დღისით — §-7, ღამით — 1-2





ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია



"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ბრაზილიური ჰეთ-ტრიკი საქართველოში

**„ოლიმპი" — „გაგრა" 5:0**

**1:0, 2:0 აკინო (24პ, 30), 3:0 ჭედია (43), 4:0 აკინო (53), 5:0 ჯერონიმო (55)**

**„ოლიმპი":** ჭანტურია, გველესიანი, აბრამიძე, ფრაგა, იმედაშვილი, ს.თოდუა, დობროვოლსკი, ჯერონიმო (ჯონატასი 66), ბაბუნაშვილი (კაკულია 81), აკინო (რეხვიაშვილი 82), ჭედია

**„გაგრა":** ნადირაშვილი, კუპრეიშვილი (თუხარელი 75), ჭაავა, თ.შალიკაშვილი, თოთაძე, პ.ხორგუაშვილი, შარიქაძე (ცაავა 43), ოქრიაშვილი, პავლიაშვილი, ოვონიკოკო, გაბედავა

საქართველოს 21-ე ჩემპიონატის მე-13 ტურის დასკვნითი მატჩი უსენსაციოდ ჩამთავრდა. შაინტერესო უფრო ის იყო, რომ თემურ მახარაძე ისევ ბოლნისში დაბრუნდა — ამჯერად რუსთაველთა გუნდის მთავარი მწვრთნელის რანგში. ლაც „ოლიმპის" თავკაცად დაინიშნა, მახარაძე შესანიშნავ შედეგს აჩვენებს — ჯერ სამტრედიაში 4:0 მოიგო, ახლა კი სართად „გაგრაც" დააყოლა და ლიდერ „ზესტაფონს" ისევ კვალში ჩაუდგა.

მართალია, რუსთავული გუნდი საშინაო მატჩებს ისევ ბოლნისში ატარებს, მაგრამ მასპინძლის სტატუსი შენარჩუნებული აქვს. ვერ ვიტყვით, რომ „თეიმურაზ სტეფანიას" სახელობის სტადიონზე საფეხბურთო ატმოსფერო სუფევდა — წვიმამ და ატალახებულმა მოედანმა ძალიან ცუდად იმოქმედა მატჩზე, რასაც ვერ ვიტყვით ბრაზილიელ აკინოზე.

სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელმა მორიგი შესანიშნავი მატჩი ჩაატარა და ამჯერად ჰეთ-ტრიკი გაიფორმა, რითიც ბომბარდირთა დავაში კონკურენტებს საგრძნობლად გაუსწრო. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი სადღეი-



სოდ საუკეთესოდ გამოიყურება მათ შორის, ვისაც საქართველოში ლეგიონერის რანგში უთამაშია. ოკეანის გაღმიდან მოწვეულ ფეხბურთელს იმაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, ვიდრე თამაშების რაოდენობა ჩაუტარებია.

ბრაზილიელი ფეხბურთელის ჩინებული თამაში მხოლოდ ტელევიზორებთან მსხდომ მაყურებელს თუ შეეძლებოდა, რადგან ბოლნისში იმ დღეს

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## თბილისში ხელოვნების აკადემია დაარსდა

*ეკა ირემაშვილი*

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით თბილისში ხელოვნების აკადემია დაარსდა. აკადემიის შექმნის იდეის ავტორი ცნობილი ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილია. მის წამოწყებას მის უწმინდესობასთან ერთად მხარი დედაქალაქის მერიამაც დაუჭირა.

მასში 16 წლამდე ნიჭიერი ბავშვები ისწავლიან. როგორც აკადემიის დამფუძნებლები განმარტავენ, პრიორიტეტულ მიმართულებად ხელოვნების ხუთი დარგი იქნება არჩეული.



— ჩვენ გადავწყვიტეთ ნიჭიერ ბავშვებს ხელოვნების ის ძირითადი მიმართულებები შევასწავლოთ, რომელიც ნამდვილად მნიშვნელოვანია. ჩვენი აკადემიის პრიორიტეტებია კლასიკური მუსიკა, ლიტერატურა, კლასიკური ბალეტი, საესტრადო სიმღერა და ხალხური რეწვა. უკვე გადაწყვეტილია, რომ ხელოვნების აკადემიაში კლასიკური ბალეტის მიმართულებას ნინო ანანიაშვილი უხელმძღვანელებს, ლიტერატურის დარგს — გურამ დოჩანაშვილი, საესტრადო სიმღერის კურსს — ნანი ბრეგვაძე, ფოლკლორს — ეთერ თათარაიძე, კლასიკურ მუსიკას კი — თქვენი მონა-მორჩილი ვალერიან შიუკაშვილი, — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდში გამართულ პრესკონფერენციაზე „ხელოვნების აკადემიის" დამფუძნებელმა ვალერიან შიუკაშვილმა.

— ***ამ აკადემიაში მხოლოდ თბილისელი ნიჭიერი ბავშვები ისწავლიან?***

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენი მიზანია საქართველოს მასშტაბით მოვიძიოთ და გამოვავლინოთ 16 წლამდე ასაკის ნიჭიერი ახალგაზრდები და შემდგომ მათ

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

## ასტროპროგნოზი 2 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

__ეს დღე მშვიდად გაატარეთ__

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, უფროსობას თვალში მოხვდებით. **მერწყული** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მას თბილად მოეპყარით. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეებს!**

## იუმორი



***

— 95-60-90 რას ნიშნავს?

— ეგ როცა ერთი ფეხი მეორეზე 5 სმ-ით მოკლეა.

— 60 რაღაა?

***

— ადამიანი ინტერნეტის გარეშე მხეცია.

— არა, მხეცი ისაა, ვისაც ინტერნეტის ფული გადახდილი აქვს და ჩართვას ელის...

***

— აი, რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი წავა და ჯარში წამიყვანს.

— მე დაგელოდები.

— არ გინდა, საყვარელო, შინ წადი, დიდხანს არ დავბრუნდები...

***

— წეროშ რომ მომიყვანა, ჩემმა მშობლებმა დიდხანს იცინეს და წეროს დატოვება მოინდომეს...

***

— რა ლამაზი კაბა გაცვია?

— მე არა ვარ ლამაზი?

— ჩემთან მარტო კაბა რომ შემოსულიყო, ხმას არ ამოვიღებდი...

***

მაღაზიაში:

— თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს ქსოვილი სუფთა შალია, იარლიყზე კი ბამბა წერია.

— ჩრჩილს ვატყუებთ...

გ.თ.

## კროსვორდი ა



**თარაზულად:** 1. ძაღლის ჯიში; 4. ბანქო; 8. „... მუხასაო"; 9. თევზსაჭერი მოწყობილობა; 10. მგალობელი ფრინველი; 12. ხმელთაშუა ზღვის აღმ. ნაწილის ქვეყნების ზოგადი სახელწოდება; 14. ხვიარა ბალახოვანი მცენარე; 15. ძალიან იშვიათი ნივთი; 16. გაზაფხულის თვე; 18. ყვავილი; 21. რაიმესადმი ძლიერი მიდრეკილება; 22. დიდი და ღრმა ბზარი; 23. შეკეთება, აღდგენა.

**შვეულად:** 1. სილიკატების ჯგუფის მინერალი; 2. ჩრდილი; 3. სოფელი კასპის რაიონში; 5. მთათა სისტემა ჩინეთში; 6. აბელის მკვლელი ძმა; 7. მონარქიული სახელმწიფო, რომლის სათავეში იმპერატორია; 11. შეტყობინება გემის მზადყოფნის შესახებ დატვირთვა-გადმოტვირთვისთვის; 13. მძიმე გარდამავალი პერიოდი; 14. ქართული ჟურნალი; 15. მუსიკალური ნაწარმოების რომელიმე ნაწილის გამეორება; 16. ადამიანის მსგავსი ძუძუმწოვარი ცხოველი; 17. მშრალი, ცხელი ქარი უდაბნოში; 19. მშვილდ-...; 20. მტაცებელი ფრინველი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## პესიმისტი, ოპტიმისტი თუ რეალისტი

**ტესტი**



***1. თქვენი სიზმრები:***

ა. დრამატულია. ბ. გაურკვეველია. დ. სასიამოვნოა.

***2. რის შესახებ ფიქრობთ დილით გამოღვიძებისას:***

ა. როგორი ამინდი იქნება. ბ. საქმეზე. გ. საყვარელ ადამიანზე.

***3. დილით საუზმობთ:***

ა. დადგენილ დროს. ბ. ჩივით, რომ გამოძინება ვერ მოასწარით. დ. გიყვართ საუბარი.

***4. გაზეთის კითხვისას ყურადღებას აქცევთ:***

ა. ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინფორმაციას. ბ. სპორტს. გ. კულტურას.

***5. თქვენი რეაქცია სკანდალურ ინფორმაციაზე:***

ა. ნეიტრალური. ბ. გაშინებთ. გ. აღგაშფოთებთ.

***6. უცნობ ქალაქში რაღაც მისამართს ეძებთ:***

ა. ტაქსის ქირაობთ. ბ. ნაცნობებს ჰკითხავთ. გ. თავად იპოვით.

***7. როდესაც სარკეში საკუთარ ფიგურას უყურებთ:***

ა. არა მიშავს რა. ბ. ზედმეტი წონა უნდა დავიკლო. გ. არის რა.

***8. სამედიცინო შემოწმება გაიარეთ და შედეგებს ელით:***

ა. ღელავთ, რაიმე სერიოზული არ აღმოგაჩნდეთ. ბ. იცით, რომ ექიმი მაინც სიმართლეს არ გეტყვით. გ. ყველაფერი კარგად იქნება.

**პასუხები**

**ა. — 0 ქულა. ბ. — 1 — ქულა გ. — 2 ქულა.**

**0-5 ქულა:** მოვლენებს სალი თვალით უყურებთ, მაგრამ ხანდახან ვერ აღწევთ თავს პესიმისტურ განწყობილებებს.

**6-10 ქულა:** დროდადრო ოპტიმიზმის გაელვებები გაქვთ, მაგრამ მაინც უფრო ხშირად პესიმიზმი სძლევს. შეეცადეთ, ცოტა ოპტიმისტურად შეხედოთ სამყაროს.

**11-16 ქულა:** თქვენ რეალისტურად უყურებთ მოვლენებს, როგორც წესი, ნებისმიერ სიტუაციაში ოპტიმიზმს ინარჩუნებთ.